

ახალი საერთაშორისო ბრენდი საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე A3



კანის ფესტივალი: დესერტზე - მონიკა ბელუჩი A7



პრესომბუდსმენი A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ორშაბათი, 29 მაისი, 2006 წელი. №116 (1268) — ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge


## ამბები

### უზარმაზარი ადამიანური მსხვერპლი და კულტურული დანაკარგები

ინდონეზიის კუნძულ იავაზე, სადაც ორი დღის წინ ძლიერი მიწისძვრა მოხდა, ინტენსიური სამაშველო სამუშაოები გრძელდება. მაშველები იმ ხალხის გადარჩენას ლამობენ, რომლებიც ნანგრევებქვეშ აღმოჩნდნენ.

A2

## სამართალი

### მაღალანაზღაურებადი პროკურორების რთული საქმეები

საქართველოს მთავრობამ და დონორებმა დიდი ოდენობის თანხა გაიღეს პროკურატურის შენობების მოდერნიზაციისა და კადრების მომზადებისათვის. პროკურორების განცხადებით, სამუშაოებს ფუჭად არ ჩაუვლია - ისინი მიღწევებზე საუბრობენ.

A4

## რევიუ

### გაროკილი მარია-ანტუანეტა

ვერსალის სასახლეში გადაღების ექსკლუზიური უფლებით შექმნილი სოფია კოპოლას ფილმის „მარია-ანტუანეტას“ ჩვენება კანის ფესტივალზე სტვენით და უკმაყოფილო შეძახილებით დასრულდა.

A7


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 29/05 | 30/05 |
|---|---|---|
| თბილისი | 30 | 31 |
| ტყიბული | 23 | 30 |
| დმანისი | 23 | 27 |
| გორი | 25 | 28 |
| ონი | 17 | 24 |
| ზუგდიდი | 25 | 34 |
| ახმეტა | 30 | 31 |
| გაგრა | 20 | 27 |
| სამტრედია | 26 | 33 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7980 |
| ევრო | 2.2960 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3600 |
| რუბლი | 0.0665 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| პრესომბუდსმენი | A 8 |


# იდუმალი ოპერაცია

## მასობრივმა დაკავებებმა ვითარება უკიდურესად დაძაბა

დიმიტრი ავალიანი

*დღემდე უცნობი ძალოვანი უწყების მიერ 27 მაისს ჩატარებულმა ოპერაციამ, რომლის შედეგად ცხინვალის რეგიონში რამდენიმე ათეული ოსი ეროვნების მოქალაქე დააკავეს, მდგომარეობა კონფლიქტის ზონაში უკიდურესად დაძაბა. ამავე დროს, საქართველოს ოფიციალური პირები კომენტარებისგან თავს იკავებენ და ინციდენტის დეტალებზე არ საუბრობენ.*

ოსური წყაროების ცნობით, 27 მაისს სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების სპეცრაზმმა ოსი ეროვნების მოქალაქეების მასობრივი დაკავება დაიწყო. ოსების დაკავება მოხდა ცხინვალი-ვლადიკავკაზის გზაზე, კერძოდ, ერგნეთის საგუშაგოზე და ლიახვის ხეობის სოფლებში. ასევე, ოსური წყაროების ინფორმაციით, ქართულმა ქვედანაყოფებმა ალყა შემოარტყეს სოფელ ხელჩუას და „სოფელში მცხოვრები ყველა მამაკაცი“ აიყვანეს. 60 მოქალაქის დაკავების შემდეგ, მათი ნაწილი, ძირითადად ქალები, გაათავისუფლეს, დანარჩენები კი (სხვადასხვა ცნობით, 36-დან 42 კაცამდე), გორში გადაიყვანეს.

დაკავებულთა გათავისუფლება ეტაპობრივად ხდებოდა და გუშინდელ დილამდე გაგრძელდა. გათავისუფლებულები, რომელთაგან ზოგიერთს ძალადობის ნიშნები ეტყობოდათ, აცხადებდნენ, რომ არ იციან, სად იმყოფებოდნენ; მათ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

„სამხრეთ ოსეთის ინფორმაციის კომიტეტის“ განცხადებით, ოსი ეროვნების სამოქალაქო პირების დაკავება „საქართველოს ყოფილი სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სპეცრაზმმა განახორციელა, რომელიც ამჟამად შსს-ს ექვემდებარება“.

ინციდენტს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი გამოეხმაურა, რომელმაც მომხდარს **„სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის წინააღმდეგ წინასწარ დაგეგმილი აქცია უწოდა“**. მისი თქმით, ოსური მხარე პროვოკაციებს არ აჰყვება, თუმცა სრული საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობას შეინარჩუნებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# გემრიელი კერძის ყველაზე ტკბილი ლუკმა ფესტივალზე არ ჩამოვიდა

## გუშინ დამთავრდა კანის კინოფესტივალი. "ოქროს პალმის რტო" აიღო კენ ლოუჩის ფილმმა. შემაჯამებელ წერილს ხვალ შემოგთავაზებთ

ნინია კაკაბაძე
*კანიდან*



*ბრედ პიტი "ბაბილონში".*

ფესტივალი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა და მისი ფავორიტებიც იკვეთებოდნენ. ფილმი, სადაც ამერიკელი ვარსკვლავი, სუპერბიჭუნა ბრეტ პიტი მონაწილეობდა, ერთ-ერთი ლიდერი იყო "ოქროს პალმის რტოსთვის" მებრძოლ ფილმებში. ამ ფილმის მოლოდინი დიდი იყო როგორც პრესაში, ასევე წითელ ხალიჩასთან მომლოდინე ფანკლუბის წევრებში. დილიდან დამზადდა პლაკატები, სადაც პატარა გოგონები სიყვარულს უხსნიდნენ ამერიკელ ვარსკვლავს. ხალიჩას, სადაც ადგილს შუადღისას იკავებენ (პირველი პრემიერა საღამოს 8 საათზე იმართება ხოლმე), ამ დღეს, დილის 7 საათიდან უტევდნენ და ამაგრებდნენ პოზიციებს. მაგრამ, ყველაზე სანატრელი ნამცხვრის ლუკმა, ფანებისთვის ყველაზე სამწუხარო მიზეზის გამო კანში არ ჩამოვიდა.

გაგრძელება A6 გვერდზე

# უმდიდრესი არაამერიკელი

## კარლოს სლიმ ელუ - მექსიკელი მიდასი

B

გოჩა ქიმუცაძე

*სხვისი ფულის თვლის და რეიტინგების შედგენის მოყვარული ჟურნალის Forbes-ის მილიარდერთა სიაში რომ პირელ-მეორე ადგილზე ამერიკელები: ბილ გეითსი და უორენ ბაფეტი არიან, უკვე არაერთხელ ვისაუბრეთ. მათ შემდეგ მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანი 66 წლის მექსიკელი მაგნატი, 30 მილიარდის მფლობელი კარლოს სლიმ ელუ გახლავთ. მისი კორპორაცია ჩარსო Global Telecom მსოფლიო ბიზნესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. მართალია, ჩვენში მის შესახებ ძირითადად ბიზნესწრეებში და ტელეკომუნიკაციების მსოფლიო ბაზრის სიახლეებით დაინტერესებულ ადამიანებს სმენიათ, მაგრამ კარლოს სლიმ ელუს შესახებ ყველას გაუგია.*



# მომავალი სამიტი სანკტ-პეტერბურგში

კონსტანტინ გაბერტი

სანკტ-პეტერბურგი მშვენიერია ზაფხულში, როცა იმპერატორის სასახლეებსა და ქალაქის პროსპექტებს „თეთრი ღამეების“ მკრთალი შუქი ეცემა. და რა გასაკვირია, თუ რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს ძალიან უყვარს თავისი მშობლიური ქალაქით ტრაბახი.

სამი წლის წინ, სამეფო დედაქალაქის 300 წლის იუბილეზე პუტინმა 40-მდე ქვეყნის ლიდერს უმასპინძლა - დაწყებული ჯორჯ ბუშიდან და გერჰარდ შროდერიდან და დამთავრებული ბელარუსის დიქტატორი ლიდერით, ალექსანდრე ლუკაშენკოთი და თურქმენეთის პრეზიდენტით საფარმურატ ნიაზოვით, რომელიც საკუთარ თავს „თურქმენბაშს“ - თურქმენთა მამას უწოდებს. ადამიანის უფლებათა დამცველებმა მოწვეულ სტუმართა სიას მაშინ ეჭვის თვალით შეხედეს. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, პუტინმა მაშინ ერაყის ომის წინააღმდეგ ევროპასთან თანამშრომლობის აღნიშვნაც მოახერხა და ასევე აიძულა აშშ ამ ნაბიჯზე თვალი დაეხუჭა.

ამგვარად რუსეთი საკუთარი ადგილობრივი ფავორიტების თვალში აღიარებულ მსოფლიო ლიდერად იქცა.

ამ ზაფხულს სანკტ-პეტერბურგში (რომელსაც ადგილობრივი იუმორით სანკტ-პუტინბურგსაც უწოდებენ), შესაძლოა, ყველაფერი ისევ განმეორდეს: პირველად „დიდი რვიანის“ სამიტს რუსეთი უხელმძღვანელებს. და ეს მიუხედავად ამ ქვეყანაში არსებული მზარდი ავტორიტარიზმისა, ჩეჩნეთში დაუსრულებელი სისხლიანი ომისა და ირანის ბირთვული პროგრამის მხარდაჭერისა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# მოჩვენებითი სიმშვიდე

*რამდენიმე დღის წინ ინდონეზიის ერთ-ერთ სოფელში, 7-სულიანი ოჯახის 6 წევრი ფრინველის გრიპის ვირუსით გარდაიცვალა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია შიშობს, რომ ინდონეზიაში „ფრინველის გრიპის“ ვირუსმა მუტაცია განიცადა და ახლა ადამიანიდან ადამიანს გადაეცემა.*

თამარ ქადაგიძე

კუნძულ სუმატრაზე, სოფელ კუბუ სემელანგში, ოჯახს, რომლის 6 წევრიც გარდაიცვალა, შინაური ფრინველი არ ჰყოლიათ. სპეციალისტებმა მთელ სოფელში ვერ აღმოაჩინეს დაავადებული ფრინველი, ვერ გაარკვიეს გარდაცვლილთა ინფიცირების კერა. მაგრამ ვარაუდობენ, რომ ვირუსი ერთი ინფიცირებულიდან გავრცელდა ოჯახის დანარჩენ წევრებზე, ანუ მოხდა ის, რისიც ექსპერტებს ეშინოდათ - ფრინველის გრიპის ვირუსი ადამიანიდან ადამიანზე გადავიდა.

„ფრინველის გრიპის“ ვირუსით ადამიანების დაავადების შემთხვევები 2004-2005 წლებში სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, ძირითადად ვიეტნამსა და ტაილანდში აღირიცხა. მას მერე, H5N1 გრიპის ვირუსის გავრცელების საშიშროება მთელ მსოფლიოში გაჩნდა. დღემდე ამ ვირუსული ინფექციით დაავადებული 230-მდე ადამიანიდან, დაახლოებით, 120 გარდაიცვალა.

ამჟამად, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას არ გააჩნია მტკიცებულება ინფექციის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის შესახებ. რამეს გადაჭრით, ვერც ბოლოს (ინდონეზიაში) დაფიქსირებულ შემთხვევაზე ამბობენ, ვინაიდან დადასტურებული არ არის გარდაცვლილთა ფრინველთან კონტაქტი, არსებობს მხოლოდ ეჭვი, რომ დაავადება ერთი ადამიანიდან დანარჩენებს გადაედო. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ვირუსი ჯერჯერობით ამ სოფელშიც არ გავრცელებულა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში აცხადებენ - იმ შემთხვევაშიც, თუ დადგინდა, რომ ინდონეზიაში ვირუსმა მუტაცია განიცადა და H5N1 ადამიანიდან ადამიანს გადაეცემა, პანიკისთვის საფუძველი მაინც არ არსებობს. მიზეზი ის არის, რომ ინდონეზიელ მსხვერპლს ვერ აღმოუჩინეს მუტაციაგამოვლილი ვირუსი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ომბუდსმენი ძალოვანებს მითითებებს აძლევს

*„სახალხო დამცველის აპარატში არაერთი ისეთი ფაქტი დაგროვდა, რომელიც შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის მიერ ძალის არაადეკვატურ გამოყენებაზე მეტყველებს“, - აცხადებს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი და მისი აპარატის თანამშრომლების მიერ შესწავლილ კიდევ ერთ გახმაურებულ საქმეში აღმოჩენილ საეჭვო გარემოებებზე საუბრობს.*

საქმე ეხება 20 მაისს დაბა სურამთან მომხდარ ინციდენტს. გავრცელებული არაოფიციალური ინფორმაციით, დაბა სურამთან ახლოს შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის მიერ ჩატარებული სპეცოპერაცია მსხვერპლით დამთავრდა. თუმცა, გავრცელებული ინფორმაცია შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსმა ზურაბ არსოშვილმა მაშინვე კატეგორიულად უარყო. იგი აცხადებდა, რომ ინციდენტი, რომელსაც მისი თანამშრომლები შემთხვევით შეესწრნენ, მართლაც მსხვერპლით დასრულდა, თუმცა - არა პოლიციელთა მიზეზით.

**„არავითარი სპეცოპერაცია ფინანსურ პოლიციას არ ჩაუტარებია. ჩვენი სამი თანამშრომელი შემთხვევით შეესწრო დაყაჩაღების ფაქტს და დანაშაული აღკვეთა. როდესაც ჩვენი თანამშრომლები ადგილზე მივიდნენ, მოქალაქე ივანე ვაშაკიძე უკვე გარდაცვლილი იყო. მას „გაზელის“ ტიპის ავტომობილით კონტრაბანდული სიგარეტი გადმოჰქონდა და თავს ყაჩაღები დაესხნენ. მოხდა დამნაშავის დაკავება, ზოგიერთმა გაქცევა შეძლო“**, - განაცხადა შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსმა ზურაბ არსოშვილმა.

დაკავებულ დავით ნასყიდაშვილს, რომელიც ეჭვმიტანილი იყო დაბა სურამში მომხდარ მკვლელობასა და მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვაში, 22 მაისს სახალხო დამცველის წარმომადგენლები შიდა ქართლის შს სამხარეო სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორში შეხვდნენ.

ორი დღის შემდეგ სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა დავით ნასყიდაშვილი განმეორებით მოინახულეს, უკვე თბილისის მე-5 საპყრობილეში, სადაც დავით ნასყიდაშვილმა 22 მაისს სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის მის მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებაში მოთხრობილი ფაქტები დაადასტურა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## საქართველოს პრეზიდენტი საფრანგეთში მიემგზავრება

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დღეს საფრანგეთში მიემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიაში. ამასთან, პრეზიდენტი საფრანგეთში ქართულ დიასპორას შეხვდება და მასთან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. პრეზიდენტთან ერთად საფრანგეთში მიემგზავრება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი.

პარიზში საქართველოს პრეზიდენტს მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამა აქვს დაგეგმილი. მიხეილ სააკაშვილი პარიზში „პალე დე კონგრეს" დარბაზში დაესწრება ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიას. სესიაში მონაწილეობას ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნებიდან 340 პარლამენტარი მიიღებს.

ასამბლეის ორდღიან სხდომას ნატოს გენერალური მდივანი, იაპ დე ჰუპ სჰეფერი და საერთაშორისო ორგანიზაციის სხვა მაღალჩინოსნებიც დაესწრებიან.

საქართველოს პრეზიდენტი სიტყვით მიმართავს სესიის მონაწილეებს და განსაკუთრებულ ყურადღებს გაამახვილებს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის საკითხებზე, საქართველოში მიმდინარე ქვეყნის დემოკრატიული მშენებლობის პროცესებსა და საგარეო პოლიტიკურ ფაქტორებზე.

დაგეგმილია სააკაშვილის შეხვედრები ნატო-ს გენერალური მდივან იაპ დე ჰუპ სჰეფერთან და სხვა ოფიციალურ პირებთან.

სესიაზე ასევე აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევისა და ბელორუსის ოპოზიციის ლიდერს, ალექსანდრე მილინკევიჩს გამოსვლები. 30 მაისს იგეგმება საქართველოსა და საფრანგეთის საგარეო საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. შეხვედრაზე განიხილება საკითხების ფართო სპექტრი: ორმხრივი ურთიერთობები, ევროინტეგრაცია, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პერსპექტივები. საფრანგეთიდან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სამუშაო ვიზიტით პორტუგალიაში გაემგზავრება, რის შემდეგაც 4-5 ივნისს მონაწილეობას მიიღებს ბუქარესტში დაგეგმილ შავი ზღვის ფორუმში.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## განათლების მინისტრმა სიღნაღში რეფორმებზე ისაუბრა

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია შაბათს სიღნაღს ეწვია. მასთან ერთად, რაიონში მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელი მარინე ჟვანიაც ჩავიდა. სტუმრები რაიონის პედაგოგიურ საზოგადოებას შეხვდნენ და განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებსა და სიახლეებზე ესაუბრნენ. შემდეგ კი პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კონცეფციასაც გაეცნენ. როგორც მინისტრმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, სექტემბრიდან სწავლება ახალი პროგრამებით და ახალი სახელმძღვანელოებით დაიწყება.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების პილოტირება საქართველოს სხვა ქალაქებთან ერთად, ამ დროისათვის სიღნაღის რაიონის სოფლებში - საქობოს და წნორის პირველ საშუალო სკოლებშიც მიმდინარეობს. უახლოეს ხანში კი პროგრამის „იაკობ გოგებაშვილი" ფარგლებში დაგეგმილია სოფელ ჯუგაანში საშუალო სკოლის აშენება და ბოდბისხევის საშუალო სკოლის სრული რეაბილიტაცია.

ალექსანდრე ლომაიამ ერთიანი ეროვნული გამოცდების შესახებ პედაგოგთა და მშობელთა შეკითხვებს უპასუხა.

*24 საათი*

## დონორთა საერთაშორისო კონფერენცია

28 მაისს ბრიუსელში დაიწყო ცხინვალის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის დონორთა საერთაშორისო კონფერენცია. სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტის მოგვარების საკითხებში, გიორგი ხაინდრავამ განაცხადა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები იმ ფინანსური დახმარების შესახებ იმსჯელებენ, რომელიც კონფლიქტის ზონაში მთელი რიგი პროექტების განსახორციელებლად გამოიყოფა. აღსანიშნავია, რომ თვითაღიარებული „სამხრეთ ოსეთის" სოციალურ-ეკონომიკურ რეაბილიტაციას პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ ინიცირებული ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების სამეტაპოვანი სამშვიდობო გეგმა ითვალისწინებს.

გეგმის მიხედვით, პირველ ეტაპზე კონფლიქტის ზონის დელიმიტარიზაცია, საერთაშორისო ძალისხმევის გააქტიურება და ამ მიზნით შერეულ საკონტროლო კომისიაში ეუთოს, ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივ წევრად შეყვანა, შემდეგ რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაცია, ხოლო საბოლოოდ სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა უნდა მოხდეს. კონფერენცია ორ დღეს გასტანს და 29 მაისს დასრულდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## საკრებულოში ლეიბორისტების რაოდენობა გაიზრდება

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ლეიბორისტების" რაოდენობა ერთი წევრით გაიზრდება. თბილისის საკრებულოს მიერ ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებლად გადაყვანილი დავით იოსელიანისთვის უფლებამოსილების შეჩერების შემდეგ საკრებულოში სიით მომდევნო ჯონდი ბაღათურია შედის.

როგორც ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, მიუხედავად საკრებულოს უფლებამოსილების თითქმის ამოწურული ვადისა, ჯონდი ბაღათურია მაინც გეგმავს ლეიბორისტთა 6-კაციან ფრაქციას მეშვიდედ დაემატოს.

„მქონდა საუბარი მეგობრებთანაც, ჩვენი პარტიის თავმჯდომარესთანაც და მიმაჩნია, რომ 7-8 თვე, რომელიც საკრებულოს უფლებამოსილების ამოწურვამდეა დარჩენილი საკმაო დროა საქმის გასაკეთებლად", - განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

ორშაბათს იგი გეგმავს ოფიციალურად მიმართოს ცესკო-ს თავმჯდომარეს და აცნობოს თავისი თანხმობა საკრებულოში შესვლასთან დაკავშირებით.

ცნობისთვის: თბილისის საკრებულოში ჯონდი ბაღათურია „აღორძინების" პარტიული სიით გიორგი ტაბიძესთან, დავით იოსელიანთან და სხვებთან ერთად იყო წარმოდგენილი. ტაბიძემ და იოსელიანმა აჭარის მოვლენებამდე დატოვეს „აღორძინება" და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში" გაწევრიანდნენ. ამის გამო ფრაქცია „აღორძინება" თბილისის საკრებულოში უკვე აღარ ფუნქციონირებდა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## სერგეი მირონოვის განცხადება

დსთ-დან გასვლის შემთხვევაში უკრაინასა და საქართველოს პრეფერენციების იმედი არ უნდა ჰქონდეთ. ამის შესახებ განცხადება რუსეთის სათათბიროს სპიკერმა სერგეი მირონოვმა გააკეთა.

„იმ მოქალაქეებს, რომელთა სახელმწიფოს მეთაურებიც დსთ-დან გასვლის შესახებ მიიღებენ გადაწყვეტილებას, ეკონომიკაში პრეფერენციების იმედი ნუ ექნებათ. ასეთ შემთხვევაში, ყველა ეს პრეფერენცია არსებობას შეწყვეტს", - აცხადებს მირონოვი.

მირონოვის თქმით, მართალია, ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანება ქვეყნის უფლებაა, მაგრამ რუსეთი, თავის მხრივ, „ამგვარ ზრახვებსა და საუბრებს არ მიესალმება".

მირონოვის შეფასებით, თანამეგობრობიდან გასვლის შესახებ გადაწყვეტილება „პოლიტიკურია, რაზეც შემდეგ პასუხს ქვეყნის მოსახლეობა აგებს".

*ინტერპრესნიუსი*

# იდუმალი ოპერაცია

პირველი გვერდიდან



*დაკავებული ოსების გათავისუფლებას მოუთმენლად ელოდნენ.*

ქართველი ძალოვანების მიერ ოსების მასობრივ დაკავებას წინ უძღოდა სამშვიდობო ძალების ოსური ბატალიონის მიერ ცხინვალის შესასვლელთან დიდი ლიახვის ხეობის სოფელ აჩაბეთში მცხოვრები რვა ქართველის დაკავება. თუმცა, რამდენიმე საათის შემდეგ ისინი გაათავისუფლეს.

ცხინვალის ხელისუფლებამ ქართველი ძალოვანების მოქმედების საპასუხოდ ლიახვის ხეობისკენ მიმავალი გზები ჩაკეტა. გუშინ დილით კი შეიარაღებულმა ოსმა ფორმიანებმა ფრონეს ხეობაში სოფელ მუგუთთან ქართველი მგზავრებით სავსე მიკროავტობუსი გააჩერეს. მათ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღების კონდახებით ქალები და ბავშვები ავტომანქანიდან ჩამოყარეს და შემდეგ მიკროავტობუსი ზნაურის მიმართულებით, ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაიყვანეს. ოთხი მამაკაცი გაურკვეველი მიმართულებით გაიტაცეს. თუმცა, ცოტა ხანში ოთხივე მათგანი, სასტიკად ნაცემი, გაათავისუფლეს.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხაინდრავა გუშინ ერთადერთი ოფიციალური პირი აღმოჩნდა, ვინც 27 მაისის ინციდენტზე კომენტარი გააკეთა. **„ეს ინციდენტი, რა თქმა უნდა, გაართულებს ვითარებას კონფლიქტის ზონაში"**, - აღნიშნა „24 საათთან" საუბრისას ხაინდრავამ. მისი თქმით, ინციდენტის შესახებ „წინააღმდეგობრივი ინფორმაცია" ვრცელდება და სიმართლის დასადგენად იგი დღეს ცხინვალში გამგზავრებას გეგმავს.

მანამდე გიორგი ხაინდრავა აცხადებდა, რომ ინციდენტის მიზეზი საპასპორტო რეჟიმის დარღვევა და საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის რამდენიმე მოქალაქის უვიზოდ შემოსვლა გახდა. თუმცა, „24 საათთან" საუბრისას ხაინდრავა ამ საკითხთან დაკავშირებით ნაკლებად კატეგორიული იყო და განაცხადა, რომ ვიზების პრობლემა დაკავებულთაგან „რამდენიმე ადამიანს" ჰქონდა.

გიორგი ხაინდრავას ოსი კოლეგა, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოქმედი შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარე ბორის ჩოჩიევი, მისი განცხადებით, გუშინ მთელი დღის განმავლობაში ხაინდრავასთან დაკავშირებას და მისგან განმარტებების მიღებას ამაოდ ცდილობდა.

**„ამ საკითხზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, ვინაიდან სრულ ინფორმაციას არ ვფლობ,"** - განუცხადა „24 საათს" საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლში მიხეილ ქარელმა. გორში დატყვევებული ოსების შესახებ ასევე „არ ფლობს ინფორმაციას" შიდა ქართლის შს რეგიონული სამმართველოს უფროსი დევი ჭელიძე.

შეშფოთება კონფლიქტის ზონაში შექმნილი ვითარების გამო გუშინ შერეული სამშვიდობო ძალების სარდალმა გენერალმა მარატ კულახმეტოვმა გამოთქვა. **„მდგომარეობა დღემდე სტაბილური ვერ გახდა. შემიძლია ვთქვა, რომ ერთ-ერთი მხარე მეორეს პროვოცირებას ცდილობს"**, - განაცხადა კულახმეტოვმა და იქვე განმარტა, რომ „ერთ-ერთ მხარეში" - ქართულ მხარეს გულისხმობს. მისი თქმით, ქართულ პოლიციას დღემდე არ განუმარტავს ოსი მოქალაქეების დაკავების მიზეზები. მან მხარეებს მოუწოდა, **„თავი შეიკავონ მკვეთრი მოქმედებებისაგან და გამონათქვამებისაგან ერთმანეთის მისამართით"**.

საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ დღეს ცხინვალში გამგზავრებას და ინციდენტის მიზეზების გარკვევას აპირებს. **„თუ ინფორმაცია დაკავებულთა ფიზიკური შეურაცხყოფის შესახებ დადასტურდა, დამნაშავეებმა ამაზე პასუხი უნდა აგონ,"** - ამბობს ომბუდსმენი.

# მოჩვენებითი სიმშვიდე

პირველი გვერდიდან

ინდონეზიური ოჯახის ტრაგიკული ბედი კი, სავარაუდოდ, იმის შედეგია, რომ ვირუსი, გავრცელდა ადამიანებს შორის ძალიან ახლო კონტაქტის შემთხვევაში.

შეგახსნებთ, აღნიშნული ვირუსით დაავადების მიზეზია ცოცხალ, დაავადებულ შინაურ ფრინველთან მჭიდრო კონტაქტი ან თერმულად დაუმუშავებელი ფრინველის საკვებად მიღება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ თერმულად დამუშავებული ფრინველის ხორცი და კვერცხი, მოწოდებული იმ ქვეყნებიდან, სადაც მიმდინარეობს ეპიზოოტია (ეპიდემია ცხოველებში), არ წარმოადგენს რისკს საზოგადოების ჯანმრთელობისათვის.

რაც შეეხება საქართველოს, მართალია მოსახლეობაში პანიკა აღარაა, თუმცა, როგორც პაატა იმნაძე ამბობს, მშვიდად ყოფნის საფუძველი არ გვაქვს. **„მართალია, ჩვენთან ავადმყოფი ფრინველები აღარ დაფიქსირებულა, გადამფრენმა ფრინველებმაც დატოვეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორია, მაგრამ ცოტა ხნის წინ, ირანში დაფიქსირდა გრიპის ვირუსი. ირანი კი საქართველოსთან ახლოსაა,"** - აღნიშნა მან.

გარდა ამისა, არის „ფრინველის გრიპის" ვირუსის მატარებელი გარეული იხვების არსებობის ალბათობაც, რადგან გარეული იხვი ერთადერთი ფრინველია, რომელსაც H5N1 ვირუსი ვერ კლავს და მათი აღმოჩენა ძნელია. სწორედ ამიტომაა აკრძალული გარეულ იხვზე ნადირობა.

შემოდგომაზე ისევ დაიწყება ფრინველების გადაფრენა. მოსალოდნელია ვირუსის გავრცელების საშიშროების „მეორე ეტაპი". ამ მოვლენას შეშფოთებით ელოდებიან მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

# უზარმაზარი ადამიანური მსხვერპლი და კულტურული დანაკარგები



*სტიქიამ ყველაზე მეტად ქალაქი ბანტული დააზარალა.*

ინდონეზიის კუნძულ იავაზე, სადაც ორი დღის წინ ძლიერი მიწისძვრა მოხდა, ინტენსიური სამაშველო სამუშაოები გრძელდება. მაშველები იმ ხალხის გადარჩენას ლამობენ, რომლებიც ნანგრევებქვეშ აღმოჩნდნენ. რიხტერის სკალით 6.2 ბალიან მიწისძვრას 4 200 კაცი ემსხვერპლა. არანაკლებ შემზარავია დაშავებულთა რაოდენობაც, რაც 10 000-ს აღემატება. ოფიციალური მონაცემები დაღუპულთა და დაშავებულთა შესახებ მკვეთრად განსხვავებულია ზემოაღნიშნული ციფრებისგან, კერძოდ, დაღუპულია 3 340 ადამიანი, ხოლო ინდონეზიის ვიცე-პრეზიდენტის იუსუფ კალას განცხადებით, დაშავებულთა რიცხვი 10-დან 20 000-მდე მერყეობს.

მიწისძვრის ეპიცენტრი ჯოკიაკარტას სამხრეთით 25 კმ-ში იყო. სტიქიით დაშინებულ მოსახლეობას მთელი ღამის გატარება ღია ცის ქვეშ მოუწია. „წითელი ჯვრის" შეფასებებით, 200 000-ზე მეტმა ადამიანმა მიატოვა საცხოვრებელი სახლები განმეორებითი ბიძგების შიშით.

რეგიონის საავადმყოფოები მუშაობის საგანგებო რეჟიმზეა გადასული, მაგრამ ამის მიუხედავად, დაშავებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად ადგილები მაინც არასაკმარისია. დაღუპულთა ნათესავები კი იძულებულნი არიან ტრაგედიის მსხვერპლთათვის ე.წ. ძმათა სასაფლაოები მოამზადონ. სტიქიამ ყველაზე მეტად ქალაქი ბანტული დააზარალა, რომელიც ჯოკიაკარტის სამხრეთით მდებარეობს. ადგილობრივი ხელისუფლების მონაცემებით, მარტო ამ ქალაქში დაღუპულთა რაოდენობამ 2 000-ს გადააჭარბა.

ინდონეზიელ მაშველებს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასული მაშველთა ჯგუფებიც ეხმარებიან. საერთაშორისო ორგანიზაციები სტიქიური უბედურების ზონაში თანამშრომლებთან ერთად პირველადი საჭიროების ნივთებსაც გზავნიან. სპეციალისტები ვულკან მერაპის ამოფრქვევასაც არ გამორიცხავენ, რომელიც მიწისძვრის ეპიცენტრიდან 30 კმ-ში მდებარეობს.

დაზარალებულთათვის დასახმარებლად მზადყოფნა უკვე გამოთქვეს გაერო-მ, რუსეთმა, ევროკავშირმა, იაპონიამ და მალაიზიამ.

„წითელმა ჯვარმა" თხოვნით მიმართა საერთაშორისო საზოგადოებას - შეაგროვონ 10 მილიონი აშშ დოლარი, რაც მიწისძვრით დაზარალებულთათვის პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის აუცილებელი თანხაა.

კუნძულზე უკვე ჩავიდნენ სინგაპურელი ექიმები და მაშველები.

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ დაზარალებულებს 5 მილიონი აშშ დოლარით აღუთქვა დახმარება, 2 მილიონი აშშ დოლარით დახმარებას გეგმავენ ჩინეთი, აშშ და კანადა.

მაშველებს სამუშაოების სრულყოფილად შესრულებაში მოშლილი საკომუნიკაციო საშუალებების გარდა ხელს ელექტროენერგიის არქონაც უშლის. არ ფუნქციონირებს ჯოკიაკარტის აეროპორტიც.

ინდონეზიის პრეზიდენტმა სუსილო ბამბანგ იუდჰოიონომ სტიქიური უბედურების ზონაში უკვე გაგზავნა სამხედრო ნაწილები, რომლებმაც მაშველებთან ერთად შეუსვენებლად უნდა იმუშაონ.

გარდა ამისა, იუდჰოიონომ თავადაც მოინახულა შაბათს მიწისძვრის შედეგად განადგურებული ქალაქი. მან ღამე ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად კარავში გაათენა.

საავადმყოფოებში დაზარალებულთათვის არასაკმარისი ადგილების გამო, ინდონეზიის „წითელმა ჯვარმა" სტიქიური უბედურების ზონაში 21 საველე ჰოსპიტალი განათავსა.

მიწისძვრამ სერიოზულად დააზიანა კულტურული ღირებულების მქონე ძეგლებიც. კუნძულ იავაზე მდებარე ტაძრის კომპლექსში - პრამბანანში კედლის ნაწილი ჩამოინგრა. გარდა ამისა, დაზიანებულია უნიკალური ტაძრის კომპლექსი ბორობუდური, რომელიც მე-9 საუკუნეშია აგებული და ჯოკიაკარტიდან 30 კმ-ში მდებარეობს. საინფორმაციო სააგენტო „ესოშიეთიდ პრეს"-ის მიხედვით, სპეციალისტებს ჯერჯერობით უჭირთ ზარალის მასშტაბების დადგენა.

*ბი-ბი-სი*

## მოკლედ

### თბილისი-მოსკოვი - ცამეტი წლის შემდეგ

თბილისის რკინიგზის ცენტრალური სადგურიდან მოსკოვის მიმართულებით 13-წლიანი პაუზის შემდეგ შაბათს 17.45 საათზე პირველი მატარებელი გავიდა.

მოსკოვში მიმავალი ორი ვაგონი თბილისი-ბაქოს შემადგენლობაშია ჩაბმული, ხოლო ბაქოში ჩასვლისას აღნიშნული ორი ვაგონი ბაქო-მოსკოვის შემადგენლობას შეუერთდება. თბილისიდან მოსკოვამდე ბილეთის ფასი კუპირებულ ვაგონში 233 ლარია, ხოლო საერთო ვაგონში - 145 ლარი.

ბაქო-თბილისი-მოსკოვის მიმართულებით ვაგონები იმოძრავებენ თბილისიდან სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს, ხოლო მოსკოვიდან თბილისისკენ შემადგენლობა ორშაბათს, ოთხშაბათს და შაბათს გამოემგზავრება. მგზავრობისთვის სამი დღეა საჭირო, აღნიშნული ვაგონები მოსკოვში გამთენიისას ექვსის ნახევარზე იქნება. რეისი გაივლის შემდეგ ცენტრალურ სადგურებს - თბილისიდან - ბაქო, სამური, ასტრახანი, ვოლგოგრადი, ვორონეჟი და მოსკოვი.

თბილისი-მოსკოვის მიმართულებით რკინიგზის რეისი არ განხორციელებულა ბოლო 13 წელიწადია, ეს მიმართულება შეჩერებული იყო ჯერ აფხაზეთში 1993 წელს, ხოლო უკვე შემდეგ ჩეჩნეთში 1996 წელს მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო. დღეიდან კი, როგორც „საქართველოს რკინიგზაში" აცხადებენ, აღნიშნული რეისი რეგულარულად შესრულდება.

თბილისი-მოსკოვის რეისის აღდგენის ინიციატივა ქართულმა მხარემ დააყენა აშხაბადში გასულ წელს დსთ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რკინიგზელთა გაერთიანების შეხვედრაზე, რაც მხარდაჭერილი იყო როგორც აზერბაიჯანის, ასევე რუსული მხარის მიერ.

დღეისათვის თბილისიდან მოსკოვამდე დაახლოებით 50 ბილეთია გაყიდული, ჯერჯერობით უცნობია მოსკოვიდან თბილისამდე გაყიდულია თუ არა ბილეთები. მგზავრები, რომლებიც მოსკოვში მიემგზავრებოდნენ, დღეს კმაყოფილებით აცხადებდნენ, რომ მატარებლით მგზავრობა გაცილებით კომფორტულია და მოსკოვში ჩასასვლელად ამ მატარებლით ისარგებლებენ.

### ბათუმში სომხეთის საკონსულო გაიხსნება

„მალე ბათუმში სომხეთის საკონსულო გაიხსნება," - ამის შესახებ საქართველოში სომხეთის ელჩმა აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან, ლევან ვარშალომიძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. ჰრაჩ სილვანიანის თქმით, წარმომადგენლობის გახსნა ხელს შეუწყობს სომხეთისა და საქართველოს თანამშრომლობას ტურისტული ბიზნესის განვითარების სფეროში. სომეხი დიპლომატი არ გამორიცხავს, რომ მალე აჭარაში დიდი სომხური ინვესტიცია განხორციელდეს.

მეზობელი ქვეყნის ბიზნესმენები ფულს, სავარაუდოდ, რძის პროდუქტების წარმოებასა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში დააბანდებენ. „შეხვედრაზე გაჩნდა ორმხრივი ინიციატივა ბათუმში სომხეთის საკონსულოს გახსნის შესახებ. ვფიქრობ, რაზეც ვისაუბრეთ მთავრობის თავმჯდომარესთან, განსაკუთრებით ინვესტიციების მხრივ, სავსებით რეალურია. ჩვენ ვაპირებთ ინვესტიციების განხორციელებას საზკვების ობიექტებში და რძის პროდუქტების წარმოებაში", - აღნიშნა სომხეთის ელჩმა.

ჰრაჩ სილვანიანმა ბათუმის მერიაშიც გამართა შეხვედრა, სადაც რეგიონულ დონეზე ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრა. დიპლომატმა ბათუმის მერს ბათუმისა და ვანაძოლის დაძმობილების ინიციატივით მიმართა. ვიზიტის ფარგლებში ელჩი ბათუმში სომხური დიასპორის წარმომადგენლებსაც შეხვდა.

ელჩი ასევე ბათუმის, ქობულეთისა და გონიო-სარფის სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურით დაინტერესდა. წელს აჭარაში სომხეთიდან 40 ათასამდე ტურისტს ელოდებიან, რაც ორჯერ მეტია წინა წელთან შედარებით. **მედიანიუსი**

## ორი სიტყვით

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად, დღეს ესტონეთში გაემგზავრება. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი ქვეყნების პარლამენტის თავმჯდომარეთა კონფერენციაში მიიღებს მონაწილეობას. ნინო ბურჯანაძე კონფერენციაზე მოხსენებით გამოვა და საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებზე ისაუბრებს. ესტონეთში კონფერენციის შემდეგ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი ქვეყნების სპიკერები ჰელსინკში ფინეთის პარლამენტის 100 წლის იუბილეს დაესწრებიან. პარლამენტის თავმჯდომარე და საპარლამენტო დელეგაცია თბილისში 3 ივნისს დაბრუნდება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

დღეს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების რუსული ბატალიონის როტაცია დაიწყება. ამის შესახებ შერეული სამშვიდობო ძალების სარდლის თანაშემწემ, ვლადიმერ ივანოვმა განაცხადა. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული სამშვიდობო ძალების რუსული ბატალიონის როტაცია 23 მაისისთვის იყო დაგეგმილი. როტაციის ვადის შეცვლის მიზეზად ივანოვმა რუსეთის ბატალიონის პირადი შემადგენლობის წინასწარი მომზადების აუცილებლობა დაასახელა. **ჯი-ეიჩ-ენი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

## მოკლედ

### ახალციხეში ერთობლივი წვრთნები ჩატარდება

საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის ახალციხის მონაკვეთზე, 29-30 მაისს, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის სასაზღვრო უწყებების ერთობლივი წვრთნები ჩატარდება. სწავლების თემაა საზღვარზე დარღვევების წინააღმდეგ კოორდინირებული ქმედება და პრობლემის გადაწყვეტის მეთოდების შემუშავება. წვრთნების გახსნის საზეიმო ცერემონიას თურქეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო ატაშე საქართველოში გენერალ-მაიორი იუქსელ ოზთექინი, გენერალ-პოლკოვნიკი ჰაირი ქივრიქ ოღლუ, არდაგანის გუბერნატორი მურათ ილდირიმი და სხვა ოფიციალური პირები დაესწრებიან. საქართველოს სასაზღვრო უწყებიდან ღონისძიებაში მონაწილეობას დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ბადრი ბიწაძე, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეები და სხვა ოფიციალური პირები დაესწრებიან. სწავლების პროგრამის ფარგლებში ორი ქვეყნის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების წარმომადგენლებს შორის სხვადასხვა სახეობებში სპორტული შეჯიბრებები ჩატარდება. **ინტერპრესნიუსი**

### ორმხრივი ბრალდებები

ცხინვალის დე ფაქტო მთავრობის ინფორმაციისა და ბეჭდვის კომიტეტი, რუსი სამშვიდობოების განცხადებებზე დაყრდნობით, იტყობინება, რომ ქართულ ოსური კონფლიქტის ზონის სოფელ ფრისის თავზე 27 მაისს 16.40 საათზე, 3-4 კილომეტრის სიმაღლეზე, ჯავა-არცევის მიმართულებით მოძრავი „სუ-25" ტიპის თვითმფრინავი დააფიქსირეს.

რუსი სამშვიდობოები მომხდარ ფაქტს პროვოკაციად აფასებენ და აცხადებენ, რომ აღნიშნული ქმედებებით უხეშად ირღვევა შერეული საკონტროლო კომისიის 2002 წლის 30 ივლისის შეთანხმება და მიზნად ისახავს კონფლიქტის ზონაში ვითარების დაძაბვას. აღსანიშნავია, რომ 25 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, თავის მხრივ, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რუსეთის მხრიდან საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტი დააფიქსირა.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ დღეს, დაბა ჯავის ჩრდილო-დასავლეთით, 11:24 საათზე, „სუ-25" ტიპის საფრენი აპარატი 20 კილომეტრის სიღრმეში შემოფრინდა. ის 200 კმ/სთ სიჩქარით, 4,5 კმ სიმაღლეზე დაფრინავდა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, მაშინ რუს სამშვიდობოებს კომენტარი არ გაუკეთებიათ. მით უფრო, რომ როგორც თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, დარღვევა იმ რეგიონში მოხდა, სადაც სადაც რუსი სამშვიდობოების არაერთი საგუშაგოა განლაგებული. **პრაიმ-ნიუსი**

### ევროკონსტიტუციის ბუნდოვანი მომავალი

ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებს ეჭვი ეპარებათ, რომ ევროკონსტიტუცია უახლოეს მომავალში რეალობად იქცევა.

ავსტრიის ერთ-ერთ ტაძარში გამართული შეხვედრისას მინისტრები შეთანხმდნენ, რომ ერთი წლით გადაავადონ გადაწყვეტილების მიღება ევროკონსტიტუციასთან დაკავშირებით. თუმცა შეხვედრის ზოგიერთი მონაწილე შიშობს, რომ ამ საკითხის განხილვა 3-4 წლით გადაიწევს.

ევროკონსტიტუციის პროექტი, რომელიც ევროკავშირის წევრ 25-ვე სახელმწიფოში უნდა იქნეს რატიფიცირებული, შარშან საფრანგეთმა და ჰოლანდიამ არ მიიღეს. მიუხედავად ამისა, ესპანეთის საგარეო უწყება მიიჩნევს, რომ პროექტს ჯერ კიდევ აქვს გასვლის შანსი, მითუმეტეს, რომ მისი რატიფიცირება 15 სახელმწიფოში უკვე მოხდა.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი კი პირობას დებს, რომ 2007 წელს უფრო კონკრეტული წინადადებებით გამოვა. 2007 წელს ევროკავშირის თავმჯდომარე ექვსი თვით სწორედ გერმანია იქნება. **ინტერპრესნიუსი**

### მზადყოფნა დიალოგისთვის?

მთიანი ყარაბაღის ლიდერმა აზერბაიჯანულ მხარეს ბაქოსა და სტეპანაკერტს შორის პირდაპირი დიალოგის დაწყებისკენ მოუწოდა.

მთიანი ყარაბაღის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ლიდერის არკადი გუკასიანის განცხადებით, იმის გათვალისწინებით, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის სამხედრო გზით გადაწყვეტა შეუძლებელია, ოფიციალურ ბაქოს სტეფანოკერტთან პირდაპირი დიალოგის დაწყებისკენ მოუწოდა.

„ყველას ესმის, რომ ომი შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი არ არის, ვინაიდან ორივე მხარეს მშვიდობა სურს. ამისთვის კი საჭიროა ურთიერთობა და ნდობის აღდგენა", - განაცხადა არკადი გუკასიანმა. მისი აზრით, ზიზღისა და უნდობლობის ატმოსფეროში ყარაბაღისა და სხვა ნებისმიერი კონფლიქტის მოწესრიგება შეუძლებელია. **ინტერპრესნიუსი**

### „რუსული გაზის ალტერნატივა აზერბაიჯანშია"

აზერბაიჯანის პრეზიდენტის, ილჰამ ალიევის შეფასებით, რუსული გაზის ალტერნატივისა პოვნა, რომელსაც ევროპა დაეძებს, აზერბაიჯანში შეიძლება.

როგორც გაზეთ „ფაინენშალ ტაიმსთან" ინტერვიუში ილჰამ ალიევი აღნიშნავს, ბაქოს ესაჭიროება სამრეწველო და საინვესტიციო გეგმების გადასინჯვა იმისთვის, რომ დაეხმაროს ევროპას ენერგომომარაგების სფეროში. ასევე ალიევის თქმით, აზერბაიჯანს ეკისრება მნიშვნელოვანი როლი ნავთობის და გაზის ტრანზიტში ორი მსხვილი მილსადენით, რომლებიც მალე ამოქმედდება. როგორც ცნობილია, ორივე საქართველოზე გადის. **რადიო თავისუფლება**

# ახალი საერთაშორისო ბრენდი საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე

თინა შავაძე



ზაურ გოლიაშვილის ფოტო

ნავთობპროდუქტების იმპორტი და რეალიზაცია საქართველოში, დიდი ხანია, უკვე მომგებიანი ბიზნესია. წლების განმავლობაში ბაზარი კონტრაბანდული საწვავით იყო გაჯერებული, მაგრამ მისი ბაზრიდან განდევნის შემდეგ, არსებული მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ბევრი მსხვილი მოთამაშე საერთოდ გაქრა, თავიდანვე ლეგალურად და სწორად მომუშავე კომპანიებმა კი მოწინავე პოზიციები დაიჭირეს და ახალი უცხოელი პარტნიორის ქვეყანაში შემოყვანა შეძლეს. „24 საათს" ბაზრის ლიდერი კომპანია, შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე სოსო ფხაკაძე ესაუბრა.

**- რამ განაპირობა კომპანიაში ახალი ინვესტორის შემოსვლა?**

- ჩვენ 2000 წელს ბრიტანულ ნავთობმომპოვებელ კომპანია „კანარგო ენერჯი კორპორეიშენთან" ერთად დავაფუძნეთ შპს „კანარგო სტანდარტ ოილი პროდუქტი". კომპანიის ძირითად საქმიანობად განისაზღვრა ნავთობპროდუქტების იმპორტი და რეალიზაცია საქართველოში. ჩვენი კომპანიის სტრატეგიული ამოცანა იყო ქვეყანაში თანამედროვე, კარგად ორგანიზებული და ესთეტიკურად მიმზიდველი ავტოგასამართი სადგურების ქსელის შექმნა და მომხმარებლისთვის მაღალი კულტურის სერვისის შეთავაზება, სწორედ ისეთისა, როგორსაც ვხვდებით განვითარებულ ქვეყნებში. ვფიქრობთ, დასახული მიზნების შესრულებას დღემდე საკმაოდ წარმატებით ვახერხებდით. ექვსი წლის შემდეგ, მიმდინარე წლის 22 მაისს „კანარგო ენერჯი კორპორეიშენი" შეცვალა შპს „ვისოლ პეტროლიუმ ლიმიტედმა" და, შესაბამისად, კომპანიას ახალი უცხოელი პარტნიორი ჰყავს. აღნიშნული, თავის მხრივ, კომპანიის შემდგომი განვითარებისა და წარმატების საწინდარი გახდება.

**- შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" ახალი სახელწოდებაა. ექვსი წლის შემდეგ როგორია მისი სახე?**

- კომპანია საწყისი ეტაპიდანვე საკმაო დინამიზმით გამოირჩეოდა. აქ დღეისათვის 500-მდე ადამიანია დასაქმებული. გასულ წელს ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტში კომპანიის შენატანმა დაახლოებით 40 მილიონი ლარი შეადგინა. ვფიქრობ, მიმდინარე წელს 60 მილიონ ლარს გადავაჭარბებთ. ჩვენ საკმაოდ აგრესიულები ვართ და აქტიურად ვვითარდებით, მოქმედ 40-მდე ავტოგასამართ სადგურს მომავალ 2-3 წელში კიდევ მრავალს დავუმატებთ.

**- რა გაძლევთ ასეთი წარმატების მიღწევის იმედს?**

- 2004 წლამდე საქართველოში ნავთობპროდუქტების ბაზრის უმეტესი ნაწილი კონტრაბანდული საწვავით შემოიფარგლებოდა. ეს იყო საკმაოდ სერიოზული ეკონომიკური პრობლემა, რომელიც, ერთის მხრივ, აქვეითებდა მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, მეორეს მხრივ, ლეგალურად მომუშავე კომპანიებს ხელს უშლიდა ნორმალურად ფუნქციონირებაში.

**- როგორ გადანაწილდა ბაზარი კონტრაბანდის განდევნის შემდეგ?**

- კონტრაბანდის განდევნის შემდეგ მთლიანად შეიცვალა ბაზრის არქიტექტონიკა, მისი სტრუქტურა და თვისებრივად ახალ ეკონომიკურ გარემოში დარჩნენ მხოლოდ ის იმპორტიორი თუ რეალიზატორი კომპანიები, რომლებსაც უნარი შესწევთ, თანამედროვე საბაზრო, კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობებში ლეგალურად იმუშაონ და, ამავდროულად, ეკონომიკური სარგებელი მიიღონ.

**- მსხვილი იმორტიორი კომპანიების ერთი ნაწილი მომხმარებელს კომფორტული ავტოსადგურების ქსელის ფართო მომსახურებას სთავაზობს, ზოგი ხარისხიანი საწვავის გაყიდვით გამოირჩევა. რა ნიშა უჭირავს თქვენს კომპანიას?**

- ნავთობპროდუქტების ბიზნესის სრული ლეგალიზაციისთანავე ბაზარმა ცივილური სახე მიიღო, რაც ნიშნავს იმას, რომ მოქმედებენ ორგანიზებული კომპანიები, მათ აქვთ ავტოგასამართი სადგურების ქსელი, ჰყავთ სოლიდური კორპორაციული კლიენტები და მომხმარებელს სხვადასხვა სახის სერვისებს სთავაზობენ. ასეთი ტიპის სულ რამდენიმე კომპანია გამოიკვეთა. ჩვენი კომპანია იმ ნიშას იჭერს, სადაც მომხმარებელს კომფორტულად მოწყობილ ავტოგასამართ სადგურებზე მაღალი ხარისხის ნავთოპროდუქტებისა და მაღალი ხარისხის მომსახურების მიღება შეუძლია.

**- ვინ არიან თქვენი კონკურენტები?**

- ბაზარზე ჩვენ ლიდერი კომპანია ვართ და ჩვენი კონკურენტები არიან: „ლუკოილ ჯორჯია", „ეკო-ჯორჯია" და „რომ პეტროლი".

**- რა პარამეტრებით ხართ ლიდერი კომპანია?**

- ჩვენი მთავარი ამოცანაა, ვიყოთ პირველები როგორც რეალიზებული საწვავის მოცულობის, ასევე ავტოგასამართი სადგურების რაოდენობის კუთხით. მომავალი 2-3 წლის განმავლობაში დაახლოებით 20-25 ავტოსადგურის დამატებას ვაპირებთ.

**- ვინ არიან თქვენი კორპორაციული კლიენტები?**

- ჩვენს კონკურენტებთან ერთად ხშირად ვმონაწილეობთ ტენდერებში. ამ ეტაპზე სამი ათასამდე კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციას ვემსახურებით და მათზე მოდის კომპანიის მიერ საწვავის გაყიდვების დაახლოებით 40 პროცენტი, და ეს წარმატებული [illegible]

**- ამისთვის რა მექანიზმს ამოქმედებთ აპირებთ?**

- ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენს მიერ იმპორტირებული საწვავის ხარისხი დაიხვეწა. ნავთობპროდუქტები შემოგვაქვს აღმოსავლეთ ევროპიდან. თავდაპირველად, როცა კომპანია ამოქმედდა, მაშინ ჩვენ საშუალება არ გვქონდა, სტაბილურად უმაღლესი ხარისხის პროდუქტი შემოგვეტანა - ლეგალური მუშაობის პირობებში, როცა, როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, ჩვენი საწვავის სარეალიზაციო ფასი მაღალი იყო კონტრაბანდულთან შედარებით, 1 ლიტრ საწვავზე ჩვენ კიდევ 4-5 ცენტი უნდა დამატებით გადაგვეხადა, რომ ევროპული პროდუქტი შემოგვეტანა. ეს, ბიზნესის თვალსაზრისით, აბსოლუტურად წამგებიანი იქნებოდა. ამიტომაც, ძირითადად, აზერბაიჯანულ პროდუქტზე ვმუშაობდით. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბაზრიდან კონტრაბანდა განიდევნა, ჩვენ მაღალხარისხიანი ნავთობპროდუქტების შემოტანა რუმინეთიდან დავიწყეთ. ახალი პარტნიორის - შვეიცარული კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ლიმიტედის" შემოსვლა, რომელიც ნავთობისა და ნავთობპროდუქტების რეალიზაციის სექტორში მუშაობს, დიდ ენერგიას გვაძლევს, რაც დასავლეთ ევროპის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებთან კავშირების დამყარებასა და ფინანსური შესაძლებლობების ზრდაში გამოიხატება. 28-30 მაისს საბერძნეთიდან ნავთობპროდუქტებით დატვირთულ პირველ ტანკერს მივიღებთ. ეს იგივე ხარისხის პროდუქტია, რომელიც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში იყიდება.

**- ევროპულ საწვავზე როგორი მოთხოვნაა ბაზარზე?**

- საქართველოს ბაზარზე მაღალხარისხიან ნავთობპროდუქტზე დღეს საერთო მოთხოვნის 45 პროცენტი მოდის და ეს სეგმენტი ზრდის ტენდენციით აღინიშნება. ამ ეტაპზე, ძირითადად, გვაქვს ექვსი სახის პროდუქტი, აქედან 4 (ოთხი) - უმაღლესი ევრო-3 სტანდარტის შესაბამისია. ეკოლოგიურად სუფთა ბენზინი (სუპერ მაქსპაუერი და პრემიუმ პაუერი) და ევროდიზელი უზრუნველყოფს ეკონომიურ წვას, ახანგრძლივებს კატალიზატორის მუშაობას, იცავს ძრავს და ამცირებს მის ცვეთას. ამ პროდუქტების საერთო ქიმიური მახასიათებლებია:

- გოგირდის დაბალი შემცველობა, მგ/კგ - არა უმეტეს 50;
- ბენზოლის მოცულობითი წილი, პროცენტი - არა უმეტეს 1;
- არომატული ნახშირწყალბადების მოცულობითი წილი, პროცენტი - არა უმეტეს 42;
- ტყვიის შემცველობა - 0 პროცენტი.

მაღალი ცეტანური რიცხვის მქონე ეკოლოგიურად სუფთა ევროდიზელი [illegible]

ზო, ჩვენ ღვიძლ თაო ... [illegible]

დონეს, შევიმუშავეთ ე.წ. „ეკონომ პაკეტი". აქ შედის არაევროპული წარმოების 2 ტიპის პროდუქტი - „რეგულარ სტანდარტი" და „დიზელ სტანდარტი", რაც დაბალშემოსავლიან ოჯახებზეა გათვლილი. ანუ, ჩვენ მომხმარებელს ვთავაზობთ ნავთობპროდუქტების მთელ სპექტრს, რითაც საშუალებას ვაძლევთ, გააკეთოს თავისუფალი არჩევანი.

**- ვინ ფლობს შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" საკონტროლო პაკეტს? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ უცხოელ ინვესტორებს მიღებული მოგების ქვეყნიდან შეუზღუდავი გატანის (რეპატრიაციის) უფლება აქვთ.**

- ჩვენ თავდაპირველ პარიტეტს (50/50-ზე) ვინარჩუნებთ. მინდა გითხრათ, რომ მომავალი 3-4 წლის განმავლობაში მოხდება მიღებული შემოსავლების მთლიანი ნაწილის კომპანიაში რეინვესტირება. მათ ძალიან მოსწონთ კომპანიის მენეჯმენტი, რომელიც აბსოლუტურად დასავლური ტიპისაა. მართალია, კომპანიის წარმმართველი გუნდი ქართველებისგან შედგება, მაგრამ მენეჯერების 80 პროცენტს ევროპისა და აშშ-ს უნივერსიტეტებში აქვს განათლება მიღებული.

**- თქვენთვის რამდენად პრიორიტეტულია რეგიონებში ავტოგასამართი სადგურების ქსელის გაფართოება?**

- ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, განსაკუთრებით, ეკონომიკურად ჩამორჩენილ რეგიონებში. ჩვენ ვცდილობთ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამა თუ იმ რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში. როცა სადგური იხსნება, ირგვლივ ყველაფერი განათებულია და იქ 10-15 ადამიანის დასაქმება ხდება. დასაქმებულ პერსონალს კლიენტებთან ურთიერთობას თბილისში სპეციალურ ტრენინგებზე ვასწავლით. საშუალო რგოლში დასაქმებული ოპერატორის ხელფასი 200 ლარია, თუმცა, თუ თანამშრომელი კეთილსინდისიერად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, მას ყოველკვარტალურად პრემიით ვაჯილდოებთ, რაც საკმაოდ კარგი თანხა გამოდის. ჩვენ ვცდილობთ, რომ ადამიანი, რომელიც მოწინავე ხაზზე დგას და კომპანიის სახეა, მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყოს.

**- ბევრი ექსპერტის აზრით, ქვეყანაში წარმოება რომ არ ვითარდება, ცუდი კორპორაციული მართვის შედეგია. თქვენ რას ფიქრობთ?**

- კორპორაციული მართვის კულტურა საქართველოში დაბალია და ის დაკავშირებულია როგორც მაკროეკონომიკური, ასევე მიკროეკონომიკური ხასიათის პრობლემებთან. მაგრამ კორპორაციული მართვის კუთხით კომპანიები თანდათან სერიოზულ ნაბიჯებს დგამენ, ეს განსაკუთრებით შეინიშნება საბანკო სექტორში და უკვე სხვა ბიზნესებშიც. მაგალითად, ჩვენ ბოლო ექვსი თვეა, ვმუშაობთ კომპანიასთან, რომელმაც ხარისხის მართვის სერტიფიკატი უნდა მოგვანიჭოს. ეს იქნება IS 9001:2000 და შ.პ.ს. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" გახდება პირველი კომპანია ჩვენს სექტორში, რომელმაც აღნიშნული სერტიფიკატი მიიღო.

**- შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" სააქციო საზოგადოებად გარდაქმნას და მისი აქციების ბირჟაზე გაყიდვას თუ აპირებთ?**

- საბოლოო ჯამში, ჩვენი ამოცანაა მოხდეს კომპანიის ლისტინგი და [illegible] საშუალებაა.

# მომავალი სამიტი სანქტ-პეტერბურგში

პირველი გვერდიდან

მომრავლებული კრიტიკის მიუხედავად, ბუშმა სამიტის ბოიკოტირებაზე უარი განაცხადა. „მე მჭირდება შესაძლებლობა, რომ დავჯდე მასთან (პუტინთან) ერთ მაგიდასთან და ძალიან გულახდილად ვესაუბრო ჩვენს პრობლემებზე," - განაცხადა ბუშმა მარტის ბოლოს ვაშინგტონში, „Freedom Hous"-ში გამოსვლისას.

ნუთუ ბუში არ არის მართალი? ღირს თუ არა შეხვედრა არასასიამოვნო, მაგრამ ძლევამოსილ ადამიანებთან - ეს კითხვა მუდამ თან სდევს დიპლომატიას მისი არსებობის დღიდან და მასზე ცალსახა პასუხი ჯერ არავის გაუცია. ასეთ საკითხში კონკრეტულ შემთხვევას უნდა დაეყრდნო, კონკრეტული ვითარება უნდა შეისწავლო, პრეცედენტები და მაგალითები უნდა გაითვალისწინო.

„დიდი რვიანი" 1975 წელს ჩამოყალიბდა, როგორც არაოფიციალური ჯგუფი. მასში აშშ-სთან ერთად შედიოდნენ ევროპის „დიდი ოთხეულის" ქვეყნები - დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია და იტალია; ასევე იაპონია და კანადა. ჯგუფი 1998 წელს გაფართოვდა იმისათვის, რომ მასში პოლიტიკური და არა ეკონომიკური მოსაზრებებით რუსეთი მიეღოთ. რუსეთის, როგორც დემოკრატიზებული, მაგრამ პოტენციურად ჯერ კიდევ საშიში, ენერგორესურსებით მდიდარი ყოფილი ზე-სახელმწიფოს საბრალო სტატუსმა თავისი როლი შეასრულა. ჩინეთს არასოდეს ეპატიჟებოდნენ ამ გაერთიანებაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა გაცილებით უფრო ძლიერია ეკონომიკურად. ჩინეთი მიუღებელი აღმოჩნდა პოლიტიკური თვალსაზრისით.

სავარაუდოდ, „დიდი რვიანი" მსოფლიოს უმსხვილესი ეკონომიკური სისტემების გაერთიანება უნდა ყოფილიყო. სინამდვილეში კი, ამ ორგანიზაციაში შედის ქვეყანა, რომლის ეკონომიკაც ჰოლანდიის ეკონომიკას უტოლდება.

დღევანდელი გადასახედიდან, რუსეთის ამ გაერთიანებაში გაწევრიანება, შესაძლოა, შეცდომად უნდა ჩაითვალოს. პუტინის მმართველობის პერიოდში რუსეთი უფრო სტაბილური, მაგრამ ნაკლებად დემოკრატიული გახდა. რუსეთის მკვეთრი ეკონომიკური აღმავლობა ნავთობისა და გაზის ექსპორტის დამსახურებაა და არა საბაზრო ეკონომიკის ჯანსაღი განვითარებისა. სახელმწიფო ჯერ კიდევ მართავს ეკონომიკას ისე, როგორც თავად სურს და ამის მაგალითია „იუკოსის" ფაქტობრივი რე-ნაციონალიზაცია. მეორე მხრივ, კრემლი საერთაშორისო ავანტიურიზმისგან თავს იკავებს და საკმაოდ თანმიმდევრულად მხარს უჭერს აშშ-ს მიერ წარმოებულ „ომს ტერორიზმის წინააღმდეგ". ევროპა სულ უფრო დამოკიდებული ხდება რუსულ ნავთობზე და გაზზე, ხოლო აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს კი შუა აზიაში მოღვაწეობისთვის რუსეთის თანხმობა სჭირდებათ. აქედან გამომდინარე, მიიჩნიეს, რომ „დიდი რვიანის" წევრობაზე რუსეთისთვის უარის თქმა პოლიტიკური თვალსაზრისით არაკეთილგონივრული გადაწყვეტილება იქნებოდა. 2003 წლის სამიტმა რუსეთის პრივილერიგებული მდგომარეობა დაადასტურა. ამ ზაფხულს სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილი სამიტი კი რუსეთის პრივილეგირებულობას თითქმის ურყევს გახდის.

დადასტურდა თუ არა პუტინის მსგავს ლიდერებთან გამართული „ჩვენს პრობლემებზე გულახდილი საუბრების" ეფექტურობა? სავარაუდოდ, არა. თუმცა, ერთი რამ უნდა ითქვას. პუტინი ხელისუფლებაში 2000 წელს მოვიდა. მას შემდეგ, დემოკრატიის მშენებლობის თვალსაზრისით, რუსეთი მხოლოდ უკან-უკან მიიწევს. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს მხრიდან იგნორირების შემთხვევაში, პუტინის პოლიტიკა, შესაძლოა, კიდევ უფრო უარესი ყოფილიყო. ყველა შემთხვევაში, „დიდი რვიანის" პეტერბურგული სამიტის ბოიკოტირება რუსეთის ტრიუმფი იქნებოდა, რადგან დასავლეთში ეს დიდ შეშფოთებას გამოიწვევდა.

მაგრამ დასავლეთის მოთმინებასაც ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი? განსაკუთრებით კი, თუ გავითვალისწინებთ სამიტის დღის წესრიგს... სამიტზე საუბარი იქნება ენერგომომარაგებაზე, ჯანდაცვის, განათლების, ტერორიზმთან ბრძოლისა და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საკითხებზე. არის კი რუსეთი ამ საკითხებში სანდო პარტნიორი?

რეალურად, რუსეთი ევროპის ენერგომომარაგების საკითხებში უნდობლობის ძირითადი პროვაიდერია. უკრაინის მიმართ რუსულმა „გაზის შანტაჟმა" მთელი კონტინენტი შეაშინა. ხოლო რუსეთის ბალტიის ზღვის ქვეშ გამავალმა ახალმა მილსადენმა, რომელიც პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების გვერდის ავლით გერმანიას უკავშირდება, უზარმაზარი რისხვა გამოიწვია. პოლონეთისა და ბალტიის ქვეყნების შეშფოთება გამოიწვია იმან, რომ რუსეთის ამ გადაწყვეტილებით ისინი ეკონომიკურ და პოლიტიკურ დივიდენდებს კარგავენ. ისინი ასევე შიშობენ, რომ რუსეთი მომავალშიც გამოიყენებს ენერგეტიკას, როგორც მათზე ზემოქმედების ბერკეტს. და ეს მაშინვე მოხდება, რაც რუსეთს საშუალება მიეცემა ახალი მილსადენის გამოყენებით უპრობლემოდ მოახდინოს ენერგორესურსები დასავლეთ ევროპას.

პოლონეთისა და ბალტიის ქვეყნების ამ შეშფოთებამ დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა მათ გერმანელ პარტნიორებზე ევროკავშირში. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან შროდერი დღეს სათავეში უდგას ამ კონსორციუმს, რომელმაც აღნიშნული ბალტიური მილსადენი უნდა ააშენოს.

1981 წელს საფრანგეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა პიერ მორუამ სსრკ-ს მიერ პოლონეთში საომარი ვითარების შემოღების მიუხედავად, უარი განაცხადა სსრკ-სთან დადებული გაზის შეთანხმების გაწყვეტაზე. მაშინ მორუამ ერთი ფრაზა თქვა, რომელიც ძალიან ესადაგება გერმანიისა და ზოგადად დასავლეთ ევროპის დღევანდელ პოზიციას რუსეთის ენერგოპოლიტიკის მიმართ: „საჭიროა კი, თავისუფლებაშეზღუდული პოლონელების ტანჯვას გაზის გარეშე დარჩენილი ფრანგების ტანჯვაც დავმატოთ?" - აღნიშნა მორუამ. ძველი ჩვევების დავიწყება არც ისე იოლია.

რუსეთის პეტერბურგული სამიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ არც სხვა საკითხებში აქვს სახარბიელოდ საქმე. რუსეთი სათავეში უდგას იმ ქვეყნების სიას, სადაც მზარდი ტემპებით ვრცელდება ისეთი დაავადებები, რომელთა პროფილაქტიკა და თავიდან აცილება შესაძლებელია. ეს დაავადებებია აივ-ინფექცია, ტუბერკულოზი. მხოლოდ შარშან რუსეთში ტუბერკულოზის შედეგად 32 ათასი ადამიანი დაიღუპა. რაც შეეხება განათლების სისტემას - ამ ქვეყანაში საგანმანათლებლო ნორმების სერიოზული დეფიციტია.

რაც შეეხება ტერორიზმთან ბრძოლას, რომელიც ასევე შეტანილია სამიტის დღის წესრიგის ერთ-ერთ პუნქტად - აქ მხოლოდ ერთი მაგალითი კმარა: რუსეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც პალესტინის არჩევნების შემდეგ „ჰამას"-ის ოფიციალური დელეგაცია მიიღო. ასევე რუსეთი აგრძელებს ბრძოლას ჩეჩნურ ტერორიზმთან ისეთი მეთოდებით, რომლებიც ამ ქვეყანას (რუსეთს) აუცილებლად მიიყვანდნენ საერთაშორისო სასამართლომდე, ის რომ უშიშროების საბჭოს წევრი არ იყოს. რაც შეეხება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობას - ამ მიმართულებით რუსეთის წარმატებების შესახებ აიათოლას ჰკითხეთ თეირანში.

პუტინის რუსეთი არ არის ის ადგილი, სადაც დემოკრატიული ლიდერების სამიტი უნდა იმართებოდეს, მითუმეტეს თუ უკანასკნელი სამიტის უსუსურ შედეგებს გავითვალისწინებთ. სამიტის დღის წესრიგიც ვერ ამართლებს მისი გამართვის ადგილს.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ პუტინის პოლიტიკა შეიძლებოდა ბევრად უარესიც ყოფილიყო. თუმცა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ რუსეთმა დასავლეთის ამჟამინდელი დამოკიდებულება კანონზომიერად მიიჩნიოს. რუსეთთან კავშირის გაწყვეტით და მასთან კონფრონტაციით არაფერი მიიღწევა. მაგრამ „რეალურ პოლიტიკას" „რეალური პოლიტიკით" უნდა უპასუხო და არ არსებობს არავითარი მიზეზი, რომ ასე არ მოიქცე.

*კონსტანტინ გებერტი - წამყვანი პოლონელი ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში.*

Project Syndicate, 2006.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95,77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# მაღალანაზღაურებადი პროკურორების რთული საქმეები

*საქართველოს მთავრობამ და დონორებმა დიდი ოდენობის თანხა გაიღეს პროკურატურის შენობების მოდერნიზაციისა და კადრების მომზადებისათვის. პროკურორების განცხადებით, სამუშაოებს ფუჭად არ ჩაუვლია - ისინი მიღწევებზე საუბრობენ.*

ოლიკო ცისკარიშვილი

ვარდების რევოლუციის შემდეგ პროკურორები შედარებით „გამდიდრდნენ“. 2002 წლიდან 2005 წლამდე პროკურატურის სახელფასო ფონდი თითქმის ხუთჯერ, 2 მილიონიდან დაახლოებით 10 მილიონ ლარამდე გაიზარდა. თითქმის ამდენითვე გაიზარდა პროკურატურის მთლიანი ბიუჯეტი. მთავრობისა და საერთაშორისო დონორების წყალობით რეფორმებიც ხორციელდება - დაწყებული ეთიკის კოდექსიდან, დამთავრებული კომპიუტერიზაციითა და პერსონალის გადამზადებით ესპანეთსა და დიდ ბრიტანეთში.

ბრიტანეთის საკონსულომ პროკურატურა კომპიუტერული ტექნიკით - 95 კომპიუტერით, პრინტერებით, სკანერებით უზრუნველყო. ასევე 700 პროკურორმა ადამიანთა უფლებებსა და ეთიკის კოდექსში ტრენინგი გაიარა.

**„ჩვენ ვცდილობთ, ჩვენი საქმიანობის თითოეული მიმართულება ევროპულ სტანდარტებს მაქსიმალურად დავუახლოვოთ,** - აღნიშნავს გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, **- ამ მიზნის მისაღწევად პროკურატურაში უკვე მიმდინარეობს სტრუქტურული ცვლილებები.“**

აღსანიშნავია მრავალი რაიონული თუ საოლქო პროკურატურის შენობის რემონტი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, ხელფასებისა და სოციალური გარანტიების მნიშვნელოვანი ზრდაც. და მაინც, არის თუ არა პროკურატურა სრულიად დამოუკიდებელი?

**„არა,“** - აცხადებს საქართველოს გენერალური პროკურატურის საორგანიზაციო-ანალიტიკური სამმართველოს უფროსი გიორგი ჯოხაძე.

**„პროკურატურის, როგორც ორგანოს, კონსტიტუციური სტატუსი დღემდე განსაზღვრული არ არის. სავარაუდოდ, თავად პროკურატურის ფუნქციებიდან გამომდინარე, მისი ადგილი აღმასრულებელ ხელისუფლებაშია.“**

ამის ნაცვლად, ამბობს ჯოხაძე, **„პროკურატურას უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლობის გარანტია. მაგალითად, მთავრობის შეცვლა არ უნდა იწვევდეს გენერალური პროკურორის შეცვლას. ეს იქნებოდა იმის გარანტია, რომ იგი არ იმყოფება ხელისუფლების კონტროლის ქვეშ და მას შეუძლია გამოიძიოს უმაღლეს ხელისუფალთა საქმიანობაც, თუ ისინი რამეს დააშავებენ.“**

ჯოხაძის თქმით, ვარდების რევოლუციის შემდგომი რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდებია.

**„ეს სიახლეა ქართულ საჯარო სამსახურში. ჯერჯერობით, განსაზღვრული არაა რამდენი თანამშრომელი შემოგვემატება ტესტირების საფუძველზე. სავარაუდოდ, დაახლოებით 200-დან 300-მდე სტაჟიორი შეიძლება შეირჩეს, რომლებიც ერთწლიანი სწავლების შემდეგ, ჩვენს რიგებს შეუერთდებიან.“**

ჯოხაძე მხარს უჭერს სასწავლო და გადამზადების ცენტრის შექმნას. მისი თქმით, ამჟამად, ეთიკის კოდექსზე მუშაობა მიმდინარეობს. ჯოხაძე ამბობს, რომ ზოგიერთი მოსამართლე პროკურატურის მხრიდან ზეწოლაზე საუბრობს. მოსამართლეთა განცხადებით, პროკურორები აღკვეთის ღონისძიების სახით ხშირად მოითხოვენ წინასწარ პატიმრობის შეფარდებას. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლეები ამ მოთხოვნას არ დაემორჩილებიან, გათავისუფლების საფრთხის წინაშე დგანან.

**„ზეწოლაზე საუბარი საკმაოდ მოძველებულ მითად მიმაჩნია,“** - ამბობს ჯოხაძე. მისი თქმით, გასულ წელს მათ გამოიკვლიეს ეს საკითხი. აგვისტოს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქმეთა უმეტესობაში, დაახლოებით სამ მეოთხედ შემთხვევაში, სასამართლოს არ გაუზიარებია პროკურორის მოთხოვნა.

ჯოხაძის თქმით, 18 თვის განმავლობაში მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდა სისტემას. 2004 წლიდან 2005 წლის მეორე ნახევრამდე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში 300 მოხელეზე მეტი მიეცა, მათ შორის: 11 მინისტრი, მინისტრის 9 მოადგილე, 11 მოსამართლე, შინაგან საქმეთა სამინისტროს 7 გამომძიებელი, 211 პოლიციელი, ერთ-ერთი ქალაქის მერი, პარლამენტის წევრი. 59 პირს ბრალი დაედო მექრთამეობაში, აქედან 48 საქმე სასამართლოში წარიმართა და 40-ს კი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრა.

ვაჟა ჯანყარაშვილი ახლადშექმნილი საქართველოს გენერალური პროკურატურის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლის სამართლებრივი დევნის სპეციალური სამსახურის (დეპარტამენტი) ხელმძღვანელია. მისი განცხადებით, 2003 წლამდე საქართველოში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მექანიზმი არ არსებობდა, რის გამოც ხდებოდა ფულის გათეთრება და კრიმინალები ამ ფულს მსოფლიოს მაშტაბით ატრიალებდნენ.

ევროგაერთიანებისა და აშშ-ს საელჩოს დახმარებით, ახალი ოფისი სრულად დაკომპლექტდა. პოლიგრაფიული (სიცრუის დეტექტორზე) ტესტირების შემდეგ შერჩეული კანდიდატები ფინანსური გამოძიებისთვის გადამზადდნენ. ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობით მიმდინარეობს საეჭვო ტრანზაქციების მონიტორინგი და გამოძიება.

ჯანყარაშვილი იხსენებს ერთ-ერთ გახმაურებულ ოპერაციას. ერთ-ერთი კომერციული ბანკ „გამაბანკის“ თანამშრომლების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, რომლის გამოძიების დროს მილიარდ დოლარზე მეტი თანხის გათეთრების ფაქტი გამოვლინდა. ეს იყო რუსეთიდან შემოსული ფული.

ამჟამად ამ საქმეს თბილისის საოლქო სასამართლო განიხილავს. დაპატიმრებულია ამ ბანკის ათი თანამშრომელი. მათ შორის ამირან ქადაგიშვილი, საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერი (90-იანი წლების შუაპერიოდში) და მისი ოჯახის წევრები.

ჯანყარაშვილის თქმით, ფულის გათეთრება სხვადასხვა გზით შეიძლება მოხდეს. **„როდესაც ადამიანი იპარავს ფულს, მას სახლში ვერ დადებს, რამე ინვესტიცია უნდა გააკეთოს. მაგალითად, ბინა იყიდოს თბილისში; არავის შეუსწავლია მშენებლობის ბუმი. გათეთრების ყველაზე კარგი გზა კაზინოა“.** საქართველოში მხოლოდ ადგილობრივი ფული არ თეთრდება, აღნიშნავს ჯანყარაშვილი.

**„საკმაოდ რთული გამოსაძიებელია ფულის გათეთრების საქმე, რადგან ეს თანხები, როგორც წესი, უცხოეთიდან მოდის, ან უცხოეთში მიდის, ვთქვათ, ფილიპინებში, ჩინეთიდან...“**

2004 წლიდან ამ სამსახურმა ბევრი საქმე გამოიძია. მათ შორისაა კომერციული ბანკი „ქართული ბანკი“, ეროვნული ბანკის საქმეები, პასუხისგებაში არიან მიცემული საგადასახადო ორგანოების, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის თანამშრომლები, ტექაღრიცხვის ბიუროს ყოფილი ხელმძღვანელი, აგრარული უნივერსიტეტის რექტორიც ნაპოლეონ ქარქაშაძე, რომელსაც უნივერსიტეტის ქონების გაყიდვა ედება ბრალად.

# პოლიციამ შემორიგებული ბეჟან გვაზავა დააკავა

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა წალენჯიხის რაიონის დაბა სქურის ტერიტორიაზე ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი ბეჟან გვაზავა დააკავეს. ის იარაღის უკანონოდ ტარებაშია ეჭვმიტანილი.

თვითმხილველების განცხადებით, ბეჟან გვაზავა მეგობრებთან ერთად კურორტ სქურში, პატრიოტული ბანაკის მიმდებარე ტერიტორიაზე ქეიფობდა და რამდენჯერმე უმისამართოდ გაისროლა.

ბეჟან გვაზავას დაკავებასთან დაკავშირებით სამხარეო პოლიციას ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, გვაზავას ხუთიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ბეჟან გვაზავა, ეროვნული გვარდიის სხვა წევრებთან ერთად, ახალმა ხელისუფლებამ შემოირიგა. გამსახურდიას მომხრე გვარდიის სხვა წევრებთან ერთად გვაზავა ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში ტყეში იმალებოდა. 1998 წლის 19 ოქტომბერს კი აკაკი ელიავას ცნობილ ამბოხებაშიც მონაწილეობდა. გვაზავას ბრალად ედებოდა ედუარდ შევარდნაძეზე 9 თებერვალს განხორციელებულ ტერაქტში მონაწილეობაც.

**ინტერპრესნიუსი**

# ომბუდსმენი ძალოვანებს მითითებებს აძლევს

პირველი გვერდიდან

ახსნა-განმარტებაში მან განაცხადა, რომ 2006 წლის 20 მაისს ივანე ვაშაკიძის კუთვნილი „გაზელის“ ტიპის ავტომანქანით გორის რაიონის სოფელ ტირძნისიდან ბათუმის მიმართულებით სარეალიზაციოდ მიჰქონდათ ვაშლი. დაბა სურამთან ისინი იძულებით გააჩერეს უცნობმა პირებმა; გაეცნენ როგორც პოლიციის თანამშრომლები და იარაღის მუქარით მათ ავტომანქანიდან გადაყვანას ცდილობდნენ. ნასყიდაშვილის განცხადებით, ერთ-ერთმა პიროვნებამ, რომელიც ვაშაკიძეს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა, მანქანის სალონში გაისროლა. ამ დროს თავად წინააღმდეგობას უწევდა მეორე პირს - მისთვის დანის წართმევას ცდილობდა. როგორც ნასყიდაშვილმა სახალხო დამცველის წარმომადგენლებს განუცხადა, ის დაუსხლტა თავდამსხმელს და შორიახლოს მდებარე სასაფლაოს ტერიტორიაზე დაიმალა. გაქცევის მომენტში მას რამდენიმე გასროლის ხმა კვლავ შემოესმა. დაახლოებით, ერთი საათის შემდეგ ნასყიდაშვილი უკან დაბრუნდა და შემთხვევის ადგილზე, სადაც უკვე პოლიციის ფორმიანი პირები იყვნენ მისულები, დაინახა, რომ „გაზელის“ ტიპის ავტომანქანა ჩაგორებული იყო ცოტა ქვემოთ, ხოლო გზის ნაპირზე სისხლის გუბე იდგა.

ნასყიდაშვილი აცხადებს, რომ ის წაიყვანეს ხაშურის შს რაიონულ განყოფილებაში, სადაც უთხრეს, რომ დაკავებული ჰყავდათ ვაშაკიძის მკვლელობაში ეჭვმიტანილები - ფინანსური პოლიციის თანამშრომლები და აინტერესებდათ, შეძლებდა თუ არა იგი მათ ამოცნობას, რაზეც ნასყიდაშვილმა თანხმობა განაცხადა. ნასყიდაშვილის ინფორმაციით, მან დეტალურად აღწერა თავდამსხმელთა ჩაცმულობა და გარეგნობა, რის შემდეგაც, მისთვის ამოსაცნობად აღარავინ წარუდგენიათ - მეტიც, მოგვიანებით განუცხადეს, რომ მკვლელობა მან ჩაიდინა.

სახალხო დამცველის წარმომადგენელთა ინფორმაციით, დავით ნასყიდაშვილი ხაშურის პოლიციის განყოფილებაში, დაახლოებით 4-5 საათის განმავლობაში იმყოფებოდა. ამ პერიოდში მასთან გამომძიებელი არ მისულა, არ შემდგარა დაკავების ოქმი და მისთვის არავის განუმარტავს მისი უფლებები. დაახლოებით, დილის ექვსი საათისათვის იგი გადაიყვანეს შიდა ქართლის შს სამხარეო სამმართველოში, სადაც შეადგინეს ეჭვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ შიდა ქართლის შს სამხარეო სამმართველოში მიყვანისას ნასყიდაშვილი მეორე სართულზე ერთ-ერთ ოთახში აიყვანეს, სადაც მოკლულ ივანე ვაშაკიძის ძმებისა და მეზობლების თანდასწრებით პოლიციელებმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და მკვლელობაში დაადანაშაულეს. ნასყიდაშვილი აცხადებს, რომ შეუძლია იმ მაღალჩინოსანი პოლიციელის ამოცნობა, ვის ოთახშიც მოხდა ინციდენტი და ვინც მას შეურაცხყოფა მიაყენა.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა გორის რაიონის სოფელ ფხვენისში მოინახულეს მოკლულის ოჯახის წევრები, რომლებიც აცხადებენ, რომ ნასყიდაშვილს არ მოუკლავს ვაშაკიძე. მოკლულის ახლობლები მკვლელობაში ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს ადანაშაულებენ და რამდენიმე მნიშვნელოვან საეჭვო გარემოებაზე მიუთითებენ.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა, კანონის თანახმად, მიმართეს შიდა ქართლის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის სამმართველოს გამომძიებელს სანთელაძეს, რომელმაც, რატომღაც, ინფორმაციის გაცემაზე უარი განაცხადა და თავი აარიდა მათთან საუბარს.

თავდაპირველად ნასყიდაშვილი ეჭვმიტანილი იყო მკვლელობაში, ამჟამად კი, მას ბრალი ედება მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვაში.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან საუბრისას დავით ნასყიდაშვილმა განაცხადა, რომ მას შეუძლია იმ პირის ამოცნობა, რომელმაც მანქანიდან გადაათრია. აღსანიშნავია, რომ იმ ადგილის სიახლოვეს, სადაც ნასყიდაშვილი და ვაშაკიძე უცნობმა პირებმა გააჩერეს, დავით ნასყიდაშვილს არ შეუმჩნევია სხვა ავტომანქანა.

მიუხედავად ნასყიდაშვილის განცხადებისა, რომ მას შეუძლია თავდამსხმელთა ამოცნობა, გამოძიებას ვაშაკიძის საქმეზე საგამოძიებო პროცედურა - ამოცნობა, რატომღაც არ ჩაუტარებია.

**„სახალხო დამცველი ადრეც მიუთითებდა შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის მიერ კონტრაბანდული საქონლის ამოღების დროს ძალის გადამეტების თაობაზე“,** - აცხადებს სოზარ სუბარი და იხსენებს სიმონ შოშიაშვილის საქმეს.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N5 საპყრობილეში შეხვდნენ ბრალდებულ სიმონ შოშიაშვილს, რომელიც შიდა ქართლის ფინანსურმა პოლიციამ 2006 წლის 11 მაისს დააკავა. შოშიაშვილი აცხადებს, რომ მიდიოდა გორის რაიონის სოფელ ქვეშში, სიმამრის ოჯახში, საიდანაც გასაყიდი ვაშლი უნდა წამოეღო. შოშიაშვილმა სოფელ ნიგოზის სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მანქანა გააჩერა და მისი შეკეთება დაიწყო. ამ დროს გაჩერდა უცნობი მანქანა, რომელში მსხდომმა პირებმა განუმარტეს, რომ იყვნენ ფინანსური პოლიციიდან და იცოდნენ, რომ შოშიაშვილი უაქციზო სიგარეტის წასაღებად იყო მოსული.

ბრალდებულის განმარტებით, მანქანისა და მიმდებარე ტერიტორიის ჩხრეკის შედეგად ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა სიგარეტი ვერ იპოვეს. 20-25 წუთის შემდეგ მათთან მივიდა შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსი ზურაბ არსოშვილი და მანქანის გასაღები მოითხოვა, რაზეც შოშიაშვილისგან უარი მიიღო.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან პირად საუბარში სიმონ შოშიაშვილმა აღნიშნა, რომ უარის თქმის შემდეგ შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსმა ზურაბ არსოშვილმა და ამავე დაწესებულების თანამშრომელმა ნოდარ მგელაძემ მას ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს, წაიყვანეს მანქანა და მასში დიდი რაოდენობით უაქციზო სიგარეტი ჩადეს.

კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც სახალხო დამცველს შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა მიერ ძალის გამოყენების თაობაზე ეჭვის გამოთქმის საფუძველს აძლევს, 2006 წლის 17 თებერვალს მომხდარი ინციდენტია. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთა ინფორმაციით, ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოს წარმომადგენლებმა დაკავებისას სასტიკად სცემეს კონტრაბანდული საქონლის შემოტანასა და გასაღებაში ეჭვმიტანილ ათ პიროვნებას. ორი მათგანი იმდენად მძიმედ იყო დაშავებული, რომ დროებითი დაკავების იზოლატორში მიყვანისთანავე გორის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ერთ-ერთ დაკავებულს ტრისტან მუშკიაშვილს ამ ინციდენტის შემდეგ მხედველობა დაუზიანდა.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა თბილისის N5 საპყრობილეში მყოფი დანარჩენი რვა ბრალდებულიც მოინახულეს და მათ ახსნა-განმარტება ჩამოართვეს. ბრალდებულებს სხეულზე მრავლობითი ჭრილობები და სისხლჩაქცევები აღენიშნებათ, დაზიანებული აქვთ თავის ქალის ძვლები.

სახალხო დამცველმა შესაბამისი ორგანოებისგან მომხდარი ფაქტის გამოძიება და დამნაშავე პირთა დასჯა მოითხოვა. სოზარ სუბარმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას და მოითხოვა, გამოძიების დამთავრებამდე უფლებამოსილება შეჩერებოდათ 17 თებერვლის ოპერაციის მონაწილე პირებს. სახალხო დამცველის მიმართვა გენერალურმა პროკურატურამ უპასუხოდ დატოვა. თუმცა, 2006 წლის 7 აპრილს ომბუდსმენის მიერ განმეორებით გაგაზავნილ წერილზე საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მივიდა პასუხი, რომლის თანახმად, საქმეზე დაკითხულები არიან მოწმეები და დაზარალებულები, მოპოვებულია ავადმყოფობის ისტორიები და ცნობები; გამოძიება გრძელდება, თუმცა მისი შედეგები სახალხო დამცველისთვის ჯერ არ უცნობებიათ.

რაც შეეხება ვაშაკიძის საქმეს, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა შესაბამის ორგანოებს, ობიექტურად გამოიძიონ საქმე და ჩაატარონ ის მნიშვნელოვანი საგამოძიებო პროცედურები, რაც რეალობას დაადგენს. სახალხო დამცველმა ვაშაკიძის საქმე პირად კონტროლზე აიყვანა.

*24 საათი*

# ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები

18-23 მაისს თბილისში ჩატარებული ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგები დღეს გახდება ცნობილი. როგორც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი კახა ასლანიშვილი აცხადებს, გამოცდები ადვოკატთა ასოციაციამ ამერიკის იურისტთა ასოციაციის დახმარებით ჩაატარა. ტესტური გამოცდა ჩატარდა - სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლისა და საერთო სპეციალობებში. მასში მონაწილეობა მიიღო ქვეყნის სხვადასხვა რეგიონსა და თბილისში მცხოვრებმა 3 ათას 200-მა ადვოკატმა. წინასწარი მონაცემებით, 55-მა პროცენტმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

„ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის“ თანახმად, რომელიც ძალაში 1 ივნისიდან შევა, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ადვოკატისთვის სავალდებულო ხდება. ამ გამოცდის ჩაბარების გარეშე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განხილვისას ადვოკატს მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოების მუშაობაში მონაწილეობის უფლება ექნება. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეებს, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე, ადვოკატს მათ განხილვაში მონაწილეობის უფლება ჩამოერთმევა, როგორც პირველ, ისე ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში.

საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგები ინტერნეტშიც განთავსდება და პრესაშიც დაიბეჭდება. წარმატებული ადვოკატების სიები სასამართლოებსა და იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ უწყებებს დაეგზავნება.

*მედიანიუსი*



**1**

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო კუპონის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი კუპონები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის კუპონები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის კუპონის ქვემოთ გამოქვეყნებულ რუბრიკას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "[illegible]" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის კუპონი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

"24 საათის" მკითხველისთვის

**შოთა ჯაოშვილი**

აქვს თუ არა უფლება სააქციო საზოგადოებას, რომ ყოველთვიურად გასცეს დივიდენდები?

ბატონო შოთა,

"მეწარმეთა შესახებ" კანონის 57-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 57. წლიური ანგარიში და მოგების გამოყენება. ქონების მოვლის ვალდებულება**

57.1. დირექტორები ადგენენ წლიურ ანგარიშს და სამეურნეო მდგომარეობის ანგარიშს, ასევე წმინდა მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოზე წარსადგენად. წმინდა მოგების განაწილების მოწონებულ წინადადებას სამეთვალყურეო საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას. თუ დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭო ვერ შეთანხმდებიან წმინდა მოგების განაწილებაზე, მაშინ წმინდა მოგების განაწილების ორივე წინადადება უნდა აცნობონ საერთო კრებას.

საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება მთელი წმინდა მოგება დარჩეს საწარმოში და გათვალისწინებულ იქნეს ახალი ანგარიშის დროს.

57.2. არ შეიძლება მიეცეს აქციონერებს სხვა საზღაური, გარდა საზოგადოების დივიდენდებისა. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში აქციონერი, რომელმაც ეს საზღაური მიიღო, ვალდებულია უკან დააბრუნოს იგი ან ფულადი სახით აანაზღაუროს წარმოშობილი ქონებრივი ზარალი. დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭო ამ პრინციპის დარღვევისათვის საზოგადოების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად. საერთო კრებას არ შეუძლია უარი თქვას ამ უფლების გამოყენებაზე. ეს უფლება შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებიდან არ მიუღიათ მათი მოთხოვნების კომპენსაცია.

57.3 აქციონერს შეუძლია იყოს საქმიან ან შრომით ურთიერთობაში საზოგადოებასთან და მიიღოს მისგან საზღაური, რომელიც არ წარმოადგენს დივიდენდს.

ამრიგად, საზოგადოება შეზღუდული არ არის დროში, თუ როდის უნდა გაანაწილოს საზოგადოების მოგება.

**ელდარ დვალიშვილი**

2003 წლის 22 დეკემბრიდან 2003 წლის 31 დეკემბრამდე მომცეს 2003 წლის კუთვნილი შვებულების 24 დღიდან 9 დღე, ხოლო 31 დეკემბრიდან გამანთავისუფლეს სამსახურიდან (კონტრაქტის ვადის გასვლასთან დაკავშირებით) და მომცეს შვებულებიდან დარჩენილი 15 დღის ფულადი კომპენსაცია. მაინტერესებს:

1. რამდენად სამართლიანად ამინაზღაურეს განთავისუფლებულს საბოლოო ანგარიში, როცა 1999 წლიდან შვებულებით არ მისარგებლია?

2. შეიძლებოდა თუ არა შვებულების დროს გავენთავისუფლებინე სამსახურიდან და არ გადაეხადათ უსარგებლო მეორე შვებულების კომპენსაცია?

ბატონო ელდარ,

"შრომის კანონთა კოდექსის" მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის და 67-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად:

**მუხლი 18. შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) ვადა**

1. შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) იდება:

ბ) განსაზღვრული ვადით, არა უმეტეს სამი წლისა.

**მუხლი 30. შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) შეწყვეტის საფუძველი**

1. შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) შეწყვეტის საფუძველია:

ბ) ამ კოდექსის მე-18 მუხლის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებით დაწესებული ვადის გასვლა.

**მუხლი 67. შვებულება**

4. დაუშვებელია ყოველწლიური შვებულების შეცვლა ფულადი კომპენსაციით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამუშაოდან დათხოვნილ პირს შვებულებით არ უსარგებლია.

**ინგული მალანია**

სტიქიის შედეგად დამიზიანდა ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო ნათესების 70%. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს სპეციალისტების მიერ შედგა დასკვნა ორჯერ: სტიქიის მომენტიდან ორ კვირაში და მოსავლის აღების წინ. მივმართე რაიონის გამგებელს თანდართული დოკუმენტებით გადასახადებისაგან განთავისუფლების თაობაზე (ხელშეკრულება მიწის იჯარის შესახებ გაფორმებული მაქვს რაიონის გამგეობასთან). გთხოვთ, განმიმარტოთ: 1. გამგებელი არის თუ არა უფლებამოსილი თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება (დადებითი, უარყოფითი) ან მასალები გადაუგზავნოს სხვა რგოლს გადაწყვეტილების მისაღებად? 2. არსებობს თუ არა იურიდიული მნიშვნელობის დოკუმენტი 2004-2005 წლებში წყალდიდობასთან დაკავშირებულ ზარალზე?

პატივცემულო ინგული,

სამოქალაქო კოდექსის 592-ე და 597-ე მუხლების, ასევე საგადასახადო კოდექსის 276-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ხ" ქვეპუნქტის, 168-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "მ" ქვეპუნქტის და 172-ე მუხლის "ვ" ნაწილის, 270-ე მუხლის "ზ" ნაწილის თანახმად:

**მუხლი 592. ცნება**

1. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულებით მიწის ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო მიზნით გადაეცემა სამეურნეო გამოყენებისათვის განკუთვნილ საცხოვრებელ ან სამეურნეო ნაგებობებთან (საწარმოსთან) ერთად ან ასეთი ნაგებობის გარეშე.

2. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარაზე ვრცელდება იჯარის წესები, თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარისათვის სხვა რამ არ არის დადგენილი.

**მუხლი 597. საიჯარო ქირის შემცირების მოთხოვნა**

თუ საიჯარო მიწაზე სტიქიური უბედურებების ან სხვა ფორსმაჟორული გარემოებების შედეგად მოიჯარეს მოსავლის ნახევარზე მეტი გაუნადგურდა, მას უფლება აქვს მოითხოვოს საიჯარო ქირის, ხოლო მიწის მესაკუთრეს - მიწის გადასახდის შესაბამისი პროპორციით შემცირება. საიჯარო ქირის და მიწის გადასახადის შემცირების მოთხოვნის უფლება მოიჯარესა და მესაკუთრეს აქვთ მხოლოდ მოსავლის აღებამდე, ზარალის ოდენობისა და მიზეზების შესახებ დადგენილი წესით გაფორმებული აქტის საფუძველზე.

**მუხლი 276. გადასახადისაგან გათავისუფლება**

1. ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

ხ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც მოწეული მოსავლის ნახევარზე მეტიც განადგურდა სტიქიის (ქარიშხალი, სეტყვა, გვალვა, წყალდიდობა) და სხვა ფორსმაჟორული შემთხვევების შედეგად. მიწის გადასახადისაგან გათავისუფლების საფუძველია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოსთან შეთანხმებით. კომისიის დასკვნა დგება ორჯერ - სტიქიის დამთავრების მომენტიდან 2 კვირის ვადაში და მოსავლის აღების წინ.

**მუხლი 168. გადასახადისაგან გათავისუფლება**

1. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:

მ) 2007 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ ფიზიკური პირის მიერ ამ მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს.

**მუხლი 172. გადასახადისაგან გათავისუფლება**

მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება:

ვ) 2007 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ პირის მიერ ამ მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს.

**მუხლი 270. გადასახადისაგან გათავისუფლება**

სოციალური გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

ზ) 2007 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული და საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით დაკავებული პირის მიერ აღნიშნულ საქმიანობაში დაქირავებულისათვის გადახდილი ანაზღაურება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში დამქირავებლის მიერ ამ მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს.

თქვენ საიჯარო ქირის შემცირების მოთხოვნით უნდა მიგემართათ სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარისათვის ანუ მეიჯარისათვის, აღნიშნული მხარე იქნებოდა უფლებამოსილი, მიეღო გადაწყვეტილება საიჯარო ქირის შემცირების თაობაზე. რაც შეეხება იურიდიული დოკუმენტაციის არსებობას, თქვენ უფლება გაქვთ, მიმართოთ განცხადებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, რომელიც, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ვალდებულია, გაგცეთ პასუხი.

**ნოდარ მესტვირიშვილი**

შეუძლია თუ არა მამას, საკუთარი უძრავ-მოძრავი ქონება ანდერძით დაუტოვოს ნათესავს და არა საზღვარგარეთ წლების განმავლობაში მუდმივად მცხოვრებ შვილს, რომელსაც მამასთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვეტილი აქვს. მამა გარდაიცვალა 1988 წელს, მისი შვილი გახლდათ დასაფლავებაზე და იცოდა ანდერძის შესახებ. მას არავითარი პრეტენზია არ განუცხადებია თავიდან, ახლა შეუძლია თუ არა, მოითხოვოს სამკვიდროდან წილი?

ბატონო ნოდარ,

1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 546-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 556-ე მუხლების თანახმად:

**მუხლი 546. მემკვიდრეობა ანდერძით**

ყოველ მოქალაქეს შეუძლია მთელი თავისი ქონება ან მისი ნაწილი (ჩვეულებრივი საოჯახო და საყოფაცხოვრებო საგნების ჩათვლით) დაუტოვოს ანდერძით ერთს ან რამდენიმე პირს, როგორც კანონისმიერ მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშესაც, აგრეთვე სახელმწიფოს ან ცალკეულ სახელმწიფო, კოოპერაციულ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

**მუხლი 556. სამკვიდროს მიღება**

იმისათვის, რომ სამკვიდრო მემკვიდრისა გახდეს, მან უნდა მიიღოს იგი. არ შეიძლება სამკვიდროს მიღება რაიმე პირობის წამოყენებით.

სამკვიდრო მიღებულად ითვლება, თუ მემკვიდრე ფაქტიურად შეუდგება სამკვიდრო ქონების ფლობას ან მართვას, აგრეთვე, როდესაც იგი შეიტანს სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ ორგანოში სამკვიდროს გახსნის ადგილას განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ.

ამ მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული მოქმედებები შესრულებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

იმ პირებს, ვისი მემკვიდრეობის უფლებაც მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოიშობა, თუ სხვა მემკვიდრეებმა სამკვიდრო არ მიიღეს, შეუძლიათ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის დარჩენილი ხნის განმავლობაში განაცხადონ, რომ თანახმა არიან მიიღონ სამკვიდრო; როცა აღნიშნული დრო სამ თვეზე ნაკლებია, იგი გაგრძელებულ უნდა იქნება სამ თვემდე.

მიღებული სამკვიდრო ითვლება მემკვიდრის საკუთრებად მემკვიდრეობის გახსნის დღიდან.

ამრიგად, მემკვიდრეს სამკვიდროზე უნდა განეცხადებინა პრეტენზია სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვს თვეში (სამკვიდრო გახსნილად ითვლება მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან), რადგან მან იცოდა სამკვიდროს გახსნის შესახებ და არ განაცხადა პრეტენზია, ველარ მიიღებს სამკვიდროდან წილს.

**ავთანდილ შარაშენიძე**

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N48 ბრძანებულების მე-11 მუხლი ითვალისწინებს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს თანამშრომლის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებას ყოველთვიური სარჩოს გადახდის სახით, ხოლო მე-2 მუხლი მიუთითებს, რომ ამისათვის ადგილი უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციის ბრალს. სამართალდამცავი და ძალოვანი სტრუქტურების მაღალი რისკის სფეროში მომუშავე ხალხის შემთხვევაში, მათ ჯანმრთელობას ზიანს აყენებს მტერი- ბოროტმოქმედი და სხვა, რაც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციის ბრალთან. გამოდის, რომ ძალოვანთა ათობით ათასიანი ჯგუფის წარმომადგენლები ვერასოდეს ვერ მიიღებენ სარჩოს, ვინაიდან ადგილი არ ექნება ადმინისტრაციის ბრალს. გთხოვთ, განმიმარტოთ, რა უნდა გაკეთდეს ასეთ შემთხვევაში?

ბატონო ავთანდილ,

"სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეცილური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ" კანონის მე-2 "გ" პუნქტის, მე-3 და მე-17 მუხლების თანახმად:

**მუხლი 2. სახელმწიფო კომპენსაციის მიღების საფუძვლები**

სახელმწიფო კომპენსაციის მიღების საფუძვლებია:

გ) შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენა.

**მუხლი 3. სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის უფლების რეალიზაცია**

1. სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც ამ კანონის თანახმად სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ, სახელმწიფო კომპენსაცია მიეცემათ სამსახურიდან თადარიგში გასვლის ან სამსახურიდან გადადგომის შემდეგ.

2. სამხედრო მოსამსახურეებს შესაძლებლობის შეზღუდვის გამო სახელმწიფო კომპენსაცია დაენიშნებათ სამსახურის ხანგრძლივობის მიუხედავად.

3. გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრთათვის სახელმწიფო კომპენსაციის ან სახელმწიფო პენსიის დანიშვნის პირობები რეგულირდება "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" ან "სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონებით.

4. სახელმწიფო კომპენსაცია არ დაენიშნება სასამართლო წესით სამხედრო ან სპეციალურ წოდებაჩამორთმეულ პირებს და მათი ოჯახის წევრებს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი გამართლებული ან რეაბიტილირებული არიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 17. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სამხედრო მოსამსახურეთათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის პირობები**

ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეებს შეზღუდული შესაძლებლობის გამო სახელმწიფო კომპენსაცია დაენიშნებათ, თუ მათ შესაძლებლობა შეეზღუდათ სამხედრო ან ოპერატიული სამსახურის პერიოდში, ან არა უგვიანეს სამი თვისა სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ, ან ამ ვადაზე უფრო გვიან, მაგრამ სამსახურის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების გამო.

"სახელმწიფო პენსიის შესახებ" კანონის 22-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტის და მე-3 ნაწილის თანახმად:

**მუხლი 22. ამ კანონის ამოქმედებამდე მოპოვებული უფლებების შენარჩუნება**

1. ამ კანონის ამოქმედებამდე გაცემული პენსიები (პენსიის დანამატებთან ერთად), რომლებიც დანიშნულია ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებითა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებით, ამ კანონის ამოქმედების დღიდან განიხილება, როგორც ამ კანონის თანახმად დანიშნული და გაცემული პენსიები და მათი გაცემა გაგრძელდება მხოლოდ ამ კანონის შესაბამისად.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტებით განისაზღვრება ამავე აქტებით რეგულირებული პენსიების მიმღებ პირთა წრე, მათი მიღების უფლების წარმოშობის საფუძვლები და პენსიების ოდენობები:

დ) "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" და "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონებით გათვალისწინებული:

დ. ა) ომის I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის - 84 ლარი, ხოლო III ჯგუფის ინვალიდთა და 70 წელს გადაცილებულ II მსოფლიო ომის მონაწილეთათვის - 70 ლარი;

დ. ბ) ომის მონაწილეთათვის - 60 ლარი;

დ. გ) ომის მონაწილეებთან გათანაბრებულთათვის - 45 ლარი;

3. ამ მუხლით გათვალისწინებული პენსიების ოდენობები ამ კანონის ამოქმედების მომენტიდან ავტომატურად ვრცელდება მათ მიმღებ პირებზე, პენსიის დანიშვნის დროის მიუხედავად, თუ დანიშნული პენსია ამ კანონით გათვალისწინებული პენსიის ოდენობაზე ნაკლებია ან მისი ტოლია.

"სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის და მე-2 ნაწილის "ე" ქვეპუნქტის, ასევე 36-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და მე-2 ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის მიხედვით:

**მუხლი 5. კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლები**

1. ამ კანონის შესაბამისად კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის

საფუძვლებია:

გ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა;

2. ამ კანონის შესაბამისად კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების

უფლება აქვთ:

ე) სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების, ფინანსური პოლიციისა და სახელმწიფო

დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს.

**მუხლი 36. ამ კანონის ამოქმედებამდე მოპოვებული უფლებების შენარჩუნება**

1. ამ კანონის ამოქმედების დღიდან ამ მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტებით დანიშნულ და გაცემულ პენსიებს (პენსიის დანამატებთან ერთად) ეწოდოს შესაბამისად კომპენსაცია და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია და მათი გაცემა გაგრძელდეს, როგორც ამ კანონის შესაბამისად დანიშნული კომპენსაციისა/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიისა.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტებით ამ კანონის ამოქმედებამდე უკვე

დანიშნული კომპენსაცია/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია არ ექვემდებარება გადაანგარიშებასამ კანონის III, IV, V და VI თავების მიხედვით, კერძოდ:

ვ) საქართველოს კანონით "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო

დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ".

**ტრისტან ხუციშვილი**

მამას საქართველოს სსრ შინსახკომის სამეულის 1937 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით, სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და გადასახლებული იქნა, სადაც გარდაიცვალა. შემდეგ მამა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ 1956 წლის 24 იანვრის განჩინებით მთლიანად რეაბილიტირებულ იქნა. აღნიშნული ნიშნავს თუ არა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებასაც და თუ არ ნიშნავს, როგორ მოვიქცე, თუ მივმართავ ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განცხადებით, Uუნდა იყოს თუ არა მოპასუხე მხარე და ვინ, ამასთან რა საბუთები იქნება წარსადგენი?

ბატონო ტრისტან,

"საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკურ მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" კანონის შემდეგი მუხლების თანახმად:

**მუხლი 1**

1. ეს კანონი განსაზღვრავს პოლიტიკური რეპრესიის და პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის ცნებებს, ადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერლად აღიარების წესს და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის გარანტიებს.

2. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე 1921 წლის თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე.

3. ეს კანონი არ ვრცელდება 1921 წლის 25 თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე პერიოდში დეპორტირებულ ეთნიკურ ჯგუფებს მიკუთვნებულ პირებზე, რომელთა რეაბილიტაციის წესი ცალკე განისაზღვრება.

**მუხლი 2**

პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვა-დასხვა ფორმა - სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, სახელმწიფოდან გაძევება, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსება, მოქალაქეობის ჩამორთმევა, შრომაში იძულებით ჩაბმა, ქონების ჩამორთმევა და განადგურება, თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა, საცხოვრებლად გამწესება სპეციალური დასახლების ადგილებში, საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებების ან თავისუფლებბის სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებებით, სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, აგრეთვე ამ კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულების ფორმები.

**მუხლი 3**

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა:

ა) პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია;

ბ) პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის მეუღლე, შვილი (ნაშვილები), მშობელი და პირდაპირი ხაზის სხვა ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას.

**მუხლი 4**

1. პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელიც მსჯავდებული იყო შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის:

ა) ანტისაბჭოთა და კონტრრევოლუციური აგიტაცია და პროპაგანდა; კონტრრევოლუციური და მმართველობის წესის საწინააღმდეგო სსრ კავშირისათვის საშიში სხვა დანაშაული;

ბ) სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონის დარღვევა;

გ) წინასწარი შეცნობით სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობის სახელის გამტეხი ცრუ მონაჭორის გავრცელება;

დ) შრომა-გასწორების, გადასახლების, გასახლების, სპეციალური დასახლების ადგილიდან გაქცევა, თუ პირი იქ იმყოფებოდა პოლიტიკური რეპრესიის შედეგად;

ე) რელიგიური წესის აღსრულების მოტივით ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ხელყოფა.

2. პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ჩაითვლება პირი, რომელიც მსჯავრდებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბი ბრალდების საფუძველზე და რაც დაკავშირებული იყო პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან, არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან, სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან.

3. პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ჩაითვლება, "დოსდოს"-ს, "გფკ"-ს, "სნკგენკგე"-ს, "მდბ"-ს, "კდბ"-ს, "მგე"-თ, საგანგებო სათათბიროების, ორეულების ან სამეულების მიერ მსჯავრდებული პირი, აგრეთვე კონკრეტული დანაშაულისათვის ბრალის წაუყენებლად გადასახლებული, გასახლებული ან სპეციალურ დასახლებაში გაგზავნილი პირი.

4. პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელიც რეაბილიტირებულ იქნა საქართველოს სასამართლოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, თუ მის მიმართ წაყენებული ბრალდება ემყარებოდა კანონიერი ხელისუფლების სტრუქტურებში სამსახურს ან ამ სტრუქტურების მხარდაჭერას.

**მუხლი 5**

1. პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად არ მიიჩნევა პირი, რომელიც სასამართლოს განაჩენით იყო მსჯავრდებული შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის:

ა) ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფა, ბანდიტიზმი, რაც დაკავშირებული არ იყო პოლიტიკური მოტივით მის დევნასთან;

ბ) კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული, აგრეთვე სხვაგვარი ძალადობა სამოქალაქო მოსახლეობის ან სამხედრო ტყვეების მიმართ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესი არ ვრცელდება იმ პირზე, რომელიც რეპრესირებული იყო, როგორც დამნაშავის ოჯახის წევრი.

მიმართავთ რა სასამართლოს, მოპასუხე მხარედ ჩაითვლება სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, რადგან რეპრესირებულად აღიარება დაკავშირებულია გარკვეულწილად სოცილური დახმარებების გაცემასთან. რაც შეეხება საბუთებს, თქვენ უნდა წარადგინოთ სასარჩელო განცხადება, რომლითაც მოითხოვთ რეპრესირებულად აღიარებას, ასევე დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ თქვენ ბრძანდებით გარდაცვლილის შვილი, დოკუმენტები მამის გასამართლებისა და რეაბილიტირებისა.

არსი
არქიტექტურა და სამშენებლო მენეჯმენტი
1989 წლიდან

## "არსის" რჩევები მომხმარებელს - როგორ შევარჩიოთ სასურველი ბინა

### ერიდეთ შავ კარკასს - დღეს გაკეთებული ეკონომიით ეფექტს ვერ მიაღწევთ

**დედაქალაქში ბინათმშენებლობამ პიკს მიაღწია, ამ ფონზე მომხმარებელს უჭირს სწორი გადაწყვეტილების მიღება. მაგრამ თუ თქვენთვის ბინის შერჩევა პრობლემას აღარ წარმოადგენს და უკვე გადაწყვიტეთ სად სჯობს ბინის შეძენა ძველ თუ მშენებარე სახლში, უფრო მეტიც, მოგწონთ და გაკმაყოფილებთ სახლის გარშემო არსებული გარემო, ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტაბელურობა, და მიგაჩნიათ რომ თქვენი გადაწყვეტილება მყარი და წარმატებულია, გადაწყვეტილების მიღებას მაინც ნუ იჩქარებთ, გაანალიზეთ თქვენი არჩევანი და ყურადღება სხვა ფაქტორებზეც გაამახვილეთ.**

**დღევანდელი თემაა: ბინის ჩაბარების პირობები, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება ბინის ჩაბარებისას და მისთვის დამახასიათებელი რა თავისებურებებია გასათვალისწინებელი, რათა გამოუცდელობითა და აჩქარებით გამოწვეული შეცდომები თავიდან აიცილოთ. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ამ მხრივ უძრავი ქონების ბაზარზე გაურკვეველი მდგომარეობაა, სამშენებლო კომპანიები რადიკალურად განსხვავებულ პირობებს სთავაზობენ მომხმარებელს, შესაძლოა, ზოგიერთი კომპანიის '"თეთრი კარკასი" ჩაბარების იმავე პირობებს აკმაყოფილებდეს, რასაც სხვა კომპანია "შავი კარკასის" შემთხვევაში გთავაზობთ და ასე შემდეგ. შედეგად მომხმარებელი მოტყუებული და უკმაყოფილო რჩება.**

ახალაშენებული ბინის ჩაბარებისას ძირითადად არსებობს ორი სახის პირობა: **"შავი კარკასი" და "თეთრი კარკასი".** ჩვენი რჩევაა არ შეიძინოთ '"შავი კარკასი", "თეთრი კარკასის" შეძენისას კი მაქსიმალურად ჩაეძიეთ ჩაბარების პირობებს, სასურველია მომხმარებელმა გაანლიზოს თითოეულ მათგანზე რატომ აკეთებს არჩევანს. ეს არის ბინის ფართობი, ფასი თუ შეთავაზებული ხელსაყრელი პირობები. აქვე გასათვალისიწნებელია, რომ ხელსაყრელი პირობები არ ნიშნავს საუკეთეოსოს, მის უკან შესაძლებელია გამოუსწორებელი პრობლემები იმალებოდეს, რაც მოგვიანებით იჩენს თავს:

**1. დისკომფორტი -** თქვენ არჩევანი '"შავ კარკასზე" გააკეთეთ? მაშინ უნდა შეეგუოთ შექმნილ დისკომფორტს. კორპუსში მოსახლეობის შესახლება 3-5 წელი გაიწელება, რაც თავის მხრივ პრობლემებს შექმნის სადარბაზოში. კერძოდ, სამშენებლო მასალების გადაზიდვების გამო დაზიანდება და სარემონტო ნარჩენებით დაბინძურდება საერთო სარგებლობის ფართი, ხშირად გადაიწვება ლიფტი. ამის გარდა, შესაძლოა ზევით მაცხოვრებელმა დაიწყოს იატაკის მოჭიმვა და თქვენს ბინაში წყალი ჩამოვიდეს. უფრო მეტიც, სადარბაზოში შექმნილმა დისკომფორტმა შესაძლოა ცხოვრების ხალისი დაგაკარგვინოთ.

**2. ბუნებრივი აირის პრობლება -** თუ ახალაშენებულ კორპუსში მოსახლეობის 70 პროცენტი მაინც არ არის შესახლებული, ბუნებრივ აირზე არც კი უნდა იოცნებოთ, მოსალოდნელია მთელი ცხოვრება გაზის გარეშე დარჩეთ... და თუ ვინმემ ამ პრობლემის დარეგულირებაზე იზრუნა, ჩთვალეთ, რომ ეს უკანონო იქნება. ადრე თუ გვიან მას აუცილებლად ჩაგიჭრიან და ჯარიმის გადახდაც დაგეკისრებათ.

**3. გადასახადების პრობლემა -** ვიდრე მოსახლეობის შესახლება არ დასრულდება, საერთო ხარჯები რამდენიმე ოჯახზე გადანაწილდება, რაც თავისთავად მომგებიანი არ იქნება და დაზარლდებით.

და მაინც, რისი მოთხოვნის უფლება გააჩნია მომხმარებელს:

**1. ბინის შეძენისას სასურველია მოითხოვოთ ფასადის ხელშეკრულება -** ამ შემთხვევაში მეზობლებს ეკრძალებათ ლოჯების მიშენება, შესაბამისად დაცული იქნებით სახლის ფასადის დამახინჯებისგან და მშენებლობისთვის დამახასიათებელი დაბინძურებისგან. აქვე სასურველია ბინაში დამონტაჟებული იყოს გათბობის ინდივიდუალური სისტემა და ყველა სახის მრიცხველი, რათა მომავალში გაზის და დენის ჩართვის პრობლემა თქვენი მოსაგვარებელი არ გახდეს.

**2. მოითხოვეთ მომსახურების ხელშეკრულება -** ვინ იზრუნებს მომავალში საერთო ფართის მოვლა-პატრონობაზე? - ახალაშენებული ბინის შეძენისას სასურველია დაგებადოთ ეს კითხვა, რადგან სახლის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ სხვადასხვა პრობლემა იჩენს თავს. სახლი უსულო საგანი არ არის, ის ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც ყოველდღიური პატრონი სჭირდება. ამიტომ ხელშეკრულების პაკეტში აუცილებლად უნდა არსებობოდეს მომსახურების ხელშეკრულკებაც, სხვაგვარად შექმნილი პრობლემების დარეგულირება თავად მოგიწევთ.

**3. გაეცანით "თეთრი კარკასის" ჩაბარების პირობებს -** ჩაბარების პირობებს დეტალურად გაეცანით, რას გთავაზობთ სამშენებლო კომპანია, რა იგულისხმება "თეთრი კარკასის" უკან, რა უპირატესობა გააჩნია და ასე შემდეგ. "თეთრი კარკასი" ეს არის ფართი მოჭიმული იატაკით, შელესილი ტიხრებით, კარ-ფანჯრებით... თუ ეს თქვენს მიერ შეძენილ ბინას არ გააჩნია, მაშინ საქმე გვაქვს "შავ კარკასთან" და თუ დროულად არ თქვით მასზე უარი, შეგუება მოგიწევთ მის თანმდევ პრობლემებთან, რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

ამიტომ ჩვენი რჩევაა - **ერიდეთ "შავ კარკასს"!** დღეს გაკეთებული ეკონომიით ეფექტს ვერ მიაღწევთ, გამართული ბინა, რომელიც ექსპლუატაციაში შევა, მომავალში გაცილებით ძვირი ეღირება, ვიდრე ნახევრად გაკეთებული ბინები, რომელთა ღირებულება კიდევ დაეცემა და მისი მოვლა-პატრონობა უფრო ძვირი დაგიჯდებათ.

და ბოლოს, მხოლოდ მშენებლობის უმაღლესი ხარისხი, სახლის გარშემო შექმნილი კომფორტული გარემო, ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტაბელურობა არ განსაზღვრას შერჩეული ბინის ღირებულებას. ის ყველა ფაქტორის გათვალისწინებით უნდა იყოს სასურველი, ეფექტური და უნიკალური. სასრუველი ბინის შერჩევა არც ისე იოლია, უფრო მეტიც, დიდი პასუხიმგებლობა და სერიოზულობა გმართებთ.

ალბათ ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ არჩევანი გააკეთოთ თეთრ და შავ კარკასს შორის, გაითვალისწინოთ მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორები, რაც უსიამოვნო შემთხვევებს თავიდან აგაცილებთ. ამ თემაზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ მოგვმართოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

მომავალი ორშაბათის თემაა: ბინის ხარისხის კონტროლი, როგორ მოვახდინოთ ეს პროცესი და რა ფაქტორებია გასათვალისიწნებელი. გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი შეკითხვები ამ საკითხთან დაკავშირებით.

**გემშვიდობებით მომავალ ორშაბათამდე,**
**"არსის" აღმასრულებელი დირექტორი თორნიკე აბულაძე**

დაგვიკავშირდით: არქიტექტურისა და სამშენებლო მენეჯმენტის კომპანია '"არსი"
ტელ: 25-19-04
info@arci.ge, www.arci.ge

**კომპანია "არსი" ატარებს უფასო კონსულტაციებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დაინტერესებულ პირების შეგიძლიათ მობრძანდეთ ყოველ შაბათ-კვირას, 11.00-დან 16.00 საათამდე, კომპანია "არსის" ოფისში თ.აბულაძის 21 (ვაკის ეკლესიის უკან).**

# გემრიელი კერძის ყველაზე ტკბილი ლუკმა ფესტივალზე არ ჩამოვიდა

პირველი გვერდიდან

პრესისთვის გამართული ჩვენების შემდეგ, პრესკონფერენციაზე მედიაოტრმა ასეთი შინაარსის წერილი გაგვაცნო: „ჩემთვის ყველაზე დიდი პატივია კანის ფესტივალზე მონაწილეობა და განსაკუთრებით ამაყი ვარ, რომ სწორედ ამ ფილმით ვმონაწილეობ. მაგრამ მოგეხსენებათ ჩემი ოჯახური მდგომარეობა, ჩვენ ყოველ წუთს ოჯახის ახალ წევრს ველით, ამიტომ ასეთ დროს ჩემი მეუღლის დატოვება ვერ შევძელი, რისთვისაც ბოდიშს მოგახსენებთ". რთული წარმოსადგენი არ იქნება, რამდენად გულდაწყვეტილ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ხალიჩასთან მომლოდინე ახლაგაზრდები.



კადრი ფილმიდან "ბაბილონი".

„ჩემთვის განსაკუთრებით დიდი პატივია ფესტივალზე ამ ფილმით მონაწილეობა" - ეს არის ფილმი „ბაბილონი", რომლის რეჟისორიც გახლავთ ალეხანდრო გონზალეს ინიარიტუ. ქართველ მაყურებელს ამ რეჟისორს ალბათ მისი ერთ-ერთი უკანასკნელი ნამუშევარი გაახსენებს, რომელიც ცოტა ხნის წინ კინო-თეატრებში გადიოდა: „21 გრამი" შონ პენის მონაწილეობით. მისი ახალი ფილმი სტილისტურად ჰგავს მის წინამორბედს: სწრაფი მონატაჟი, კარგი მუსიკა, მოქმედება რომელიც დინამიკურად ვითარდება, ბევრი გმირი, პარალელური ისტორიები და ა.შ.

ვიდრე ფილმზე საუბარს დავიწყებდეთ, ერთი პატარა დეტალი: მაშინ, როდესაც უცხო ქვეყანაში მივემგზავრებით და თუკი ჩვენი მგზავრობა ტრანზიტულ რეჟიმში უნდა შესრულდეს, ყოველთვის თვალში მხვდება (ალბათ უმჯობესი ინება თუ ვიტყვი - ყურში მხვდება) განსხვავებული ენები, რომელიც რამდენიმესაათიანი ფრენის შემდეგ სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირად იცვლება. ჩემნაირი ზანტი ცნობიერებისათვის, ყოველთვის უცნაურია აღსაქმელად, ერთი და იგივე ადამიანები, რომელნიც სხვადასხვა ენაზე საუბრობენ და მათ უმეტეს, ნაწილს ერთმანეთის არ ესმის. სწორედ ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობის დროს, როდესაც ერთ დღეში 3 განსხვავებული ქვეყანა გავიარე და 3 განსხვავებული ენა მოვისმინე, დავრწმუნდი იმ მოსაზრების ჭეშმარიტებაში, რომ სამყაროს ერთი ენა სჭირდება, რომელიც ყველა ჩვენთგანს შეართებს და ერთმანეთსითვის მეტად გასაგებს გახდის (ბუნებრივია ჩვენს მშობლიურ ენებთან ერთად). გონზალეს ინიარიტუს ფილმი სწორედ ამ კავშირს, კომუნიკაციას ეხება, რომელიც მსოფლიო ხალხებს შორის ოდესღაც იყო და დღეს თანამედროვე სამყარო მის დეფიციტს განიცდის.

„შეიძლება ეს ძალიან ამბიციურად ჟღერს, მაგრამ მე ვცადე გამეგო, რა ხდება დღეს ჩვენს თავს. ჩვენ „სხვას" ყოველთვის აღვიქვამთ, როგორც რაღაც აბსტრაქტულს (როგორც უცხოს). ეს ყველაზე ცუდია, საშიშროებაა იმისა, რომ ჩვენ ერთამანეთს ვერ გავუგებთ. მე მსურდა მელაპარაკა იმ საზღვარზე, რომელიც ჩვენს არსებობაში არის და არა მხოლოდ ჩვენს ქვეყნებს შორის". ამიტომ რეჟისორი საკუთარ ფილმში ერთდროულად სამ ისტორიას გვიყვება და სამივე სხვადასხვა ქვეყანში ვითარდება: იაპონია, მაროკო და მექსიკა. ძალიან მოკლედ ამ კინონოველების ფაბულა ამგვარია.

**მაროკო**. იქ სამოგზაუროდ ახალგაზრდა ამერიკელი წყვილი ჩადის (ბრედ პიტი და კეიტ ბლანშეტი), თითქოს მარტოობაში დაკარგულები, იქ ერთმანეთის ხელმეორედ აღმოსაჩენად ჩადიან. მიუხედავად იმისა, რომ წყვილი ერთად არის, კავშირი მათ შორის მინიმალურია. ერთ-ერთ მთიან სოფელში ავტობუსით გამგზავრებისას, კეიტ ბლანშეტის გმირი, პატარა მაროკოელი ბიჭის მიერ ნასროლი ბრმა ტყვიის მსხვერპლი აღმოჩნდება. კეიტ ბლანშეტი მძიმედ არის დაჭრილი. სანადირო თოფი პატარა ბიჭის ხელში მამის საიდუმლო სამალავიდან აღმოჩნდება. ის თავის უფროს ძმასთან ერთად თოფის ვარგისიანობას ამოწმებს.

**იაპონია**. აქ დაახლოებით 16-17 წლის გოგონასი და მისი მამის ურთიერთობაა აღწერილი, ურთიერთობა იმ სულიერი კავშირის გარეშე, რომელზეც რეჟისორი ამახვილებს ყურადღებას. გოგონა ყრუ-მუნჯია, მისმა დედამ რამდენიმე წლის წინ თავი მოიკლა და აწყდება ამ ასაკისთვის დამახასიათებელ სექსუალურ პრობლემებს. გონზალეს ინიარიტუმ გოგონა ყრუ-მუნჯ გმირად, თავისი სათქმელის კიდევ უფრო გასამკვეთრებლად გამოიყვანა. ეს კიდევ ერთი (შესაძლებელია ზედმეტიც კი) კინოხერხია, რომელსაც რეჟისორმა განზრახ მიმართა. გოგონა ამ შემთხვევაში ვერ ამყარებს სექსუალურ კავშირს ვერც ერთი ასაკის მამაკაცთან და გაღიზიანებულ ფონზე მისი მდუმარე კონფლიქტი მამასთან კიდევ უფრო იზრდება.

**მექსიკა.** მექსიკაში ბრედ პიტისა და კეიტ ბლანშეტის ბავშვების ძიძას, ისინი მშობლების დაუკითხავად საკუთარი შვილის ქორწილში მიყავს ორი დღით. უკანა გზაზე, მაშინ როდესაც ძიძა ორ პატარა ბავშვთან ერთად, უკან დაბრუნებას ცდილობს, საზღვარზე პოლიციასთან პრობლემები ექმნება, რადგან არასრულწლოვანები არალეგალურად გადაიყვანა ერთი ქვყნიდან მეორეში. ბიჭი, რომელიც მანქანას მართავს, (გაერ გარსია ბერნალი) საზღვარზე მანქანას გააქროლებს და მათ პოლიცია დაედევნებათ. ამ ისტორიის ფინალში, ძიძა ბავშვებთან ერთად სრულიად უსუსურ მდგომარეობაში, უდაბნოში აღმოჩნდება. „ცუდი ის არის, რომ ჩვენ საზღვარზე ვსაუბრობთ მხოლოდ როგორც კონკრეტულ ადგილზე, ტერიტორიაზე, იმის ნაცვლად, რომ ვიფიქროთ მის არსზე. მე აღმოვაჩინე, რომ მთავარი საზღვარი არის ჩვენს, ადამიანებს შორის და არა სხვადასხვა ქვეყნებს შორის", - ამბობს ფილმის რეჟისორი. - „გამეკეთებინა ფილმი საზღვარზე, არ იყო მხოლოდ ჩემი არჩევანი, ეს იყო ჩემი მორალური გადაწყვეტილება".

იმისთვის, რომ რეჟისორს ამ სხვადასხვა ერების ერთიანობა ეჩვენებინა, გარდა იმისა რომ, ფილმს „ბაბილონი" დაარქვა (გაერთიანებული ერების მიერ ნაგები, ბიბლიური კოშკი), მის ფილმში მოცემული ისტორიები, რომელიც დამოუკიდებლად ვითარდებოდა მთელი ფილმის განმავლობაში, ფინალში გააერთიანა და წარმოგვიდგინა კავშირი, თუ როგორ არის გაერთიანებული ყოველი ჩვენთაგანი, მიუხედავად განსხვავებული წარმომავლობისა და ენისა.

პატარა ბავშვები, მაროკოში სამოგზაუროდ წასული წყვილის შვილები არიან, იარაღი, რომლითაც კეით ბალნშეტი იჭრება, ოდესღაც მაროკოელ მონადირეს იაპონელი თინეიჯერის მამამ აჩუქა. წრე იკვრება, მაგრამ ეს არ არის ის კავშირი, რომელზეც რეჟისორი ოცნებობს. „კავშირი, რომელიც მინდოდა გამეკეთებინა არ არის ფიზიკური კავშირი. ვფიქრობ, რომ ადამიანურ არსებობაში, რაც ჩვენ ბედნიერს გვხდის განსხვავებულია, ეს დამოკიდებულია ჩვენს კულტურაზე, ეთნოსზე. ხოლო ის, რაც ჩვენ გვაწუხებს არის სიყვარულის, ერთმანეთთან შეხების მიუღწევლობა, ერთმანეთისგან გაუცხოვება. ვფიქრობ, ეს არის ყველაზე მტკინვეული საკითხი, რომელიც, საბოლოო ჯამში, ჩვენ ყველას გვაერთაინებს", - ამბობს რეჟისორი. ამიტომაც, ფილმის ფინალში ყველა გმირი - სიყვარულის, ერთმანეთის პირისპირ დგება და თვალებში უყურებს მას.

„მე იმედი მაქვს, რომ თქვენ ნახეთ ფილმი ადამინურ არსებობაზე და არა ფილმი მექსიკაზე, მაროკოზე ან კი ამერიკაზე". ფილმის ავტორის ეს სიტყვები გვილვიძებს სურვილს, უფრო მკაფიოდ დავინახოთ ის იდეა, პრობლემა, რომელიც მან ფილმის შექმნის დროს ჩაიფიქრა.

პედრო ალმოდოვარი და ალეხანდრო გონზალეს ინიარიტუ ოქროს პალმის რტოს ყველაზე აშკარა პრეტენდეტები არიან. მაგრამ, არის კიდევ რამდენიმე ფილმი, რომელიც ბევრი კინოკრიტიკოსის აზრით ნამდვილად იმსახურებს მთავარ ჯილდოს: კენ ლოუჩის ფილმი „ქარი ამოვარდება", რომელზეც ჩვენს პირველ საგაზეთო სტატიაში უკვე ვისაუბრეთ, ანდრეა არნოლდი, 30 წლის შოტლანდიელი (ქალბატონი) რეჟისორი და ფინელი აკი კაურისმიაკი.

ანდრეა არნოლდი დოგმის ესთეტიკაში გადაღებულ ფილმს გვთავაზობს. Red Road მარტოხელა, ახალგაზრდა ქალის სევდიან ისტორიას წარმოგვიდგენს. ქალაქის გარეუბანი, დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა ცხოვრება, მათი პრობლემები, ტკივილი, ინტერესი და სხვა. სოციალური რეალიზმი, მარტოსული გმირი, რომელსაც აკი კაურისმიაკიც წარმოგვიდგენს. ორივე რეჟისორი ასოციაციებს სხვა ავტორებთან იწვევს. ანდრეა არნოლდი, რომელიც გარდა სტილისტური მსგავსებისა, პრესკონფერენციაზე აცხადებს, რომ ფილმი მისი პედაგოგის, ლარს ფონ ტრიერის „დავალებით" არის შესრულებული და აკი კიაურისმიაკი, რომელიც რობერ ბრესონს გვახსენებს.

ერთი სიტყვით, ახალი სიტყვა ფესტივალზე ჯერ არ თქმულა. ოქროს პალმის პრეტენდენტები საკუთარ თავს, ან უკვე „აპრობირებულ" კინოხერხებს იმეორებენ. ლარს ფონ ტრიერი ახალი და საინტერესო იყო მაშინ, როდესაც პირველად შექმნა (და ახლაც აგრძელებს განვითარებას) „დოგმა 95", კინოს „გაადამიანურების" ბრწყინვალე მცდელობა და წარმატებული შედეგი. ბრესონი იმ თაობას წარმოადგენს, რომელმაც არანაკლებ მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა მსოფლიო კინემატოგრაფში და ამიტომ მათი გამეორება შესაძლებელია საინტერესოა, მაგრამ მოკლებულია ნოვაციას, რომელიც კინოს პერსპექტივაზე პოზიტიურად იმოქმედებს. ამიტომ, ალმოდოვარი ამ ნომინანტთა სიაშიც ლიდერობს, რადგან ის საკუთარ ხაზს, საკუთარ თავს აგრძელებს და არანაკლებ საინტერესო ფორმით წარმოგვიდგენს. დაველოდოთ შედეგებს, რომელიც 28 მაისს გახდება ცნობილი. დასკვნით სტატიას მომდევნო კვირაში შემოგთავაზებთ.

**P.S.** კანში გამგზავრების გენერალური სპონსორია კომპანია GRDC და სარეკლამო სააგენტო „სარკე", რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.



# კანის ფესტივალი: დესერტზე - მონიკა ბელუჩი

ნესტან ნიჟარაძე
კანიდან

კანის ფესტივალს, ისევე როგორც სხვა ყველა ფესტივალს, თავისი მკაცრი ეტიკეტი აქვს. ეს მკაცრად განსაზღვრული ეტიკეტი ფესტივალის დასრულებამდე ორი დღით ადრე, ჟიურის წევრების ტრადიციულ სადილს ითვალისწინებს ფესტივალზე აკრედიტირებულ ჟურნალისტებთან. სადილს ტრადიციულად კანის მერი ბერნარდ ბროჩანი მართავს ქალაქის ისტორიულ ნაწილში, ძველი ციხესიმაგრის ეზოში და ასწლიანი ჩადრების ჩრდილში. დაპატიჟებულ სტუმართა შორის ყველაზე საპატიოები, ბუნებრივია, ფესტივალის ჟიურის წევრები არიან, რომლებსაც ტრადიციულად სპეციალური ბარიერებით შემოღობილ ნაწილში ათავსებენ, სადილზე შეკრებილ ნაკლებად საპატიო პუბლიკისკენ ზურგით. ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა და 27 მაისს, კანის მერის მიერ გამართულ სადილზე ჟურნალისტებმა და ფესტივალის ჟიურის წევრებმა ერთად დააგემოვნეს პროვანსული სამზარეულოს დელიკატესები. სადილის პროტოკოლი კრძალავს ფოტოების გადაღებას და ჟიურის წევრებისგან სადილმდე ან თუნდაც სადილის შემდეგ ინტერვიუს აღებას. პროტოკოლის დაცვაზე გულმოდგინედ ზრუნავს ფესტივალის დაცვა, რაც ჟიურის წევრებს დაძაბული სამუშაო დღეების შემდეგ მშვიდ გარემოში სადილის შესაძლებლობასაც აძლევს. მითუმეტეს რომ, წინ ფილმების დაჯილდოების საკმაოდ მძიმე და დელიკატური პროცედურაა.

წლევანდელი ტრადიციული სადილი გამონაკლისი აღმოჩნდა და მისი პროტოკოლი მაშინ დაირღვა, როდესაც ჟიურის წევრების მაგიდას, სადაც უკვე იყოფებოდ-



მარიო და მონიკა ბელუჩი.

ნენ ტიმ როტი, ვონგ კარ-ვაი, ლუკრეცია მარტელი, ელენა ბონემ კარტერი, სამუელ ლ. ჯექსონი, პატრის ლეკონტი და ზანგ ზუი, დაგვიანებით იტალიელი მსახიობი და წლევანდელი ფესტივალის სიმშვიდის დამრღვევი, მონიკა ბელუჩი შეუერთდა სწორად იმ დროს, როდესაც სუფრასთან დესერტის მიწოდება დაიწყეს ძალიან თავაზიანმა მიმტანებმა. დესერტთან ერთად, უფრო სწორედ კი, დესერტზე ბელუჩის გამოჩენა უწყინარ და ჟიური-ჟურნალისტების რელაქსაციისთვის განსაზღვრულ სადილზე, ისევე როგორც მანამდე ყველგან, კიდევ ერთხელ პუბლიკის ისტერიული რეაქციის მიზეზი გახდა. დაპატიჟებულმა სტუმრებმა ერთსულოვნად შეწყვიტეს პროვანსული დელიკატესების დაგემოვნება, დაივიწყეს ქცევის ელემენტარული ნორმები, სადილის პროტოკოლიც და ზოგი, ერთ ხელში ჩანგლით და მეორეში ფოტოაპარატით, ზოგი კი ბოლო ლუკმის ღეჭვით ჟიურის მაგიდისკენ გაეშურნენ ერთსულოვანი შეძახილებით „მონიკაააააა". სადილის პროტოკოლი დაირღვა, დაცვამ აგზნებული და ნასადილევი ჟურნალისტები ვერ შეაკავა და შესაბამისად ძალიან ინერვიულა. კანის მერი კი შეცბა მოვლენების მოულოდნელი განვითარებით. სამაგიეროდ გაიღიმა მონიკამ, წითელი კაბა მკერდზე გაისწორა და კანის ფესტივალის უხუცეს ფოტოგრაფს, მარიოს, რომელიც იმ დღეს 70 წლის იუბილეს ზეიმობდა, მარჯვენა ლოყაზეც კი აკოცა. მარიოს გადარჩენის ერთადერთი შანსი ის აღმოჩნდა, რომ იგი უკვე 55 წლის მანძილზე კანის ფესტივალის ოფიციალური ფოტოგრაფია და შესაბამისად ბევრი ძალიან ლამაზი ქალი ჰყავს ნანახი მონიკამდე და ალბათ კიდევ ნახავს მონიკას შემდეგაც. ასე რომ, მარიო გადარჩა, 70 წლისაც გახდა, ღირსეულად მიიღო ბელუჩის ჟესტი და იქვე იტალიელი დივას საპატივცემულოდ ექსპრომტად ჯერ „ო, სოლე მიო", შემდეგ კი ნინო როტას მელოდია შეასრულა ფრენსის ფორდ კოპოლას ფილმიდან „ნათლია". თუმცა მეორედ მონიკამ მარიოს აღარ აკოცა. სამწუხაროდ!

# ბაროკილი მარია-ანტუანეტა

ნესტან ნიჟარაძე
კანიდან

*ვერსალის სასახლეში გადაღების ექსკლუზიური უფლებით შექმნილი სოფია კოპოლას ფილმის „მარია-ანტუანეტას" ჩვენება კანის ფესტივალზე სტვენით და უკმაკოფილო შეძახილებით დასრულდა. „და ვინჩის კოდის" მსგავსად სოფია კოპოლას ფილმი, რომელიც ფესტივალის ფავორიტებს შორის სახელდებოდა საფესტივალო პრესის და პუბლიკის განრისხებული შეტევის ობიექტად იქცა.*

„I'm so anxious" („მე ძალიან ვნერვიულობ") - ხშირად იმეორებდა სოფია კოპოლა თავისი ბოლო ფილმის პრემიერამდე.

მისი მარი-ანტუანეტა ილიმება და არც მალავს, რომ ვერსალის სამეფო კარის ეტიკეტი სასაცილოდ ეჩვენება. დილით მარტო იღვიძებს სამეფო ლოგინში და ამაოდ ცდილობს სექსუალურად ინდეფერენტული მეუღლის, საფრანგეთის მომავალი და უკანასკნელი მეფის ლუდოვიკ მე-16-ის მოხიბვლას - მეფე ვნებას მხოლოდ ნადირობაში და გასაღებების დამზადებაში პოულობს. ის ნელ-ნელა უგებს გემოს ვერსალის „ხიბლს" და თავნება ხდება. ბევრს სეირნობს ბაღებში და დროდადრო ტირის. შემდეგ მიირთმევს ნამცხვრებს და ბევრ დროს უთმობს საკუთარ გარდეროობს. მას ბევრი ფეხსაცმელი აქვს და ამდენივე კაბა. ცოტას ლაპარაკობს და ბევრს იღიმება. შემდეგ აშენებს ფერმას და ბეკეკბს ეფერება. და ბოლოს, სადედოფლო აბაზანაში წამოწოლილი, დამშეულ ხალხს შეუთვლის: „მათ არ აქვთ პური? ჭამონ ნამცხვრები". და ეს ყველაფერი ბრაინ რეითსელის როკ-მუსიკის



"მარია-ანტუანეტა".

ფონზე. სოფია კოპოლას "მარია-ანტუანეტა", ანტონია ფრეიზერის მიერ დაწერილი საფრანგეთის უკანასკნელი დედოფლის ბიოგრაფიით და ზოგადად მე-18 საუკუნის საფრანგეთის ისტორიით არის შთაგონებული.

„მე ვამაყობ, რომ ფილმი კანის ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში მოხვდა, მაგრამ ძალიან მეშინია ფრანგული პუბლიკის რეაქციის", - განაცხადა 35 წლის სოფია კოპოლამ, ცნობილი ამერიკელი რეჟისორის ფრენსის ფორდ კოპოლას შვილმა. ფილმის ჩვენებამ ცხადყო, რომ კოპოლების კინოკლანის, ანუ როგორც მას უწოდებენ „კინო-არისტოკრატიის" შთამომავალს ნერვიულობის საბაბი ნამდვილად ჰქონდა. საფრანგეთში ფრანგული ისტორიის ინტერპრეტაციას, და მითუმეტეს ესოდენ თავისუფალ ინტერპრეტაციას, ენთუზიაზმით არსდროს ხვდებიან. სოფია კოპოლას მარია-ანტუანეტა ბარბის, თავნება კურტიზანის და სამეფო კარზე მოხვედრილი ფერმერი ქალის ნაზავი უფროა, ვიდრე საფრანგეთის უკანასკნელი დედოფლის სახე. სოფია კოპოლმა ვერსალის ბაღებში როკ-მუსიკის თანხლებით, განთიადამდე მოსეირნე დედოფლის საკუთარი ვერსია ისევე გაწირა საფესტივალო გილიოტონისთვის, როგორც ეს ფრანგმა ხალხმა ორიოდე საუკუნის წინ გაუკეთა თავის უკანასკნელ დედოფალს.

Virgin Suicides-ის და Lost In Translation-ის ავტორი სოფია კოპოლა კანის ფესტივალის სტუმარი უკვე მესამედ არის. მისი ბოლო ფილმის „თარგმანში დაკარგულის" წარმატება და სადებიუტო ფილმისთვის 2005 წლის ოსკარით დაჯილდოება, 2006 წლის კანის ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში „მარია-ანტუანეტას" მომავალი წარმატების გარანტიაც უნდა გამხდარიყო. თუმცა ფილმმა ფესტივალის მოლოდინი ნამდვილად გააცრუა და არცთუ ისე სახარბიელო მითქმა-მოთქმის საბაბიც გახდა. ერთმნიშვნელოვნად აღინიშნა, რომ ფილმის ავტორი ფრენსის ფორდ კოპოლას შვილი რომ არ ყოფილიყო, იგი ვერასდროს მოხვდებოდა ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში. მოულოდნელ წარუმატებელ ჩვენებას ის თუ გააბათილებდა, რომ სპეციალურად შვილის მხარდასაჭერად ჩვენების დღეს ფესტივალის სასახლის საპატიო წითელ ხალიჩაზე, ახალგაზრდა ამერიკელი რეჟისორის ძალიან ცნობილი მამა, ფრენსის ფორდ კოპოლაც გამოჩნდა.

კოპოლებს და მათ შორის სოფიასაც უყვართ იტალიური ოჯახური და კლანური ტრადიციებს ერთგულად დაცვა. სოფიას ფილმი ამის კიდევ ერთი დასტურია: მისი ძმა რომანი „მარია-ანტუანეტას" გადაღებებზე ოპერატორად მუშაობდა, ბიძაშვილი ჯეისონ შვარცმანი ფილმში ლუდოვიკ მე-16 როლს ასრულებს, დედა კი ფილმის პრეს-დოსიეზე მუშაობდა; რომ არაფერი ვთქვათ მამაზე, რომლის გამოჩენაც კანის ფესტივალზე „მარია-ანტუანეტას" ჩვენების შემდეგ მისი შერყეული რეპუტაციის გადარჩენის ერთადერთი შანსი იყო.

სოფია კოპოლას „მარია-ანტუანეტამ" კანის ფესტივალზე ისოტრიული მარია-ანტუანეტას ბედი, ფაქტობრივად უკვე გაიზიარა. პუბლიკის ვერდიქტზე ვერც ვერსალის სასახლის დიდებულებამ (გადამღებმა ჯგუფმა სასახლეში მუშაობის ექსკლუზიური უფლება მოიპოვა), ვერც ახალგაზრდა მსახიობის კირსტენ დასტის (მარია-ანტუანეტა) მომხიბლავმა ღიმილმა, ვერც მისი კოსტიუმების მშვენირებამ, ვერც დედოფალი რომ ასე ჰყვარობდა „La Duree"-ს მადისაღმძვრელმა ნამცხვრებმა, ვერც ფილმის გადაღებაზე დახარჯულმა 40 მილიონმა დოლარმა და ვერც როკ-მუსიკამ ვერ იმოქმედა. პუბლიკამ სოფია კოპოლას როკ-დედოფლის თავი დაუფიქრებლად დადო ფესტივალის გილიოტინაზე.




ავიაკომპანია
"არკია ისრაელის ავიახაზები"
აგრძელებს რეგულარულ
რეისს 23 ივნისიდან, ყოველ პარასკევს
თბილისი - თელ-ავივი

თელ-ავივი - თბილისი - IZ 417 04.55-08.40
თბილისი - თელ-ავივი - IZ 418 10.25-12.25
განრიგი ძალაშია 23 ივნისიდან 20 ოქტომბრამდე.
გაფრენისა და მოფრენის დროები ადგილობრივია.

ბილეთის ფასია:
275 აშშ დოლარი (ერთი გზა)
349 აშშდოლარი (ორი გზა)
თანამედროვე საჰაერო ხომალდი ბოინგ 757-200/300 (191/253 სავარძელი), უმაღლესი კლასის სერვისი, კვების რეჟიმი - მგზავრის სურვილისამებრ.

გადახდა კურსის შესაბამისად ეროვნული ვალუტით. ავიაბილეთის ტარიფი არ შეიცავს აეროპორტის მოსაკრებლებს.

ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ ბილეთები ა/კ "საქართველოს ავიახაზების" თელ-ავივის რეისზე.

აგრეთვე ბილეთები ნებისმიერი მიმართულებით.

ქ. თბილისი. კარგარეთელის ქ. N 7, ტელ: 91-04-99, 91-06-16. ფაქსი: 91-04-99
e-mail: mail@arkia.ge

მეტი კომფორტი, მეტი სისწრაფე, ნაკლები ფასი


# ქალაქური მასპინძლობა

## კლუბი „ქალაქური" ახალ ცხოვრებას იწყებს

თბილისში უამრავი რესტორანია - ტრადიციული, ეგზოტიკური თუ ზედმეტად სპეციფიკურიც, თუმცა არის რესტორნები, რომლებიც ამ კომპონენტებს ერთ სივრცეში ათავსებენ და სტუმარს მაქსიმალურ კომფორტსა და მომსახურების ხარისხს სთავაზობენ. განახლებული კლუბი „ქალაქური" სწორედ ამ უკანასკნელს გვპირდება, რის დემონსტრირებისთვისაც ორიოდე დღის წინ კლუბის გასხნაზე მიგვიწვიეს. საპრეზენტაციოდ კი ქართული ტრაციციული გამასპინძლების გარდა და დატვირთული კულტურული პროგრამაც შემოგვთავაზეს.

ეს ყველაფერი კლუბის პოტენციური სტუმრებისთვის - ცნობილი მსახიობების, მომღერლების, მუსიკოსების, ბიზნესმენებისა და საზოგადოების წარმომადგენლებისთვის იყო მომზადებული. ბევრი მათგანი იმ დროს იხსენებდა, როდესაც ძველი „ქალაქური" თბილისის ელიტის თავშეყრის საყვარელი ადგილი იყო, შემდეგ კი აქაურობა მრავალი წლის განმავლობაში ნანგრევებად ქცეულ უსიცოცხლო შენობას წარმოადგენდა. დღეს კლუბის სამი სართული მთლიანადაა ათვისებული და ღია ტერასა, ჩილაუთი, ლობი, დისკობარი, კლასიკური რესტორანი, ლაუნჯბარი და აზიური ტერასა ყველას მისაღებად მზადაა.

კლუბის საპრეზენტაციო საღამო ე. წ. ვარდის ფურცლების ფიანდაზით დაიწყო, რასაც ქუჩის მუსიკოსების, შემდეგ კი არფისა და ვიოლინოს დუეტი მოჰყვა. აქვე იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის ახლად შექმნილი სიმებიანი კვარტეტი, რომლის მიერ შესრულებული მუსიკის ფონზე კლუბის ემბლემით დამშვენებული უზარმაზარი ტორტი გაჭრეს.

ვიდრე რესტორნის კლასიკურ დარბაზში ტორტს აგემოვნებდნენ, აზიური ტკბილეულითა და ეგზოტიკური ხილით დატვირთულ ტერასაზე აზიური ცეცხლი ინთებოდა. სპეციალურად ამ დღისთვის მოწვეულ თურქ მოცეკვავეებს მათ მიერ ე. წ. მუცლის ცეკვის შესრულების შემდეგ (რასაც დამსწრეთა განსაკუთრებული ოვაცია მოჰყვა) კახა ბაკურაძის „მოძრაობის თეატრი" შეუერთდა და სტუმრებისთვის საკუთარი პერფორმანსი წარმოადგინა.

თურქი მოცეკვავეების გარდა სპეციალურად ამ საღამოსთვის სხვა უცხოელი სტუმრებიც იყვნენ მოწვეული. მოსკოვიდან ჩამოსულმა „აგაფონიკა ბენდმა" და დიჯეი ჰარდმა პრეზენტაციის მუსიკალურ ნაწილს ახალი სისხლი შემატეს და სტუმრებისთვის დილამდე უკრავდნენ. მათ მიერ შემოთავაზებული პერკუსიების ჯემსეიშენი „ქალაქურის" ღამის კლუბში გაიმართა, რომლის კარი პირველად ფრანგი აკორდეონისტის რიშარ გალიანოს მასპინძლობისთვის გაიხსნა.

სტუმრებისთვის მომღერალმა სისტერ სოულმაც იმღერა. ეს ეგზოტიკური ქალბატონი თბილისში „ქალაქურის" სპეციალური მოწვევით იმყოფება და კლუბის მუდმივი რეპერტუარის ნუსხაში ირიცხება.

„ქალაქურის" პრეზენტაცია ფოიერვერკით დასრულდა იმის ნიშნად, რომ კლუბმა ახალი ცხოვრება დაიწყო.






# „ლუფთჰანზა" მსოფლიო ჩემპიონია



3 ათასი ტონა ფეხბურთის ბურთი - ასეთია ბურთების გადაზიდვის რეკორდი, რომელსაც გერმანული ავიახაზები „ლუფთჰანზა" ხსნის. ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის წელს „ლუფთჰანზამ" მართლაც უამრავი ბურთი გადაზიდა. და რაც უფრო ახლოვდება ჩემპიონატი, ბურთებზეც მოთხოვნაც მით უფრო იზრდება.

შესაბამისად, საქმე ემატებათ ქარხნებსაც. პაკისტანის საწარმოებში ბურთებს რეკორდული რაოდენობით ამზადებენ - როგორც მოყვარული ფეხბურთელებისთვის, ისე პროფესიონალთათვის. ბურთის ინდუსტრიის ცენტრი კი სიალკოტია - ადგილი ინდოეთის საზღვართან. მსოფლიოს ყველა წამყვან მწარმოებელს ქარხანა სწორედ იქ აქვს გახსნილი. სიალკოტში გასული წლის ბოლოს 63 მილიონი ფეხბურთის ბურთი ჰქონდათ დამზადებული.

ჯერ ჩემპიონატის შედეგების პროგნოზირება სრული უტოპიაა, თუმცა, ის კი ცხადია, რომ „ლუფთჰანზა" და ბურთების მწარმოებლები გაცხარებით მუშაობენ. „ლუფთაჰნზას" კომპანიის ხელმძღვანელები კი იმედოვნებენ, რომ ბურთებს მათი თვითმფრინავებით ფრენა მოსწონთ.




ნოდარ ლადარია

აყვავდა და დამშვენდა ჩვენი სამშობლო, საყვარელი საქართველო! — შესაბამისად, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დიაპაზონიც გაფართოვდა: აქეთ — სუამისათვის საერთაშორისო სტატუსის მინიჭება, იქით — **იგორ გიორგაძისა** და მის მომხრეთა გააქტიურება. მაგრამ ამ დიაპაზონის მწვერვალებზე ჩვენ ვერ ვივლით, რადგან ერთობ მოკრძალებულია ჩვენი შესაძლებლობები. სხვას უნდა დავუთმოთ ეს პრივილეგია: პირველი — ხვალინდელი დღის შემფასებელ პროფესიონალ ექსპერტებს, მეორე კი გუშინდელ დღეში ჩარჩენილ შარახვეტიებს...

ისევ სადღაც შუაში მოგვიწევს საკბილოს ძებნა. შუაში კი, მოგეხსენებათ, ჩვენი ერის იმედი და სიქადული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წამომართულა. უჰ, სუნთქვის აუღებლად მოვახერხე წარმოთქმა — ყოველთვის კი არ გამომდის. მაგრამ ამ იმედსა და სიქადულს მოუმზადებლად ვერ მიუახლოვდები. რაღაც ხელმოსაჭიდი გჭირდება.

ჩვენმა წინწასულმა პოლიტიკურმა ცხოვრებამ ერთი სიურპრიზიც გაიმეტა ჩვენთვის: დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გვახარეს, რომ თბილისში აღდგა ძველი და ყველასათვის დღემდე ჩვეული სახელი — პეკინის ქუჩა. თან კოსტავას ქუჩაც ორჯერ დამოკლდა.

ჩვენი ძირძველი ტრადიციის თანახმად, მაშინვე გამოჩნდნენ ბოროტი ენები და სისინი დაიწყეს: ეგ ყველაფერი პოლიტიკაა, ჩინეთში ღვინის ბაზარი აინტერესებთ და ამიტომაც აღადგინეს პეკინის ქუჩაო. დავეთანხმოთ ბოროტ ენებს, რადგან მხოლოდ ამგვარად გაქარწყლდება მათი ბოროტება. ჯერ ერთი, ვინა თქვა, რომ სიტყვა "პოლიტიკა" იმთავითვე ფარისევლობას, ვერაგობასა და ათასგვარ სისაძაგლეს ნიშნავს? პოლიტიკამდე, ბატონებო, ამაღლებაა საჭირო. და თუ ჩვენი პოლიტიკის მესვეურებს იმდენი ჭკუა ჰყოფნით, ასეთ რამეებზე იფიქრონ, ეს მხოლოდ მისასალმებელია. მაგრამ კიდევ ერთი რამ ახლავს ამ მოვლენას, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და ჩვენს ღვთივკურთხეულ მამულში ერთობ იშვიათიც: კოსტავას ქუჩის ორჯერ დამოკლება უთუოდ იმის მანიშნებელია, რომ საქართველოში პოლიტიკური პრაგმატიზმი სძლევს პათოსისა და ეიფორიის შეუღლებით წარმოშობილ მითოლოგიას. კეთილი ნიშანია!

პათოსს რაც შეეხება, ერთი წინადადება მაქვს: სულაც გავაუქმოთ ყოველგვარი პათოსი — ჩვენ არავისზე უკეთესები არა ვართ და არც უარესები. ვიმუშაოთ და ვნახოთ რა გამოგვივა: ინტერესი და ცნობისმოყვარეობა სიყვარულსა და მოწიწებაზე უფრო კეთილშობილი გრძნობებია, რადგან მათით სპეკულირება არ გამოდის.

აი, პრაგმატიზმის ამ პატარა, მაგრამ საგრძნობი გამარჯვებით ზურგგამაგრებულმა მინდა დავიწყო მიახლოვება იმასთან, რაც პათოსმა და ეიფორიამ ცოდნის თეთრ ტაძრად მონათლა...

რამდენიმე დღის წინ მთხოვეს, შემეფასებინა სამაგისტრო პროგრამა რელიგიათმცოდნეობასა და თეოლოგიაში. გამოგიტყდებით, ამ დოკუმენტმა მომხიბლა და მაფიქრებინა, რომ ქვეყანა უნდა იცნობდეს თავის გმირებს.

აი, მაგალითად, პირველი მოდული: "რელიგიური სწავლებები". ნეტა რა უნდა ვიგულისხმოთ? — ალბათ მოდულში გათვალისწინებული კურსების სათაურები დაგვეხმარება: **"რელიგიურ-ფილოსოფიური ანთროპოლოგია", "ადამიანი XXI საუკუნეში და მისი დამოკიდებულება რელიგიასთან"**. ასე მგონია, პირველი მათგანი ბაკალავრიატში უნდა იკითხებოდეს, მეორეზე კი რა მოგახსენოთ, ალბათ პირველში შემავალი კერძო საკითხია. ყოველ შემთხვევაში, პირველი კურსის ავტორი გვარწმუნებს, რომ მისი მიზანია **"სწორი ცოდნა მისცეს სამყაროზე და სამყაროს შემოქმედზე"**. არც ცოტა, არც ბევრი! — როგორც იტყოდა გაოცებული **ბადრი პატარკაციშვილი**.

მაგრამ შემდეგ კიდევ უფრო საინტერესო რაღაცებს ვპოულობთ. აი, მაგალითად, სამაგისტრო კურსი **"ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური ძიებები აღმოსავლურ მოძღვრებებში"**. ალბათ აღმოსავლური მოძღვრებების ფილოსოფია და ანთროპოლოგია უნდა ეთქვა კურსის ავტორს, ძიებისა კი რა მოგახსენოთ. გამოთქმის მეცნიერული სიზუსტე, პროფესიული ენის ფლობა ცოდნის ტაძრისთვისაც უცხო უნდა იყოს, ამიტომაც ღმერთს მადლობა შევწიროთ — ხომ შეეძლო, მაგალითად, ამ კურსის ავტორს შემოეთავაზებინა "კვანტური მექანიკის პრინციპები ეგვიპტურ მითოლოგიაში" ან "მიკრობიოლოგიის ელემენტები მალაიზიურ შამანიზმში".

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



ასეა თუ ისე, მოდულის ხელმძღვანელი გახლავთ პროფესორი **თეიმურაზ ფანჯიკიძე**. ეს მეტად სერიოზული კაცი მაგისტრანტებსაც ფრიად მაღალ მოთხოვნებს უყენებს (აქ და შემდგომ სტილი და პუნქტუაცია დაცულია): **"მომავალ მაგისტრანტს, თავის მშობლიური ენის კარგ ცოდნასთან ერთად, რაც უკეთესად ეცოდინება უცხო ენა მით უფრო უკეთესია. მაგრამ შექმნილი რეალური მდგომარეობიდან სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას დასაშვებია BI დონით, უკიდურეს შემთხვევაში (მომვალში უკეთესად შეთვისების იმედით A დონით)"**. ნეტა რა უსაშველო რეალური მდგომარეობა შეიქმნა? — თუ მოდულის შინაარსს კარგად გავეცნობით, ერთადერთი აზრი დაგვრჩება თავში: უცხო ენის კი არა, აქ შეკრებილ სწავლულ გვამებს თავიანთი მშობლიური ენის ცოდნაც მიუღწეველ პერსპექტივად ქცევიათ.

მაგალითად თუნდაც თვით ბ-ნ ფანჯიკიძის კურსი გამოდგება, რომელსაც ასეთი მრავლისმეტყველი სათაური აქვს: "ქართველთა სულიერი ცხოვრება". ნეტა რა უნდა იყოს? — შესავლიდან ვგებულობთ, რომ **"ეს არის ზოგადი, კრებითი სათაური იმ მნიშვნელოვანი რელიგიური პრობლემებისა, რომელიც თან სდევდა საქართველოს ისტორიას მთელი მისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე"**. აჰა, "მნიშვნელოვანი რელიგიური პრობლემების" კრებითი სათაური ყოფილა "ქართველთა სულიერი ცხოვრება". სანამ პრობლემებზე გადავიდოდეთ, ვიკითხოთ, ეს მაგისტრანტები, რომლებიც BI დონეზე ფლობენ უცხო ენას, ბაკალავრიატის ოთხი წლის განმავლობაში რას აკეთებდნენ? მაგრამ ნუ ჩავაყენებთ ავტორს უხერხულ მდგომარეობაში — რაც არ უნდა იყოს, ცოდნის ტაძრის ქურუმთაგანია. თანაც რა საპატიო მისია აულია თავის თავზე — **"ცდა, გაანალიზებული და გაგებული იქნას რელიგიური ფაქტორის როლი ქართველთა ცხოვრებაში, მის ყოფაში, საშინაო თუ საგარეო ურთიერთობებში. სათანადოთ შეფასებული იქნეს ის სულიერება, რაც ამ ფაქტორის მეოხებით შექმნა ხალხმა, ყოველივე ის, რასაც ქართველები პატივს სცემდნენ, ანგარიშს უწევდნენ, რომლის მეოხებითაც იმკვიდრებდნენ თავის თავს, ცხოვრობდნენ, იბრძოდნენ, აშენებდნენ და ამავე დროს ქმნიდნენ თავის მდიდარ კულტურას"**. ჰა, დავიწყოთ ციტატის განხილვა, თუ დავუძახოთ წივწივაძეს? არა, მე ვერ შევერკინები აზრის ამ თვალშეუდგამ სიღრმეს, ვერც ერთი "ფაქტორის მეოხება" ვერ მიშველის. უშუალოდ სალექციო თემებს მივმართოთ: **"1. ქართული წარმართობის გააზრება; 2. ქრისტიანობის შემოსვლა საქართველოში და მისი გარდამტეხი მნიშვნელობა ... 27. ვარდების რევოლუცია და საქართველო"**. დიახ, ბატონებო, თვალი არ გატყუებთ: "ქართული წარმართობის გააზრება" — ერთი ლექცია; "ვარდების რევოლუცია და საქართველო" — ერთი ლექცია. მაგრამ აქ კიდევ უფრო საინტერესო თემებიცაა: ჯერ მარტო **"ერთმორწმუნეობა" და მისგან გაჩენილი პრობლემები** რად ღირს.

მოკლედ, ცარგვალი გადააბრუნა ჩვენმა პროფესორმა, ამ კურსის მოსმენის შემდეგ ხომ შეუერთდება "ჩვენი ქვეყნის შენებასა და ამავე დროს მისი მდიდარი კულტურის შექმნას" ათობით ნიჭიერი ახალგაზრდა. როგორც ბ-ნი პროფესორი ირწმუნება, **"კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტი უკეთ გაითავისებს რელიგიური ფაქტორის როლს ქართველთა სულიერ ცხოვრებაში, ჩვენში არსებულ რეალურ პრობლემებს და მათ მიმართულებას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან"**. ალელუია! — ეს კი მართლაც ბევრს გვეუბნება ღვთის ყოვლისშემძლეობასა და ზოგიერთი ადამიანის უგუნურებაზე...

რაო, ზედმეტ სიხისტეს ხომ არ ვიჩენ? — არ გინახავთ ბ-ნი ფანჯიკიძის ნაშრომთა სია, ამიტომაც მსაყვედურობთ. აქ ამ სიის მოყვანას აზრი არა აქვს, ბოლოს და ბოლოს, საგაზეთო სტატიას ვწერ და არა საექსპერტო დასკვნას, მაგრამ ერთი საინტერესო დასახელება მაინც იმსახურებს აღნიშვნას: **"მსოფლიოს ხალხთა რელიგიები და სარწმუნოებრივი შეხედულებები. საკითხავი ყმაწვილთათვის"** — ეს დასახელება შეტანილია მონოგრაფიათა სიაში და მას ზემოხსენებული ბ-ნი ფანჯიკიძის გარდა კიდევ 16 (თექვსმეტი!) ავტორი ჰყავს. და მაინც, ავტორთა სიმრავლემაც ვერ გადასწონა ის ორი მშვენიერი სიტყვა — "საკითხავი ყმაწვილთათვის". უყვარს ბ-ნ ფანჯიკიძეს ბავშვები და ყმაწვილები: იქნებ ამიტომაც ჩაურიცხავს თავის მოდულში ქ-ნ **ქეთევან პავლიაშვილის** ერთი კურსი. კურსი იქით იყოს, მისი ავტორი კი საბავშვო მეზღაპრედ მართლაც გამოდგება: მახსოვს მისი ერთი სტატია, რომელიც გაზეთ "სვობოდნაია გრუზიაში" დაიბეჭდა სათაურით "Славная дочь французского народа". არა, **ჟანა დ'არკი** არ იგულისხმება - სტატია **მარი ბროსესადმია** მიძღვნილი, რომელიც ჩვენს ავტორს რატომღაც ქალი ჰგონია.

პირველს არც მესამე მოდული ჩამორჩება. მისი სათაურია "თეოლოგია და რელიგიის ისტორია", ხელმძღვანელი კი პროფესორი **ირაკლი ბრაჭული**. თუმცა სამხიარულო აქ ნაკლებია, ვითარებას მსუბუქს მაინც ვერ დავარქმევთ. ისევ საბაკალავრო კურსებით აუვსიათ სამაგისტრო პროგრამა. თანაც შეინიშნება ძლიერი სულიერი ნათესაობა პირველ მოდულთან. მაგალითად: "ნათელი რელიგიასა და მითოსში" (1-ლი მოდული); "ნათელი ძველ ქართულ მსოფლმხედველობაში" (მე-3 მოდული). "ნათელი" აქ სინათლეს ნიშნავს, როგორ ეტყობა, რომ სინათლის ქალაქის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გვაქვს საქმე! ეს "ძველი ქართული მსოფლმხედველობა რაღაა?" — ალბათ სავალდებულო ლიტერატურაში აიეტისა და ფარტაზის ორტომეული აქვს აღნიშნული ამ კურსის ავტორს. აღარ მახსოვს.

ახლა თვით მოდულის ხელმძღვანელის, პროფესორ ბრაჭულის კურსს მივხედოთ. გარედან მტერს უბრმავებს თვალს და შიგნიდან — მოყვარეს. სახელიც შესაბამისი ჰქვია: "ფუნდამენტური თეოლოგია". მახსოვს, სემინარიაში საგანი იკითხებოდა, "ძირითადი ღვთისმეტყველება". ტყუილად არ გამხსენებია: ბ-ნმა ბრაჭულმა თავისი ფუნდამენტური კურსი ორი დასავლელი ავტორის წიგნზე ააგო: **ჯერალდ ო'კოლინზი** (გრეგორიანას უნივერსიტეტი, რომი) და **ჰაინრიხ ფრისი** (ტიუბინგენის უნივერსიტეტი). არც ერთია თეოლოგი და არც მეორე — ორივენი თეოლოგიის პროფესორები არიან. ხომ ატყობთ განსხვავებას?

კათოლიკური უნივერსიტეტები რაღაც კონკრეტულ მიზნებს ემსახურებიან. მაგალითად, ამზადებენ მომავალ ეპისკოპოსებს და მათ რეფერენტებს. ქვეყანაში კი, სადაც მძღოლობიდან ეპისკოპოსობამდე ერთი ნახტომია, რა საჭიროა საუნივერსიტეტო მაგისტრატურაში კათოლიკური თეოლოგიის სისტემური სახელმძღვანელოს მოყოლა?

როცა ყოველდღე მიწევდა გრეგორიანაში სიარული, ჯერალდ ო'კოლინზი თავის კურსს გვერდით აუდიტორიაში კითხულობდა. მაგრამ აზრადაც არ მომსვლია მასზე ჩაწერა: ვიჯექი ჩემთვის და მორჩილად ვაბრუნებდი ლათინურ არსებით სახელებს და ვაუღლებდი ზმნებს.

არა, დაერქმიათ კურსისთვის "ნეოთომიზმი" ან თუნდაც "თომიზმი" და ესწავლებინათ **ჟილსონისა** და **მარიტენის** ტექსტები. სიტყვასაც არ ვიტყოდი. მაგრამ სად თსუ და სად გაძლიერებული კათოლიკური სემინარია! იმისთვის ილებდა ბ-ნი ბრაჭული პროფესორობას, რომ მერე ექვსასგვერდიანი გერმანული თუ რუსულად ნათარგმნი ინგლისური ტომის სარჩევი წარმოედგინა თავისი სამაგისტრო კურსის სილაბუსად?

თუმცა ამაზე უფრო მნიშვნელოვანი კითხვაც უნდა დავსვათ: როგორ მოხვდა ამ გაუგებრობაში მეორე მოდულის, "შედარებითი რელიგიათმცოდნეობის" ხელმძღვანელი, პროფესორი **ზაზა ფირალიშვილი**? რა თქმა უნდა, ეს მოდული სრულ წესრიგშია, ისევე როგორც თვით პროფესორი. და მაინც, კითხვა კვლავ ისმის და მასზე პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: **უმაღლესი განათლების სისტემაში გამოცხადებული კონკურსების ფორმალური კრიტერიუმები გამოუსადეგარია აკადემიური თანამდებობების ღირსეული განაწილებისთვის**.

დისერტაცია, გამოქვეყნებული შრომების სია, წაკითხული სალექციო კურსები, რედაქტირებული წიგნები... ფორმალურად რამდენი აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს? ამათგან კი რამდენის შეშვება შეიძლება ცოცხალ სტუდენტებთან? მერე კი გვიკვირს, როცა გამოდიან ჩვენი შვილები პირდაპირ ეთერში და ეროვნულ ბიბლიოთეკაში "სპეცხრანის" შემოღებას სთხოვენ მის ყოფილ გენერალურ დირექტორს — აბა, ყველა წიგნის წაკითხვა ხომ ყველასათვის არ შეიძლება!

რაღაც სხვა უნდა მოვიფიქროთ. რაც შეეხება იმათ, ვინც გამოემშვიდობება აკადემიურ თანამდებობებს, მათ რჩენაზე ისევ რუსეთის უშიშროების სამსახურმა იფიქროს — აკი უიმისოდაც პარტია "სამართლიანობისა" და "ანტისოროსის" მიტინგებისკენ მიუწევთ გული. სწორედ იქაა მათი ადგილი და ხელს ნუ შევუშლით. განა მათგან არ ისწავლა მშვენიერი ქართული **ჟორჟოლიანის** საკარნავალო ლიტანიობის მონაწილე თვალახვეულმა გოგონამ, რომელმაც ჟურნალისტის შეკითხვაზე — "აქ რას აკეთებთ?" — ალალად უპასუხა: "ფემიდას ვსახავ".

"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39

გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:
- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.
გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

# ბიზნესი

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

ბიზნესინკუბაცია ქართული მოდელისაკენ **B2**

MITTAL STEEL ლიდერობის დაკარგვას არ შეურიგდება



ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ბანკირობას აპირებს



რუსეთი იარაღის უმსხვილესი ექსპორტიორია

Dow Jones Index 110 წლისაა **B3**

## ავთანდილ წერეთელმა "სამგორი 94-ის" წილი მთლიანად გაყიდა




თინა შავაძე

*საქართველოს კაპიტალის ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვილებებია. გასული ორი თვის (15 აპრილი - 28 მაისი) განმავლობაში საქართველოს საფონდო ბირჟაზე 565 გარიგება 30 სახეობის სააქციო საზოგადოების აქციაზე და ობლიგაციაზე დაიდო. ბირჟის ჯამურმა ბრუნვამ 33348404.35 ლარი შეადგინა. გასხვისებულ იქნა 3837462 აქცია. ბრუნვის ძირითადი თანხა მოდის სს "საქართველოს ბანკის" აქციაზე, რაც განპირობებულია ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) მიერ საკუთარი წილის - 17 პროცენტის გაყიდვით და აქციონერთა სიიდან გასვლით. დანარჩენი გარიგებებიდან მნიშვნელოვანია ცნობილი ადგილობრივი, თამბაქოს მწარმოებელი კომპანია სს "სამგორის 94-ის" 97 პროცენტი წილის გაყიდვა. საჯარო ინფორმაციით, კომპანიაში ორი მსხვილი მეწილე იყო - შპს "სამგორი 94" (72,15 პროცენტ) და ფიზიკური პირი თეიმურაზ ენუქიძე (25 პროცენტი).*

**B2**

## ნაციონალიზაცია vs ინვესტიცია

თორნიკე შარაშენიძე
*ნატოს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი*

### ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი საჭირო დროს ამუშავდა

*"ამ უიკენდზე, აზერბაიჯანისა და თურქეთის დამაკავშირებელი მილსადენიდან მიღებული ნავთობით, პირველი ტანკერი დაიტვირთება. ეს მილსადენი 4 მილიარდი დოლარი დაჯდა, მისი სიგრძე 1768 კმ-ს შეადგენს. იგი იმითაა უნიკალური, რომ რუსეთის მილსადენებისა და ბოსფორ-დარდანელის სტუტეების გვერდის ავლით კასპიის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაზე გადის. მიმდინარე წელს მილსადენით ყოველდღიურად 300 ათასი ბარელი უნდა იქნას ტრანსპორტირებული და ეს მაჩვენებელი მოგვიანებით 1 მილიონზე უნდა ავიდეს."*

- გასულ კვირას ისევ გაგრძელდა დოლარის დაცემის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ შესაძლო პრობლემები უწინასწარმეტყველა ევროპის ეკონომიკას.
- ახალი გათვლების მიხედვით, მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკური ზონების ზრდის მაჩვენებლები შემდეგნაირი იქნება: აშშ - 3,1% (2006); 2,9% (2007); იაპონია - 2,8% (2006); 2,3% (2007); ევროზონა - 2,2 (2006); 2,1% (2007).



*პირველი მილი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე.*

**B3**

## უმდიდრესი არაამერიკელი

კარლოს სლიმ ელუ - მექსიკელი მიდასი

გოჩა ქიმუცაძე

*სხვისი ფულის თვლის და რეიტინგების შედგენის მოყვარული ჟურნალ Forbes-ის მილიარდერთა სიაში რომ პირველ-მეორე ადგილზე ამერიკელები: ბილ გეითსი და უორენ ბაფეტი არიან, უკვე არაერთხელ ვისაუბრეთ. მათ შემდეგ მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანი 66 წლის მექსიკელი მაგნატი, 30 მილიარდის მფლობელი კარლოს სლიმ ელუ გახლავთ. მისი კორპორაცია ჩარსო Global Telecom მსოფლიო ბიზნესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. მართალია, ჩვენში მის შესახებ ძირითადად ბიზნესწრეებში და ტელეკომუნიკაციების მსოფლიო ბაზრის სიახლეებით დაინტერესებულ ადამიანებს სმენიათ, მაგრამ კარლოს სლიმ ელუს შესახებ ყველას გაუგია. უზარმაზარი იმპერია Carso Global Telecom-ის მეპატრონე, Altria Group-ის (ახლო წარსულში Philip Moris Inc), SBS Communication-ის და რამდენიმე ათეული შედარებით წვრილი კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრი, სამრეწველო-ეკონომიკური ორგანიზაციის და მექსიკის მთავრობის კომისიის სრულუფლებიანი წევრი, რამდენიმე საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ორგანიზაციის საპატიო თამჯდომარე არა მარტო ატლანტიკის გაღმა, არამედ მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ადამიანია.*



**B4**

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3588 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9991 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4902 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,8000 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8399 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1832 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3105 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3125 |
| 1 | ევრო | EUR | 2,3137 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4791 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3462 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1654 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1609 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3907 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1968 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2493 |
| 1 | ისრაელის სიკელი | ILS | 0,3991 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,6060 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,2967 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,7029 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3585 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2956 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5848 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,6047 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0666 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1367 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4135 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5591 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4737 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5764 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8822 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,2249 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1471 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4427 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2486 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4920 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0820 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2244 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2321 |



### ეკონომიკის სამინისტრო "თერჯოლგაზს" 75 000 დოლარად ყიდის

სს "თერჯოლაგაზი" 75 000 დოლარად იყიდება. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ს/ს "თერჯოლაგაზის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა 90% -ის გაყიდვის მიზნით, აუქციონი გამოაცხადა, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 75 000 დოლარით განისაზღვრა. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 137 470 ლარია, დებიტორული დავალიანება 38 689 ლარს, ხოლო კრედიტორული - 41 800 ლარს შეადგენს. დაინტერესებულთათვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განცხადებების მიღება ხვალიდან დაიწყება და 29 ივისამდე გაგრძელდება. ტენდერი 29 ივნისს 18.00 საათზე ჩატარდება.

### უკრაინაში ქართული ღვინის რეალიზაციის ერთ-ერთი ბაზარი ივანო-ფრანკოვსკის მხარე იქნება

ქართული ღვინის რეალიზაციის ერთ-ერთი ბაზარი უკრაინაში ივანო-ფრანკოვსკის მხარე იქნება. როგორც დღეს წინანდალში გამართულ ბრიფინგზე ივანო-ფრანკოვსკის მხარის გუბერნატორმა რომან ტკაჩმა განაცხადა, კახეთის მხარესთან დამეგობრებულმა რეგიონმა კარპატის მხარეში უკვე გამოყო ერთი ჰექტარი მიწის ფართობი, სადაც კახეთის სახლი აშენდება და მას "ორი მეგობარი" დაერქმევა.

სახლის აშენება პროექტით მილიონი დოლარი დაჯდება, რომელსაც ორივე მხარე თანაბრად გაიღებს. ივანო-ფრანკოვსკის დღეები კახეთში ორშაბათს დაიწყო და ხვალ დასრულდება. ორ რეგიონს შორის დაგეგმილია გაცვლითი პროექტების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის, ტურიზმის და კულტურული ურთიერთობის განვითარებას.

### "სახალხო ბანკი" პირველი ქართული სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემის შექმნის ინიციატივით გამოდის

"სახალხო ბანკი" პირველი ქართული სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემის შექმნის ინიციატივით გამოდის.

როგორც ბანკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგუაძემ "ინტერპრესნიუსს" განუცხადა, დღეისთვის ამ ოპერაციებს არაქართული კომპანიები ახორციელებენ და საკმაოდ მაღალ საკომისიო გადასახადს აწესებენ.

გიორგი გოგუაძის აზრით, ქართული სისტემის ჩამოყალიბება ბევრად გაუმარტივებს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს თანხების საქართველოში გადმორიცხვის პროცედურას. გარდა ამისა, ახალი სისტემა უფრო იაფი და ოპერატიული იქნება. გადარიცხვების საკომისიოები კი ქართული სათვისტომოების განვითარების ფონდებს მოხმარდება.

### კახეთი და უკრაინა ეკონომიკური განვითარების პროგრამაზე მუშაობენ

კახეთის რეგიონსა და ივანო ფრანკოვსკის ოლქს შორის მეგობრულ-პარტნიორულ ურთიერთთანამშრომლობას საფუძველი ხუთი წლის წინ ჩაეყარა და დღემდე გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში, არაერთი საინტერესო პროგრამა განხორციელდა, მათ შორის - მოსწავლეთა ერთთვიანი გაცვლითი პროგრამებიც. ამჯერად კი, ორი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარების და მხარდაჭერის მიზნით, კახეთისა და ივანო ფრანკოვსკის ოლქის გუბერნოტორებმა ერთიანი პროექტი შეადგინეს, რომლის მიხედვითაც ტურისტულ ქალაქ იარემჩაში "კახეთის სახლი" აშენდება, რომელიც ქართული ღვინის და სხვა პროდუქტების პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. **"ჩვენ, უკრაინელ და ქართველ ხალხს უამრავი რამ გვაქვს საერთო. პირველ რიგში კი, ის დემოკრატიული გზა, რომელსაც თქვენს შემდეგ, რევოლუციის შედეგად, ჩვენც დავადექით. საქართველო ყოველთვის იყო უკრაინისთვის სამაგალითო ქვეყანა. ჩვენ ვიცით, რომ თავისუფლების გამო, თქვენ არაერთი უმძიმესი გაჭირვება გადაიტანეთ, თანაც ისე, რომ ამ სიტყვისთვის არასოდეს გიღალატიათ. ახლა კი, როდესაც ქართულ ღვინოს ევროპის ბაზარზე პოპულარიზაცია განსაკუთრებულად სჭირდება, ჩვენ გადავწყვიტეთ უკრაინის ტურისტულ ქალაქ იარემჩაში კახეთის სახლი დავაარსოთ, სადაც რეალურად მოხდება ქართული სამზარეულოს, ღვინის და საერთოდ თქვენი პროდუქციის პოპულარიზაცია,"** - განაცხადა უკრაინის გუბერნატორმა რომეო ტკაჩიმ. კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის პეტრე ციკარიშვილის თქმით კი, **"ეს ურთიერთთანამშრომლობა არამარტო რეგიონისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან პირველ რიგში, ეს არის ტურისტული ქალაქი, საკმაოდ ახლოს მდებარეობს აღმოსავლეთ ევროპასთან და იქ დღეში სხვადასხვა ქვეყნიდან 70 ათასამდე ტურისტი ჩადის"**. ამ დროისათვის უკრაინის მხარემ "კახეთის სახლის" მშენებლობისთვის, უკვე შეიძინა ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთი. პროექტის განსახორციელებლად კი, რომლის ღირებულებაც მილიონი დოლარია, თანხებს ორივე მხარე გაიღებს. უკრაინელები, რომლებმაც თავიანთი ქვეყნის შემოქმედება კახელებსაც გააცნეს, ჩვენს რეგიონს სამი დღის განვალობაში სტუმრობდნენ. *24 საათი*

### General Motors-ის თვითგადარჩენის სტრატეგია

ამერიკული საავტომობილო გიგანტის General Motors-ის ხელმძღვანელობა, რომელიც ბოლო პერიოდში საკმაოდ სერიოზულ ფინანსურ სირთულეებს განიცდის, აცხადებს, რომ მათ მიერ შემუშავებულმა რეკონსტრუქციის პროგრამამ კომპანიას სასიკეთო ცვლილებები უკვე მოუტანა. ეს განცხადება კომპანიის ხელმძღვანელმა ბობ ლუტცმა გააკეთა. კონცერნი კვლავ შეძლებს ახალი მოდელის ავტომობილების გამოშვებას. "ჩვენ მოვლენები კომპანიის სასიკეთოდ შემოვაბრუნეთ და უახლოეს მომავალში შესანიშნავ მსუბუქ ავტომობილებს გამოვუშვებთ. GENERAL MOTORS-ის იმიჯი მსოფლიოში საკმაოდ უარყოფითად შეიცვალა. ჩვენი აზრით, კი ახალი პროდუქციის გამოშვება ამ ნეგატიური სიტუაციიდან გამოსვლაში დაგვეხმარება. ჩვენ კომპანიას შიგნიდან ვუყურებთ და ვიცით, რომ უახლოესი სამი წლის შემდეგ კომპანია უმაღლესი კლასის ახალ პროდუქტს შესთავაზებს მომხმარებელს. ეს ზუსტად ის არის, რის გაკეთებაზეც კომპანია 30 წელი ოცნებობდა."- აცხადებს კომპანიის ხელმძღვანელი.

შეგახსენებთ, რომ ნავთობის ფასის რეკორდულმა ზრდამ კომპანიის მიერ წარმოებულ ჯიპებზე მოთხოვნილება საგრძნობლად შეამცირა, რამაც კომპანიას სეიოზული ფინანსური ზარალი მიაყენა. ბოლო ორი წლის განმავლობაში General Motors-ის აქციები სამჯერ შემცირდა. გარდა ამისა, ამ საავტომობილო გიგანტის ფინანსურ მდგომარეობაზე განსაკუთრებით უარყოფითად პერსონალისთვის გამოყოფილმა სამედიცინო ხარჯებმა იმოქმედა.

კომპანიის ხელმძღვანელობა ამ ეტაპზე წარმოების ხარჯების შემცირების პროგრამაზე აქტიურად მუშაობს. აღნიშნული პროგრამა კომპანიის ევროპული ფილიალებიდან მუშახელის შემცირებას გულისხმობს. კონცერნის ხელმძღვანელობამ ცოტა ხნის წინ, General Motors-ის ბრიტანული განყოფილებიდან ფირმა Vauxhall-ის 900 თანამშრომელი გაანთავისუფლა. ამასთან ერთად, კომპანია მსოფლიოში კიდევ 12 ქარხანას გააუქმებს. ამის შედეგად კი დაახლოებით 30 ათასი მუშახელი სამუშაო ადგილებს დაკარგავს. ბოლო პერიოდის განმავლობაში კომპანიამ ხარჯების შემცირება ცარმატებით განახორციელა. 2006 წლის პირველი სამი თვის მანძილზე კომპანიის დანაკარგი 323 მილიონ დოლარს შეადგენდა. მაშინ, როცა ერთი წლის წინ ეს რიცხვი 1,3 მილიარდ დოლარს უდრიდა. რამდენიმე დღის წინ, GENERAL MOTORS-მა აქტიური სარეკლამო კამპანია წამოიწყო. კომპანია კალიფორნიაში და ფლორიდაში GM-ის ავტომობილების მყიდველებს საწვავის ხარჯებს დაუფარავს.

# ავთანდილ წერეთელმა "სამგორი 94-ის"წილი მთლიანად გაყიდა

პირველი გვერდიდან

დადებული გარიგებიდან აშკარად ჩანს, რომ ორივე აქციონერმა, ცნობილმა ბიზნესმენმა ავთანდილ წერეთელმა და მისმა პარტნიორმა თეიმურაზ ენუქიძემ აქციათა წილი გაყიდეს. მყიდველი ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ორი კვირის განმავლობაში მყიდველი ვალდებულია, საკუთარი ვინაობა გამოამჟღავნოს. ამის გარდა, მსხვილი გარიგება მოხდა სს "კრწანისი 99-ში", რომლის აქციათა 28 პროცენტი გაიყიდა. წინდების მწარმოებელი კომპანია სს "კრწანისი 99" გაჩერებულია და, დიდი ხანია, პროდუქციას არ უშვებს, მაგრამ როგორც ირკვევა, კომპანიის აქციონერებს ქონება იჯარით ჰქონდათ გაცემული.

ბოლო სახაზინო ვალდებულება დაიფარება 6 ივნისს და მიმდინარე წელს ამით დასრულდება სახაზინო ვადებულების ისტორია.

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 25 მაისს მონაწილეობა მიიღო ხუთმა კომერციულმა ბანკმა (სამმა - გამყიდველის და ორმა - მყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (მყიდველის სტატუსით). დაიდო ხუთი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 1 765 000 დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1 565 000 დოლარი შეიძინა. საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 დოლარი/1.8000 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველი მოთხოვნა არ ყოფილა, ხოლო მიწოდებამ 3 215 000 დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე დაფიქსირდა შემდეგი კურსი — 1 დოლარი/1.7980 ლარი. 26 მაისიდან ძალაში შევა დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი/1.7980 ლარი. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟაზე 2006 წლის 25 მაისს დაიდო 49 000 ევროს მოცულობის ერთი გარიგება, რომელშიც მონაწილეობდა ორი კომერციული ბანკი. 26 მაისიდან ამოქმედდება შემდეგი კურსი: 1 ევრო/2.2960 ლარი. 24.05.2006 თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 24 მაისს მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა (ერთმა გამყიდველის და სამმა მყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (გამყიდველის სტატუსით). დაიდო ოთხი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 1 260 000 აშშ დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 660 000 აშშ დოლარი გაყიდა. საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.8000 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნამ - 1 260 000 აშშ დოლარი, ხოლო მიწოდებამ 600 000 აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა შემდეგი კურსით — 1 აშშ დოლარი/1.8000 ლარი. 25 მაისიდან ძალაში დარჩა აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი/1.8000 ლარი.

საქართველოს საფონდო ბირჟა

სესია № 614 - 624 / *2006 წლის 18 აპრილი - 30 მაისი*

| დასახელება და ძირითადი აქტივი | კოდი | საშ.შეწ. ფასი | მოცულობა (ფ/ქ) | ღირებულება (ლარი) | საწესდებო კაპიტალი (აქციებში) | კაპიტალიზაცია ლარში | გასხვისწილი % | 2006წ დაფიქსირ ფასი მაქს. | მინ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სს "თელასი" | AEST | 1,5 | 2250 | 3600 | 81147886 | 121721829 | 0,003 | 1,6 | 1,5 |
| სს "სახალხო ბანკი" | AMB | 1 | 1929 | 1929 | 10000000 | 10000000 | 0,019 | 1 | 0,8 |
| სს "ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი" (შენობა) | BSK | 54,9 | 2008 | 109851,1 | 119500 | 6560550 | 1,680 | 55 | 42 |
| სს "ელექტროძრავა" | ELDZ | 1 | 14669 | 14669 | 363580 | 363580 | 4,035 | 1 | 1 |
| სს "ენისელი" (ღვინო) | ENIS | 6,43 | 1862 | 11972,66 | 1812967 | 11657378 | 0,103 | 6,43 | 6,43 |
| სს "სასტუმრო აჭარა" | HAJR | 1 | 4767 | 4767 | 1047030 | 1047030 | 0,455 | 1 | 1 |
| სს "საქართველოს ბანკი" | GEB | 12,8 | 2 565 325 | 32209001 | 14783409 | 189227635 | 17,353 | 13 | 10 |
| სს "საქ. ბანკის" ობლ | GEBOND | 102 | 278 | 28273,88 | | | | 102 | 100 |
| სს "ქუთაისის ავტ.რაში" | KASR | 0,1 | 2965 | 296,5 | 148244 | 14824,4 | 2,000 | 0,1 | 0,1 |
| სს "კრწანისი 99" | KR99 | 1,500 | 103 643 | 155 956,4 | 369564 | 554346 | 28,045 | 2,50 | 0,65 |
| სს "მანდარიას სტამბა" | KTST | 1 | 133 | 133 | 146849 | 146849 | 0,091 | 1 | 1 |
| სს "ლიდერ ინვესტი" | LINV | 1,8 | 120 | 210 | 89840 | 161712 | 0,134 | 1,9 | 1,75 |
| სს "მაცნე" | MACN | 6 | 432 | 2592 | 142262 | 853572 | 0,304 | 6 | 6 |
| სს "საქცივპროდუქტი" | ME92 | 1,000 | 17 823 | 17 823,0 | 576620 | 576620 | 3,091 | 1,00 | 1,00 |
| სს "რეა ქართუ" | REAQ | 3,64 | 1488 | 5416,32 | 128892 | 469166,88 | 1,154 | 3,64 | 3,64 |
| სს "სამგორი" (მიწა) | SAMG | 1 | 226762 | 226762 | 233422 | 233422 | 97,147 | 1 | 1 |
| სს "საქელექტრომანქანა" | SEM | 0,5 | 51486 | 24743 | 958815 | 479407,5 | 5,370 | 0,5 | 0,5 |
| სს "საქლადა" (მიწა) | SLAD | 0,25 | 37662 | 9415,5 | 1620451 | 405112,75 | 2,324 | 0,25 | 0,25 |
| სს "სოფმშენი" | SOPM | 5,1 | 14738 | 75163,8 | 294398 | 1501429,8 | 5,006 | 5,1 | 1 |
| სს "საქწყალპროექტი" | STSP | 6 | 682 | 4092 | 392139 | 2352834 | 0,174 | 8 | 6 |
| სს"მწვანეოფისი"(შენობა) | STP | 8,5 | 500 | 4250 | 171714 | 1459569 | 0,291 | 8,5 | 4 |
| სს "თბილაბრეშუმი" | TABR | 0,35 | 41235 | 14566,96 | 1994335 | 698017,25 | 2,068 | 0,35 | 0,35 |
| სს "პურის 4-ე ქარხანა" | TPU4 | 2 | 120 | 240 | 128559 | 257118 | 0,093 | 2 | 2 |
| სს "ტრანსმომსახურება" | TRM | 1 | 112 | 112 | 13470 | 13470 | 0,831 | 1 | 1 |
| სს "ტრანსმშენი" | TRMS | 1,36 | 1454 | 1977,44 | 970400 | 1319744 | 0,150 | 1,36 | 1 |
| სს "ტრაქტები" | TRQT | 1 | 35 | 35 | 589856 | 589856 | 0,006 | 1 | 1 |
| სს "ცეკავშირის ბაზა" | TUSB | 90 | 11 | 990 | 792 | 71280 | 1,389 | 90 | 90 |
| სს "გაერთ. ქართ. ბანკი" | UGB | 1,9 | 2411 | 4580,9 | 41000000 | 77900000 | 0,006 | 2,1 | 1,5 |
| სს "უნივერმაღი თბილისი" | UTB | 27,000 | 2 905 | 78 435,0 | 969367 | 26172909 | 0,300 | 27,00 | 27,00 |
| სს "ელექტროკავშირი" | UTC | 0,700 | 737 657 | 336 549,5 | 1,03 +08 | 72265679 | 0,715 | 0,90 | 0,36 |
| *სულ* | | | 3 837 462 | 33 348 404,35 | | | | | |



# ბიზნესინკუბაცია ქართული მოდელისაკენ

ვაჟა გოგინაშვილი
გაგა გოგიჩაიშვილი
*"ბიზნეს ინკუბატორის ინიციატივა საქართველოში"*




პროექტის "ბიზნეს ინკუბატორის ინიციატივა საქართველოში" გუნდმა კვლევითი სამუშაოები ბიზნესინკუბატორის ქართული მოდელის შესაქმნელად 2001 წლიდან დაიწყო. ჩამოყალიბდა ახალი კონცეფციის ძირითადი განმსაზღვრელი პრინციპები - ადგილობრივი ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციისადმი მისადაგება, ბიზნესმოდელის გათვლა 3-5 წელიწადში ფინანსური თვითანაზღაურების მიღწევაზე და მდგრადობა მისიის მიხედვით. ხუთი წლის განმავლობაში, რამდენიმე მიმართულებით, დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარდა. ეს მიმართულებები მოიცავდა მსოფლიოში არსებული ბიზნესინკუბატორების მოდელების კვლევას, საქმიანი კავშირების დამყარებას მსოფლიოს წამყვან ინკუბატორებსა და ბიზნესინკუბაციის ასოციაციებთან, ასევე მომავალი ქართული ბიზნესინკუბატორის კლიენტი ქართული ბიზნესებისთვის პოტენციური ბაზრების და კონტაქტების მოძიება.

პროექტის გუნდის წევრები მსოფლიოს წამყვან ბიზნესინკუბატორებსა და ტექნოპარკებში (სილიკონის ველის საერთაშორისო ბიზნესინკუბატორი (სან ხოსე, კალიფორნია), CISCO-სა და NASA-ს ინკუბატორები (პალო ალტო, კალიფორნია), GIU - ზაარლანდის ინოვაციისა და წარმოების ხელშეწყობის საზოგადოება, UTZ სანქტ ვენდელის საინფორმაციო ტექნოლოგიების ბიზნესინკუბატორი (გერმანია)) კვლევებს ატარებდნენ. მონაწილეობას იღებდნენ თითქმის ყველა მნიშვნელოვან კონფერენციასა და სემინარში ბიზნესინკუბაციის დარგში - ბერლინის საერთაშორისო კონფერენცია ბიზნეს ინკუბაციაში (2003), მსოფლიო ფორუმი ბიზნესინკუბაციაში (ნიუ დელი, 2004), რეგიონული კონფერენცია ბიზნესინკუბაციაში (კიევი, 2005), GTZ-ისა და სომხეთის ეკონომიკის სამინისტროს მიერ ორგანიზებული, ბიზნესინკუბაციისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია (ერევანი, 2005).

"ბიზნეს ინკუბატორის ინიციატივა საქართველოში" მხარდაჭერილი იქნა მსოფლიო ბანკის *info*Dev პროგრამის ინკუბატორების ინიციატივის და ევრაზიის ფონდის მიერ. მსოფლიო ბანკის *info*Dev პროგრამა წარმოადგენს გლობალურ ინიციატივას, რომლის მიზანია, უზრუნველყოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (სიტ) მაქსიმალური გამოყენება ინკუბატორებისა და მათი კლიენტების მიერ, ასევე ინკუბატორების გლობალური ქსელისა და ცოდნის გენერირების საშუალებების შექმნა. 2001 წლიდან დღემდე *info*Dev-მა საფუძველი ჩაუყარა ბიზნესინკუბატორების გლობალურ ქსელს, რომლის მიზანიცაა არსებული გამოცდილების და ინფორმაციის ეფექტური გაცვლა და მცირე ბიზნესისათვის საერთაშორისო ბაზრებზე მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. პროექტ "ბიზნეს ინკუბაციის ინიციატივა საქართველში" გუნდმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ ქსელის შექმნაში და, ფაქტობრივად, უზრუნველყო შექმნის პროცესში მყოფი ქართული ბიზნესინკუბატორის საწყის ეტაპზევე ჩართვა საერთაშორისო ქსელში.

2004 წელს განხორციელდა ბიზნესინკუბატორის დაარსების მიზანშეწონილობის კვლევა (Feasibility Study), რომელიც მცირე ბიზნესის განვითარების სერვისების ბაზრის მასშტაბური კვლევით დაიწყო. გამოიკითხა და შეხვედრები შედგა 500-ზე მეტ მცირე მეწარმესა და 30 ბიზნესკონსულტანტსა და ექსპერტთან. პარალელურად მიმდინარეობდა პირველადი და მეორადი წყაროების კვლევა შრომის ბაზრის, ადამიანური რესურსების, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის, უძრავი ქონების ბაზრის, ტექნოლოგიების კომერციალიზაციის სფეროში. კვლევაში პროექტის გუნდს ეხმარებოდნენ ბიზნესინკუბაციაში მსოფლიო სახელის მქონე საერთაშორისო ექსპერტები: რუსტამ ლალკაკა (აშშ), შტეფან შანდერა (გერმანია), ენტონ ზასიადლი (პოლონეთი), კაირატ სუფიეკოვი (ყაზახეთი).

კვლევამ გამოავლინა დიდი განსხვავება მცირე ბიზნესის განვითარების სერვისების სფეროში მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. თუმცა ბიზნესკონსალტინგის ბაზარზე არის რამდენიმე მოთამაშე, რომელიც მეტ-ნაკლებად კვალიფიციურ მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს. ეს მომსახურება მიუწვდომელია დამწყები მეწარმეებისა და მცირე ბიზნესისათვის მისი მაღალი ფასის გამო.

კვლევის შედეგად შემუშავდა ბიზნესმოდელი, რომელიც ოპტიმალურია საქართველოს პირობებისათვის და ადვილად ადაპტირებადია სხვადასხვა ბიზნესსეგმენტისა და სხვადასხვა რეგიონისათვის. მოდელის ძირითადი მოთხოვნები მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

■ ბიზნესინკუბატორი უნდა არსებობდეს, როგორც არამომგებიანი ორგანიზაცია;

■ სახეზე უნდა იყოს პარტნიორებისა ინკუბატორის მმართველი საბჭოს ეფექტური კავშირები, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მთავრობის მხარდაჭერა;

■ შენობა მინიმუმ 2000 კვ.მ, 10 წლით სარგებლობის უფლებით;

■ კლიენტების პორტფელი:

■ თუ არ არსებობს გამოკვეთილი ძლიერი პარტნიორი ერთ რომელიმე სეგმენტში - კლიენტების შერეული პორტფელი საწყის ეტაპზე (3 წელი), შემდეგ შესაძლებელია სპეციალიზაცია (მაღალი ტექნოლოგიები, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ა.შ.);

■ ძლიერი პარტნიორის არსებობის შემთხვევაში - სპეციალიზებული ინკუბატორი, რომელიც იმუშავებს ერთი რომელიმე დარგის განვითარებაზე (ტექნოლოგიური, აგრარული, ტურიზმის სფერო);

■ სასურველია ერთი მუდმივი კლიენტი (მუდმივ კლიენტში იგულისხმება ჩამოყალიბებული, მსხვილი კომპანია, რომელიც მუდმივად ქირაობს ფართს ინკუბატორში და ამით წვლილი შეაქვს მის ფინანსურ მდგრადობაში);

■ ინსტიტუციონალური მდგრადობის მაღალი დონე დაახლოებით 4 წლის შემდეგ. ფინანსურ მდგრადობას ინკუბატორი მიაღწევს პირველი კლიენტის მიღებიდან 2 წლის შემდეგ;

მცირე ბიზნესის დაბალი გადახდისუნარიანობის გამო, ინკუბატორის მოდელი გულისხმობს საკონსულტაციო სერვისების ჯვარედინ სუბსიდირებას საოფისე და სამუშაო ფართის გაქირავებიდან შემოსული სახსრებით, შემდეგი მიზნით: მცირე და საშუალო ბიზნესის კონსალტინგის ბაზრის განვითარებას, ინკუბატორის მიერ ავტორიტეტის მოპოვებასა და ნდობის ამაღლებასთან ერთად, ბიზნესინკუბატორის საკონსალტინგო განყოფილება განვითარდეს, როგორც ფინანსურად თვითანაზღაურებადი ერთეული.

ბიზნესგეგმის სტრატეგიული გათვლა ითვალისწინებს ასევე ინკუბატორის ეტაპობრივ ზრდას თვითანაზღაურებად მოდელამდე. ანუ, იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი იქნება 2000 კვ.მ საოფისე ფართობის ან საჭირო კაპიტალური ინვესტიციის მთლიანად მოძიება, შესაძლებელია განხორციელდეს ადაპტირებული მოდელი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ინკუბატორის ფართობის ეტაპობრივი ზრდა თვითდაფინანსებულ მოდელამდე.

2006 წლიდან დაიწყო პროექტის აქტიური ფაზა, რაც ინკუბატორის პრაქტიკული დაარსების სამუშაოებს გულისხმობს. კარგი პარტნიორული ურთიერთობა ჩამოყალიბდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD), საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, თბილისის მერიას და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შორის. ხდება ბიზნესმოდელის მცირე ადაპტაცია, რათა დაარსდეს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბიზნესინკუბატორი. ტექნიკური უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინკუბატორს ფართით და, საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკურ დახმარებას მიაწოდებს. EBRD-ის როლი განისაზღვრება ექსპერტული დახმარების გაწევით პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და ქართული მცირე ბიზნესისათვის ისეთ კომპანიებთან კავშირების დამყარებაში შეკვეთების მოსაპოვებლად, როგორიცაა Microsoft, CISCO, Hewlett Packard და ა.შ.

პროექტი უნიკალურია მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში, რადგან EBRD-ის დახმარებით საქართველოში მოხდება ვენჩურული ფონდის შექმნა, რომელიც იფუნქციონირებს ბიზნესინკუბატორთან ერთად და რომლის მიზანიც იქნება მაღალი ზრდის პოტენციალის მქონე ტექნოლოგიური მცირე ბიზნესისათვის საწყისი კაპიტალის შეღავათიანი პირობებით მიწოდება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ, პრაქტიკულად, არც ერთ განვითარებად ქვეყანაში დამწყები ბიზნესისათვის ინსტიტუციონალური დაფინანსება ხელმისაწვდომი არ არის (მით უმეტეს, ტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი ბიზნესისათვის), ამ პროექტის რევოლუციური მნიშვნელობა ცხადი გახდება.

პროექტს მოპოვებული აქვს მხარდაჭერა მსოფლიო ბანკისა და EBRD-სგან. პროექტის გუნდი ამჟამად მუშაობს შემდეგ პრობლემებზე: საჭიროა ფართის იდენტიფიკაცია და გამოყოფა ინკუბატორისათვის და ინვესტიცია ამ ფართის რემონტისათვის.

ინკუბატორის ბიზნესგეგმა ადვილად ადაპტირებადი და რეპლიცირებადია რეგიონულ დონეზე და, მაღალი დონის მხარდაჭერის პირობებში, შესაძლოა დიდი როლი ითამაშოს აგრარული, ტურისტული, მრეწველობის და მომსახურების სფეროში მცირე ბიზნესის განვითარებასა და, ზოგადად, საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ქართული მცირე ბიზნესის ჩამოყალიბებაში.

## ძვირფასი ლითონები ისევ გაძვირდა

გასული კვირის ბოლოს ძვირფასი ლითონები ისევ გაძვირდა, რაც წინა დღეებში ფასების კლებამ და ლითონების შეძენისათვის ტექნიკურად მიმზიდველი სიტუაციის შექმნამ განაპირობა.

კერძოდ, ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე ოქროს ფიუჩერსებზე ფასი 648,5 დოლარი/უნციამდე გაიზარდა, 1 უნცია ვერცხლი კი 12,6 დოლარამდე გაძვირდა. ექსპერთა აზრით, უახლოეს მომავალში ნავარაუდევი ნავთობის გაძვირება ძვირფასი ლითონების ფასების ზრდას ხელს შეუწყობს.

## Mittal Steel ლიდერობის დაკარგვას არ შეურიგდება



პარასკევს ცნობილი გახდა, რომ უახლოეს მომავალში მსოფლიოს სიდიდით მეორე მეტალურგიული კორპორაცია, ევროპული Arcelor-ის და რუსეთის უმსხვილესი მეტალურგიული კომპანია “სევერსტალის" შერწყმა განხორციელდება. გავრცელებული ინფორმაციით, გარიგების ღირებულება 13 მილიარდ ევროს შეადგენს.

გარიგების მიხედვით, “სევერსტალის" აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელი ალექსეი მორდაშოვი Arcelor-ს მის მფლობელობაში არსებულ ყველა: მეტალურგიული “სევერსტალის" და Severstal North America-ს, ნედლეულმომპოვებელი “სევერსტალ-რესურსის" და იტალიური მეტალურგიული კომპანია Luccini-ის აქცას გადასცემს, კიდევ 1,25 მილიარდ ევროს დაამატებს და Arcelor-ის ახლო წარსულში გამოშვებულ 295 მილიონ აქციას მიიღებს. თითოეულის ფასი 44 ევროა, რაც მთლიანობაში 13 მილიარდ ევროს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ Arcelor-ის შეძენა მსოფლიოს უმსხვილეს მეტალურგიულ კონცერნს, ინდურ Mittal Steel-ს სურდა. მიმდინარე წლის 27 იანვარს ლაკშმი მიტალის მიერ შეთავაზებული პირობების მიხედვით, ევროპული კომპანიის აქციონერები Arcelor-ის 5 აქციის სანაცვლოდ Mittal Steel-ის 4 აქციას და 35,25 ევროს მიიღებდნენ. მთლიანობაში, გარიგების ფასი 18,6 მილიარდ ევროს შეადგენდა, მაგრამ Arcelor-ის ხელმძღვანელობა წინააღმდეგ წავიდა და ინდური კონცერნის წინადადება "არამეგობრულად" შეაფასა. 18 მაისს Mittal Stell-მა თავისი შეთავაზება 21 მილიარდ ევრომდე, ერთი დღის შემდეგ კი 25,8 მილიარდ ევრომდე გაზარდა და Arcelor-ის აქციების შესაძენად 7,8 მილიარდი ევროს ოდენობის ნაღდი ფულის გამოყოფისა და 648,46 მილიონი აქციის ემისიის განხორციელების მზადყოფნა გამოთქვა. მიუხედავად ამისა, Arcelor-მა მაინც უარი განაცხადა და, როგორც აღვნიშნეთ, რუსულ კომპანიასთან შერწყმა გადაწყვიტა.

თავისთავად ცხადია, მოვლენათა ამგვარი განვითარებით Mittal Steel ძლიერ უკმაყოფილო დარჩა. მით უმეტეს, რომ Arcelor-ის და “სევერსტალის" შერწყმა მისი, როგორც მსოფლიოს უმსხვილესი მეტალურგიული კომპანიის პოზიციებს შეარყევს. პირველობის შესანარჩუნებლად, ინდურმა კონცერნმა მეორე რუსულ კომპანია “მაგნიტოგორსკის მეტალურგიულ კომბინატთან" შერწყმა გადაწყვიტა. სავარაუდოდ, ლაკშმი მიტალის პირმშო ოფიციალურ შეთავაზებას უახლოეს დღეებში გააკეთებს და მოსალოდნელი გარიგების ღირებულებაც ცნობილი მაშინ გახდება.

## რუსეთი იარაღის უმსხვილესი ექსპორტიორია

სტოკჰოლმის მშვიდობის პრობლემების შემსწავლელი საერთაშორისო ინსტიტუტის ინფორმაციით, 2000-2004 წლების შედეგების მიხედვით, რუსეთი მსოფლიოს უმსხვილესი იარაღის ექსპორტიორია. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1999-2003 წლების მიხედვით პირველი აშშ იყო, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა მას 2004 წელს გაყიდული იარაღის რაოდენობის მიხედვით გაუსწრო.

ინსტიტუტის მონაცემებით, 2000-2004 წლების განმავლობაში რუსეთმა 26,9 მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღი გაყიდა, აშშ-მ 25,9 მილიარდი დოლარის, საფრანგეთმა 6,3 მილიარდის, გერმანიამ 4,8 მილიარდის, დიდმა ბრიტანეთმა კი 4,4 მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღის ექსპორტი განახორციელა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში ექსპორტირებული იარაღის 81 პროცენტი სწორედ ამ ქვეყნებზე მოდის.

# ნაციონალიზაცია vs ინვესტიცია

პირველი გვერდიდან



ეს გახლავთ ნაწყვეტი გასულ კვირას "ბიბისის" ახალი ამბების საიტზე გამოქვეყნებული ერთ-ერთი სტატიიდან. ეს მილსადენი ცხადია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანია. სტატია ახალი ამბების ფორმატშია დაწერილი და ამიტომ მასში იმაზე, თუ რა უძღოდა წინ ამ პროექტის შექმნასა და მის დამტკიცებას, არაფერია ნათქვამი.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი მოსკოვში იმთავითვე "ანტირუსულ პროექტად" მოინათლა და ამ ტიტულს დღემდე ატარებს. ეს ტერმინი ცხადად მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთი, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ (როცა პროექტი დამტკიცდა), ენერგომატარებლებზე მონოპოლიის დამყარებას. ამ მონოპოლიის დარღვევისაკენ მიმართული ნებისმიერი ნაბიჯი "ანტირუსულად" ინათლებოდა.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი აზერბაიჯანიდან ნავთობის დამატებითი ტრანსპორტირებისათვის ერთადერთი შესაძლო მარშრუტი არ ყოფილა და როცა ამ წამოწყებაზე საუბარი დაიწყო, რუსი მიმომხილველები მილსადენის საქართველოზე გავლით გაყვანაზე სერიოზულად არც მსჯელობდნენ. რუსეთის გვერდის ავლით მარშრუტის დამტკიცება კრემლისათვის სერიოზულ შოკად იქცა. მაგრამ, მაშინდელი კონიუნქტურის გამო, მოსკოვმა მკვეთრი პროტესტისაგან თავი შეიკავა - დღევანდელისგან განსხვავებით იმ პერიოდში ნავთობის ფასი დაბალი იყო, რუსეთის ეკონომიკას უჭირდა და მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული უცხოურ კრედიტებზე.

მოკლედ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანს კარგ დროს ჩაეყარა საფუძველი და იგი კარგ დროს იწყებს მუშაობას - იმ დროს, როცა საწვავის ფასები მაღალია, მენავთობე ქვეყნები დაუფარავ შანტაჟზე მიდიან და უცხოელი ინვესტორების განდევნის გზით ენერგოსექტორის ნაციონალიზაციას ახდენენ.

ნაციონალიზაციის კუთხით უკვე თავი გამოიჩინეს ვენესუელამ და ბოლივიამ და არაა გამორიცხული მათ რიცხვს მალე რუსეთიც შეუერთდეს. გასულ კვირას რუსეთის ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ განაცხადა, რომ სახალინის საბადოებზე მოქმედი უცხოური კომპანიები - "ექსონმობილი," "შელი" და "ტოტალი" არაეფექტურად მუშაობენ და ამიტომ გამორიცხული არ არის აქაური ნავთობმოპოვების ბიზნესის 51% სახელმწიფოს გადაეცეს.

სამინისტროს მოსაზრება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ანგარიშს ეყრდნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ უცხოური კომპანიების მუშაობა გრაფიკს ჩამორჩება და რომ მასში რუსული მონაწილეობა შეზღუდულია.

"ეს არ არის სამინისტროს ოფიციალური პოზიცია, ამას მეცნიერები ამბობენ," - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

თუკი "მეცნიერთა რეკომენდაციას" მართლაც მოჰყვება სახალინზე ნავთობმოპოვების ნაციონალიზაცია, ეს კიდევ ერთი ცივი შხაპი იქნება დასავლელი ინვესტორებისათვის, რომლებიც თავის დროზე სერიოზულად დააფრთხო "იუკოსის" მოვლენებმა. მას მერე პუტინისეულმა სტაბილურობამ შიში, ასე თუ ისე, გაფანტა. ორიოდ კვირის წინ გამოქვეყნდა ერთობ საინტერესო კვლევა, რომლის მიხედვითაც დასავლელ ინვესტორებს (საუბარი იყო მენავთობეებზე) ახლო აღმოსავლეთზე მეტად რუსეთი იზიდავს. ეს პუტინისეული სტაბილურობის მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო, მაგრამ ნავთობგიგანტების პირველ ხუთეულში შემავალი ამერიკული "ექსონმობილის," ანგლო-ჰოლანდიური "შელისა" და ფრანგული "ტოტალის" შევიწროება რუსეთის იმიჯს მაინც სერიოზულ ზიანს მიაყენებს.

იქნებ ასეთი ნაბიჯი იმის ნიშანია, რომ რუსეთს უცხოელი ინვესტორები საერთოდ არ სჭირდება? "ენერგეტიკა ჩვენი ეკონომიკის წმიდათაწმიდა დარგია და შემხვედრი ნაბიჯების გარეშე იქ არავის დავუშვებთ," - განაცხადა რამდენიმე დღის წინ სოჭში გამართულ რუსეთ-ევროკავშირის სამიტზე პრეზიდენტმა პუტინმა. მართლაცდა, საწვავის ფასი იმდენად მაღალია, რომ რუსეთს შეუძლია აქედან მიღებული თანხით ნავთობინფრასტრუქტურა განაახლოს და ახლი საბადოებიც სხვის დაუხმარებლად აითვისოს? მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს ასე არ ხდება. ნავთობკომპანიები სახელმწიფოს უზარმაზარ გადასახადს უხდიან და ახალი საბადოების ასათვისებლად თანხები აღარ რჩებათ. არც თავად სახელმწიფო იწუხებს თავს. რუსული ნავთობინფრასტრუქტურა კი იმდენადაა მოძველებული, რომ მოპოვების პროცესი მეტად არაეფექტურია და მუშაობისას დიდძალი ნავთობი იკარგება. თუკი სიახლე არ დაინერგა (უცხოელ ინვესტორს კი სწორედ სიახლე მოაქვს) და ახალი საბადოები არ იქნა ათვისებული, ახლა მომუშავე საბადოებიდან ნავთობი რამდენიმე წელიწადში ამოიწურება. თუმცა, "წმიდათაწმიდობას" თუ გავითვალისწინებთ, წესით აქამდე საქმე არ უნდა მივიდეს.

სახალინის ნაციონალიზაციის პირველი ნიშნების გამოჩენას გასულ კვირას სწორედ იმავე "ტოტალის" მიერ საუდის არაბეთში გაფორმებული უმნიშვნელოვანესი გარიგება დაემთხვა. ფრანგული გიგანტი სპარსეთის ყურის სანაპიროზე ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას ააგებს, რომელიც 2011 წლიდან დღეში 400 ათას ბარელს გადაამუშავებს. ქარხანა 6 მილიარდი დოლარი დაჯდება. "ტოტალი" პროექტის 35%-ს გააკონტროლებს და ამდენივე ექნება საუდის არაბეთის სახელმწიფო ნავთობკომპანია "არამკოს." აქციათა დარჩენილ ნაწილს საუდის არაბეთის მოსახლეობას შესთავაზებენ. "არამკოს" განცხადებით, თვის ბოლოსათვის დაგეგმილია ანალოგიური გარიგება "კონოკოფილიპსთანაც." ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მსოფლიოს უდიდესი სანავთობო ქვეყანა, ვენესუელისა თუ რუსეთისგან განსხვავებით, მოკლევადიან მოგებაზე არ ფიქრობს და სანამ სხვები ინვესტორებს დევნიან, იგი ინვესტორებს ეპატიჟება.

ეს გარიგებები სხვა რამის გამოცაა აღსანიშნავი. ნავთობის ფასის ზრდას იმ ფაქტორმაც შეუწყო ხელი, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები აქამდე, როგორც წესი, არც ისე დიდი ხალისით ულებდნენ კარს უცხოელ ინვესტორებს. მათ სურდათ "შავი ოქრო" მთლიანად საკუთარ ხელში ჰქონოდათ. შედეგად, ბევრი საბადო აუთვისებელი რჩებოდა, ხოლო აზიაში (უპირველესად კი ჩინეთში) ეკონომიკური აღმავლობისა და საწვავზე გაზრდილი მოთხოვნილების გამოისობით, ნავთობი არნახულად გაძვირდა.

ახლანდელი კონიუნქტურა ვენესუელას დარ ქვეყნებს ინვესტორთა გაძევებისა და ნავთობიდან მეტი მოგების მოპოვებისკენ უბიძგებს. მაგრამ ძნელი სავარაუდოა ეს ვითარება დიდხანს შენარჩუნდეს - ნავთობის ფასი რამდენიმე წელიწადში ალბათ უფრო ნორმალურ მაჩვენებელს მიუახლოვდება და იმ პერიოდში ის დარჩება მოგებული, ვინც უცხოური ინვესტიციების წყალობით ახალი საბადობი აითვისა და მეტ ნავთობს მოიპოვებს. "ტოტალისა" და "არამკოს" გარიგება იმ კომპრომისის კარგი მაგალითია, რომელზეც ნავთობის მეპატრონე და უცხოელი ინვესტორი მიდიან - სახელმწიფოსა და ინვესტორს წილად ერთნაირი ინტერესები ხვდებათ. საუდის არაბეთმა კარგად გათვალა ის მოგება და უპირატესობა, რასაც მას ახალი ინვესტიციები მოუტანს და კომპრომისის საფუძველზე ახალ საბადოებს ითვისებს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ნავთობის ფასს ნორმალიზაციას უქადის.

## საფრთხეები ევროპის ეკონომიკისათვის

გასულ კვირას ისევ გაგრძელდა დოლარის დაცემის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ შესაძლო პრობლემები უწინასწარმეტყველა ევროპის ეკონომიკას, რომელიც ბოლო პერიოდში გაჯანსაღების გზაზე დგას. დოლარის ვარდნით გამოწვეული დისბალანსი უპირველესად ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე ნაკლებად მდგრად ქვეყნებს უქადის საფრთხეს, მაგრამ ბოლომდე დაცული არც ძველი კონტინენტია. ორგანიზაციამ ევრობანკს მოუწოდა შემოდგომამდე თავი შეიკავოს საპროცენტო განაკვეთების აწევისგან, სანამ საბოლოოდ გაირკვევა რა მდგომარეობაშია ევროპის ეკონომიკა. მაგრამ ძნელად სავარაუდოა ევრობანკი ამ მოსაზრებას დაეთანხმოს - ევროზონაში ინფლაციის საფრთხეა და ამის თავიდან აცილებისათვის განაკვეთების შემცირება ალბათ გარდაუვალი იქნება.

ამავე დროს, დიდ ევროპულ სახელმწიფოებს ერთობ გაუჭირდებათ დანახარჯების ზრდის გზით ეკონომიკის სტიმულირება, რადგან ყველა მათგანის ბიუჯეტის დეფიციტმა უკვე საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს მიაღწია და ხშირ შემთხვევაში დაწესებულ ზედა ზღვარსაც (3%-ს) გადააჭარბა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო დანახარჯი ვერანაირად ვერ გაიზრდება. საპროცენტო განაკვეთის შემგდომი ზრდა ცხადია ეკონომიკის განვითარების სტიმულს კიდევ უფრო ჩაკლავს.

და ბოლოს, ისევ დოლარის გავლენა. ამერიკული ვალუტის კურსის დაცემა კონკურენტუნარიანს ხდის აშშ-ის ექსპორტს და, შესაბამისად, პრობლემებს უქმნის ექსპორტზე ორიენტირებულ ევროპულ ეკონომიკას.

ახალი გათვლების მიხედვით, მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკური ზონების ზრდის მაჩვენებლები შემდეგნაირი იქნება:

აშშ - 3,1% (2006); 2,9% (2007)
იაპონია - 2,8% (2006); 2,3% (2007)
ევროზონა - 2,2 (2006); 2,1% (2007)

ორგანიზაციის შეშფოთებული ტონი გასაკვირი არ არის იმის გათვალისწინებით, რომ განვითარებულ სამყაროს მალე მასიური დაბერება - პენსიაზე გასულთა ხვედრითი წილის ზრდა - ემუქრებათ. ეს გარემოება ყველაზე დიდ საფრთხეს ევროპას უქადის, სადაც საპენსიო ასაკის გაზრდის ყოველი მცდელობა და დაბერებით მოსალოდნელი სირთულეების ასაცილებლად გატარებული ნებისმიერი რეფორმა მოსახლეობის მხრიდან მკვეთრ პროტესტს იწვევს. ძველი კონტინენტი ამ კრიზისს მომზადებული უნდა შეხვდეს: იქამდე ბიუჯეტის დეფიციტები ლიკვიდირებულ უნდა იქნეს და ზოგადად ეკონომიკა უნდა გაჯანსაღდეს.

## ტაივანი ჩინეთთან ვაჭრობას არ უნდა გაექცეს

გასულ კვირას პენტაგონმა კონგრესისათვის წარდგენილ ანგარიშში შეშფოთება გამოთქვა ჩინეთის შეიარაღებული ძალების გაძლიერებასთან დაკავშირებით. "მიმდინარეობს სტრატეგიული ძალების მთლიანი მასშტაბით სერიოზული მოდერნიზაცია," - განაცხადა ანგარიშის კომენტირებისას აშშ-ის თავდაცვის მინისტრის თანაშემწემ. პენტაგონი პეკინს სამხედრო ბიუჯეტის მეტი გამჭვირვალეობისკენ მოუწოდებს და გამოთქვამს შეშფოთებას, რომ ჩინეთის გაძლირებას შეუძლია რეგიონში სამხედრო ბალანსი შეცვალოს და ხელი შეუწყოს კონფილიქტს. ანგარიშში გაკრიტიკებულია ევროპული სახელმწიფოებიც, რომლებიც ჩინეთისათვის იარაღის მიყიდვაზე კონტროლს არც ისე მკაცრად ახორციელებენ.

კონფლიქტში ცხადია ტაივანზე გალაშქრება იგულისხმება, რომლის შემოერთებაც ჩინეთის სახელმწიფოს დღის წესრიგში ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს. ჩინეთის შეიარაღებული ძალების კონცენტრაცია სწორედ ტაივანის მახლობლად მიმდინარეობს. სამხედრო ექსპერტების აზრით, გასულ ზაფხულს გამართული ერთობლივი ჩინურ-რუსული სამხედრო მანევრები სწორედ ტაივანზე გალაშქრებისათვის მზადებას წარმოადგენდა. ყოველივე ამის საპასუხოდ ტაივანიც აპირებს სამხედრო ბიუჯეტის წილი მთლიანი ეროვნული შემოსავლიდან 2,5-დან 3%-მდე გაზარდოს. თუმცა, ჩინეთის მასშტაბებსა და ზრდის ტემპებს თუ გავითვალისწინებთ, ტაივანის ბიჯეტის ზრდა ბალანსის შენარჩუნებისათვის საკმარისი ალბათ ვერ იქნება.

ტაივანის საკითხი კვლავაც გაურკვეველია. ჩინეთს, ერთი მხრივ, არაფრით არ აძლევენ ძალისმიერი ქმედების საშუალებას, მეორე მხრივ კი ჩინურ კაპიტალს გზა ხსნილი აქვს. გასულ კვირას ტაიპეიში ვიზიტით მყოფმა აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენელმა ადგილობრივ ხელისუფლებას მოუწოდა თავი შეიკავონ ჩინეთთან ვაჭრობაში შეზღუდვების შემოღებისგან, რადგამ ეს "ტაივანის ეკონომიკურ მარგინალიზაციას" გამოიწვევს.

ამავე დროს, ვაშინგტონი არანაირად არ მიდის ტაიპეის მოთხოვნაზე, რომელიც აშშ-ტაივანს შორის ორმხრივ სავაჭრო გარიგების დადებას გულისხმობს. ტაივანი იმედოვნებს, რომ ამ გზით ჩინეთის მხრიდან მზარდ ეკონომიკურ გავლენას შეასუსტებს (და სამაგიეროდ ამერიკულ გავლენას გააძლიერებს). მაგრამ აშშ კარგად ხვდება, რომ ეს პეკინის სერიოზულ გაღიზიანებას გამოიწვევს. თამაშიც ძველი წესებით მიმდინარეობს - ტაივანი დე ფაქტო დამოუკიდებლობას ინარჩუნებს, მაგრამ მის გამო დიდი სახელმწიფოები ერთმანეთთან კონფლიქტს ერიდებიან. ტაივანის პრობლემა ჩინეთის სასარგებლოდ მაშინ გადაიჭრება, როცა ჩინეთი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულობის გაზრდის ხარჯზე დემოკრატიულ ნორმებს მიუახლოვდება - ვაშინგტონს პოზიცია, ალბათ, ასე უნდა გავიგოთ.

## აშშ-ს ბირჟაზე კვირა ზრდით დასრულდა










პარასკევს, უიქენდის წინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა რამდენიმე დამაიმედებელმა კორპოპაციულმა სიახლემ, დოლარის კურსის გამყარებამ და მაკროეკონომიკურმა ინფორმაციებმა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,6 პროცენტით, 11.278,61 პუნქტამდე გაიზარდა. 0,55 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.210,37 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index 0,57 პროცენტით, 1.280,16 პუნქტამდე გაიზარდა.

## ნავთობის ბირჟებზე გაძვირებისწინა პაუზაა

პარასკევს ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე “შავი ოქროს" ფიუჩერსებზე ფასების მრავალმხრივი ცვლილება დაფიქსირდა. როგორც ჩანს, ვაჭრობის მონაწილეებმა ზაფხულის დადგომის წინ პაუზის აღება გადაწყვიტეს.

ლონდონის ბირჟაზე 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი ოდნავ, 70,59 დოლარამდე გაიაფდა, ნიუ იორკის ბირჟაზე კი Light-ის მარკის ნავთობი კი, ასევე ცოტათი, 71,37 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

ექსპერტთა ვარაუდით, უახლოეს მომავალში ნავთობი გაძვირდება, რადგან ახლოვდება ზაფხულის საავტომობილო სეზონი და მექსიკის ყურეში ნავარაუდევი შტორმული პერიოდი. ამასთან, “შავი ოქროს" ფასის ზრდას ხელს ინდონეზიაში მომხდარი მიწისძვრაც შეუწყობს.

## Dow Jones Index 110 წლისაა




მსოფლიოში ყველაზე ცნობილ საფონდო ინდექსს Dow Jones-ს შაბათს 110 წელი შეუსრულდა. ამ ხნის განმავლობაში “უოლ სტრიტის ბარომერტად" წოდებულმა საფონდო ინდექსმა სწორედ ის მისია შეასრულა, რომელიც მისმა შემქმნელებმა თავის დროზე ჩაიფიქრეს.

მართლაც, დღეს უოლ სტრიტი მის გარეშე წარმოუდგენელია. ბირჟაზე მიმდინარე მოვლენები ინდექსის ზრდაზე, ან შემცირებაზე პირდაპირ აისახება.

ინდექსის შემოღების მარტივი, მაგრამ გენიალური იდეის ავტორი ჩარლზ დოუ გახლავთ. თავდაპირველად, 1884 წელს მან “უოლ სტრიტ ჯორნელი" დააარსა, რომელიც დღეს მსოფლიოს ბიზნეს-სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული გამოცემაა. 12 წლის შემდეგ კი მან საფონდო ინდექსის შემოღება გადაწყვიტა.

ამ დროისათვის ბევრ გაზეთში უკვე ქვეყნდებოდა ბირჟაზე აქციების ცვალებადობის ცხრილები, მაგრამ ზოგადი სურათის წარმოდგენის საშუალებას ეს არ იძლეოდა. ჰოდა, ჩარლზ დოუმ ორი ინდექსი შემოღო: პირველი სარკინიგზო, მეორე კი ინდუსტრიული კომპანიებისათვის.

დღეს Dow Jones Index-ში 30 წამყვანი კორპორაცია შედის. უკანასკნელი ასწლეულის განმავლობაში მათი შემადგენლობა იცვლებოდა: ზოგიერთი გაკოტრდა, ზოგმაც ადგილი სხვა, უფრო წარმატებულ კომპანიას დაუთმო. ინდექსის შემადგენლობას “უოლ სტრიტ ჯორნელის" რედაქცია ირჩევს. ერთადერთი კომპანია, რომელიც მასში დაარსებიდან დღემდე მუდმივად იყო, კონგლომერატი General Electric-ია.

## ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ბანკირობას აპირებს



ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე რობერტ ზოელიკი თანამდებობის დატოვების შესახებ ოფიციალურ განცხადებას აკეთებს. გავრცელებული ინფორმაციით, პოსტის დატოვების სანაცვლოდ ის საინვესტიციო ბანკებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. სახელმწიფო თანამდებობას ის საბანკირობას ამჯობინებს.

თეთრი სახლის თანამშრომლები აცხადებენ, რომ პირველად ინფორმაცია, რობერტ ზოელეკის მიერ სახელმწიფო სამსახურის დატოვების შესახებ 2006 წლის თებერვალში გაჟღერდა. მისი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დარფურში მიმდინარე მსოფლიო მოლაპარაკებებმა შეაფერხა. კულვარული ინფორმაციით. სახელმწიფო მდივნს ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის პოსტი უნდოდა. მისი თანამდებობიდან წასვლის ერთ -ერთ მოტივად კი სწორედ ეს სახელდება. თეთრი სახლის განმარტებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციას აღნიშნულ თანამდებობაზე ცნობილი პოლიტიკოსის მაგივრად, ბევრად უფრო წარმატებული მოვაჭრის ხილვა სურდა. ექსპერტები იმაზეც საუბრობენ, რომ ჯორჯ ბუშს მომავალი ფინანსთა მინისტრი უკვე შერჩეული ყავს.

2006 წლის აპრილში ცნობილი გახდა, რომ ამერიკის ფინანსთა მინისტრი ჯონ სნოი უახლოესი თვეების განმავლობაში თანამდებობის დატოვებას აპირებდა. მისი თანამდებობიდან შესაძლო წასვლას კი ექსპერტები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბოლო პერიოდში გამეფებულ ქრონიკულ სავაჭრო და საბიუჯეტო დეფიციტს უკავშირებენ. ეს კი პრეზიდენტ ბუშის ეკონომიკურ გარემოცვას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.

1990-იან წლებში რობერტ ზოელიკი იპოთეკურ კორპორაცია Fannie Mae-ში ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე მუშაობდა. ის ასევე, კომპანია Goldman Sachs-ის კონსულტანტიც იყო.











## ამინდი

| | 29/05 | 30/05 | 31/05 |
|---|---|---|---|
| კიევი | 16 | 22 | 22 |
| რიგა | 16 | 18 | 18 |
| ვილნიუსი | 7 | 17 | 10 |
| მოსკოვი | 19 | 16 | 15 |
| მინსკი | 10 | 17 | 10 |
| პარიზი | 16 | 15 | 12 |
| რომი | 26 | 24 | 22 |
| ლონდონი | 17 | 11 | 13 |
| მადრიდი | 31 | 27 | 24 |
| ბონი | 15 | 7 | 8 |
| ვარშავა | 15 | 18 | 10 |
| ათენა | 28 | 29 | 31 |
| ბერნი | 15 | 9 | 7 |
| ამსტერდამი | 11 | 6 | 9 |
| ოსლო | 13 | 12 | 14 |
| ანკარა | 31 | 32 | 34 |
| ვარნა | 30 | 26 | 28 |
| დელი | 51 | 50 | 47 |
| ტოკიო | 25 | 26 | 27 |
| კოპენჰაგენი | 9 | 12 | 12 |
| ბაქო | 26 | 28 | 30 |
| ერევანი | 32 | 36 | 36 |
| ასტანა | 26 | 25 | 23 |
| ჰელსინკი | 12 | 16 | 15 |
| დუბლინი | 12 | 10 | 11 |
| ლისაბონი | 36 | 34 | 31 |
| პრაღა | 10 | 4 | 7 |
| სოფია | 27 | 26 | 22 |
| ბუდაპეშტი | 18 | 9 | 15 |
| ბუხარესტი | 29 | 27 | 28 |

# უმდიდრესი არაამერიკელი

პირველი გვერდიდან



### მითიური სიმდიდრე

ლათინური ამერიკის უმდიდრესი ადამიანი თავის სამშობლოში კარგა ხანია ნახევრადფანტასტიკურ, თანამედროვე ზღაპრის პერსონაჟად იქცა. ზღაპრის, რომლის მიხედვითაც ლიბანელ ემიგრანტთა ღატაკი ოჯახის შვილი უთვალავი საგანძურის მფლობელი ყოვლისშემძლე ხელმწიფე გახდა. როგორც ამბობენ, თავად სლიმს მისი პიროვნების ამგვარი აღქმა ძალიან მოსწონს და საკუთარ თავსა და მის გვაროვნულ კლანზე ათასგვარი მითისა თუ ლეგენდის გავრცელებას ხელს უწყობს.

ქვეყანაში, სადაც ათეულობით მილიონ ადამიანს თავი გაჭირვებით გააქვს და რამდენიმე ათასი პესოს მშოვნელს თავი კაცი ჰგონია, მატერიალური კეთილდღეობა ღვთის წყალობად, ხოლო სიმდიდრის მომხვეჭი ადამიანები უზენაესის რჩეულებად ითვლებიან. ამიტომაც ელუ ყველანაირად ცდილობს თავისი ბიოგრაფიის რეალური დეტალები დამალოს, ხმამაღალ თვითრეკლამას თავს არიდებს და იდუმალებით მოცულად ყოფნას ამჯობინებს.

მექსიკელი მილიარდერის ამგვარმა არასტანდარტულმა იმიჯმა გავლენა ძალზე პრაგმატულ ჩრდილოამერიკულ და ევროპულ პრესაზეც მოახდინა. კარლოს სლიმის პიროვნებას ხშირად ისინიც მისტიკურ კუთხით განიხილავენ და ლათინოამერიკელ ღმერთ მიდასს ეძახიან. მოგეხსენებათ, ამ ბერძნულ ქმნილებას შეეძლო ყველაფერი, რასაც შეეხებოდა, ოქროდ ექცია. ელუს სიმდიდრის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, მართებული შედარებაა.

ცხადია, კარლოს სლიმის ისტორიაში ზებუნებრივი და დასამალი არაფერი ყოფილა. შესაძლოა, მექსიკელის პიროვნება იდუმალებით იმიტომაც არის მოცული, რომ არ სურს მისი ბიზნესში აღმასვლისას კულისებსმიღმა განხორციელებული ბრძოლის დეტალები, რომელთა გარეშე არსად, განსაკუთრებით კი ლათინურ ამერიკაში ფულის შოვნა წარმოუდგენელია, დამალვა სურს. როგორც ეკონომიკის ბრიტანელი ექსპერტი პორეტ ჰიფორდი აღნიშნავს, ლეგალური ლათინოამერიკული სიმდიდრე სამი ფუნდამენტური ელემენტის - წარმომავლობის, ღარიბთა გაჭირვების და პოლიტიკური კავშირების ექსპლოატაციიდან არის აღმოცენებული. კარლოს სლიმ ელუს ბიოგრაფია ამის ნათელი მაგალითი გახლავთ.

### იმპერიის აღმოცენება

იგი დაიბადა 1940 წლის 28 იანვარს მეხიკოში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ულარიბეს ლიბიელ ემიგრანტთა ოჯახში. მომავალი მაგნატის ყმაწვილკაცობიდან მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ფართო მოხმარების პროდუქციით ვაჭრობდა, აქცენტს მექსიკისათვის შესაფერ იაფფასიან ნაწარმზე აკეთებდა და გვარიანი ფულიც იშოვნა. მალე ელუმ სავაჭრო ფირმა Carso შექმნა, რომელიც დღეს მექსიკაში ისეთი გიგანტის ადგილობრივ ქსელთან სრულფასოვან კონკურენციას ეწევა, როგორიც Wal-Mart-ia.

კარლოსის ბიზნესის განვითარების შემდეგი ეტაპი რკინისა და ნახშირის მომპოვებელი კორპორაცია Frisco-ს დაარსება გახლდათ, რომელიც ამჟამად მისი სინდიკატის Grupo Carso-ს შემადგენლობაში შედის. მისი ეს ბიზნესი თანდათანობით გაიფურჩქნა და დღეს Frisco ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი ნედლეულმომპოვებელი კომპანიაა. დროთა განმავლობაში ელუმ ფეხი ქიმიური მრეწველობის სფეროშიც მოიკიდა და რამდენიმე შვილობილი ფირმა შექმნა.

თავისი საქმის განვითარებისა და გაფართოების პერიოდში ელუმ კონტაქტი დაამყარა მექსიკის გავლენიან პოლიტიკოსებთან, რაც ძალიან გამოადგა შემდეგ, როცა Carso-ს კურსად ქვეყნის მრეწველობის ძირითადი ნაწილის ხელში ჩაგდება იქცა. შეიძლება ითქვას, მინისტრების და პარლამენტარების ლობირების გარეშე შეუძლებელი იყო ეგზომ სწრაფად, უკონფლიქტოდ და, რაც მთავარია, საოცრად იაფად სამშენებლო მასალების, ელექტროსაქონლის, ავტომობილის ნაწილების და საინჟინრო იარაღების მწარმოებელი კომპანიების შეძენა.

სლიმი ყოველთვის უდიდეს თვითკმაყოფილებას განიცდიდა იმის გამო, რომ Self made man-ის, ადამიანის, რომელიც საკუთარი თავი შექმნა, განსახიერებად იქცა და გამუდმებით კულტირებდა სახალხო ბიზნესმენისა და დაბალი ფენებიდან აღმოცენებული მილიარდერის საკუთარ იმიჯს. უნდა ითქვას, რომ ელუს სრულიად მექსიკა უდიდეს პატივს სცემს, რადგან ხალხს სამუშაოთი უზრუნველყოფს, სურსათით ამარაგებს და სამმაგს არ ახდევინებს და, რაც მთავარია, ყველა ფირმა, რომელიც ხელში ჩაიგდო, ძალიან სწრაფად ეროვნული ეკონომიკის ლიდერად აქცია.

1984 წელს იგი გამოვიდა მთავრობასთან არსებული ქვეყნის წამყვანი ბიზნესმენების ასოციაციის "თავისუფალი მრეწველობა" შექმნის ინიციატივით, რომელიც ორიენტირებული იყო სახელმწიფო საწარმოების დენაციონალიზაციაზე, კერძო საკუთრებაში გადაცემასა და რენტაბელურობის ამაღლებაზე. ამგვარად მან უკვე ფორმალურად შეაბიჯა უმაღლეს ადმინისტრაციულ სფეროებში და დიდი გავლენაც მოიხვეჭა. დღეს მექსიკაში ძნელად იპოვით პოლიტიკოსს თუ ინტელექტუალს, რომელიც კარლოსთან ახლო ურთიერთობით არ ამაყობს. ბევრს თავი მის მრჩევლად თუ კონსულტანტად მოაქვს, მაგრამ ნომერ პირველი ლათინოამერიკელის მთავარი თავისებურება სწორედ ის არის, რომ არავისი რჩევა და მეგობრები არ სჭირდება. მისთვის მნიშვნელობა მხოლოდ საქმიან კონტაქტებს აქვს.

ასე იყო თუ ისე, 80-იანი წლების ბოლოს მექსიკური ბაზრის სხვადასხვა სექტორში Grupo Carso-ს ექსპანსიამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ამ ქვეყნის ყოველ მეორე მცხოვრებს და საწარმოს ყოველდღიურად სინდიკატის რომელიმე სტრუქტურასთან შეხება ჰქონდა და მისი პროდუქციის მომხმარებელი ხდებოდა. დიახ, თავისი აგრესიული გეგმების განხორციელებისას კარლოს სლიმისათვის არასოდეს ულალატია კომერციულ ალღოს და მისი ბიზნესი გამუდმებით იფურჩქნებოდა.

### ახალი მისწრაფება

ელუს ალღომ 1990 წელსაც გაუმართლა, როცა საბაზრო იერიშის მიმართულების მკვეთრად შეცვლა და ტელეკომუნიკაციების სფეროში შეჭრა გადაწყვიტა. აღსანიშნავია, რომ ეროვნული კავშირგაბმულობის საფუძველი, 12 მილიარდ დოლარად ღირებული Telefons De Mexico (Telmex) მან სულ რაღაც 400 მილიონად შეიძინა, რაშიც მას პირადად ქვეყნის პრეზიდენტი სალინას დე გორტარი დაეხმარა. ამ ინფორმაციამ საზოგადოებაში გაჟონა და სხვადასხვა დონეზე საოცარი სკანდალი გამოიწვია. თუმცა, ყველაფერმა ამან დალი პრეზიდენტის კარიერას დაასვა, კარლოსი კი თავისი სატელეკომუნიკაციო სუპერსახელმწიფოს მშენებლობას მშვიდად შეუდგა.

Telefons De Mexico გამუდმებით სხვადასხვა ადგილობრივი ბიზნესალიანსებისა და ფინანსური დაჯგუფებების ბრძოლის მიზეზი იყო. იგი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე შვედური კორპორაცია Ericsson-ის კოლონიალური სტუქტურის რანგში დაარსდა და ელუს მფლობელობაში გადასვლისას სიდიდით ქვეყნის მეოთხე კომპანია გახდა, რასაც ხელი 1947 წელს მექსიკის სათავეში მიგელ ვალდესის რეფორმატორული მთავრობის მოსვლამ შეუწყო, რომელმაც Telmex-ზე სრული კონტროლი დაამყარა და მის მმართველობაში წამყვანი ადგილობრივი ბიზნესმენები მოიზიდა. თუმცა, მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ეს მმართველობა პირობითად რჩებოდა: ჯერ შვედები არ ჩქარობდნენ თავიანთი ოკეანისგაღმური ქონების ხელიდან გაშვებას და მისი სამი მეოთხედი ამერიკელებს მხოლოდ 1958 წელს მიყიდეს, რასაც ამერიკულ კომპანიებთან მუდმივი დაპირისპირება მოჰყვა, სანამ, 1972 წელს პრეზიდენტ ლუის ალვარესის მთავრობამ კონცერნის სრული ნაციონალიზაცია არ მოახდინა.

სახელმწიფოს ამ გადაწყვეტილებამ შედეგი მალე მოიტანა: თუ ადრე უცხოური კაპიტალით მართული Telmex ეროვნული კომუნიკაციის განვითარებაზე გავლენას არ ახდენდა, უმალ მის მამოძრავებელ ძალად იქცა. კომპანია სწრაფად ვითარდებოდა, რაც 1982-85 წლის მექსიკის ეკონომიკურმა კრიზისმა და სახელმწიფო ბიუროკრატიულმა სახელმწიფო მექანიზმმა შეაფერხა. საბოლოოდ, 1988 წელს კავშირგაბმულობის სამინისტრომ მისი გაყიდვა გადაწყვიტა და, როგორც აღვნიშნეთ, 2 წლის შემდეგ ქვეყნის უმთავრესი მონოპოლია ელუმ ხელში ნომინალურზე თითქმის 30-ჯერ იაფად ჩაიგდო. როგორც ცხოვრებამ აჩვენა, ამ სფეროს შესამჩნევ პროგრესს და ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზაციას ეს გარიგება ფრიად წაადგა.

კორპორაციული მმართველობის მოწესრიგების, პარტნიორული ურთიერთობის დამყარების, ახალი ტექნიკური და მომსახურების ბაზის შექმნისათვის კარლოს სლიმს 5 წელი და 16 მილიარდი დოლარის ოდენობის ინვესტირება დასჭირდა. შედეგად, Telmex ერთ-ერთი იმ საწარმოთაგანი გახდა, რომელმაც შედარებით უმტკივნეულოდ გადაიტანა 1995 წლის მექსიკის ფინანსური კატასტროფა, რასაც პესოს გაუფასურება, მეხიკოს საფონდო ბირჟის გაკოტრება და უამრავი ინვესტორის ინფარქტით გარდაცვალება მოჰყვა.

ახალი საუკუნის დასაწყისს კორპორაცია Telefonos de Mexico სწრაფად პროგრესირებადი სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიის აღიარებული ლიდერის რანგში შეხვდა. იმ დროისათვის კონცერნის წლიურმა ბრუნვამ 10 მილიარდს, მოგებამ კი მილიარდ დოლარს მიაღწია.

### გვაროვნულ-კლანური ბიზნესი

თუმცა, Telmex-ის შეძენა და რეფორმირება უმსხვილესი ლათინოამერიკული სატელეკომუნიკაციო იპრერიის შექმნის კარლოს სლიმისეული სტრატეგიის მხოლოდ ერთი ნაწილი გახლდათ. 1996 წელს Grupo Carso-ს გამოეყო დამოუკიდებელი ჰოლდინგი Carso Global Telecom, რომლის მიზანი ამ მიმართულებით მუშაობა იყო. შედეგად, Grupo Carso-ს შეემატა სატელეკომუნიკაციო აპარატურის მწარმოებელი ფირმა Condumex, 1998 წელს კი ელუმ ხელში ჩაიგდო მექსიკური ინტერნეტის პიონერი კომპანია Prodigy.

თავისი კორპორაციის თანამედროვე საკომუნიკაციო ქსელითა და სერვისით აღსაჭურად სლიმმა კონტაქტები დაამყარა ისეთ სუპერგიგანტებთან, როგორებიც არიან SBS Communications და France Telecom, თანაც პირველი დღემდე Carso-ს სტრატეგიულ პარტნიორად რჩება. მასთან ერთად ელუმ შექმნა კომპანია America Movil, რომელიც ცენტრალური ამერიკის მობილური კავშირგაბმულობის ნომერ პირველი ოპერატორი გახდა და Carso-ს მოქმედების არეალმა არა მარტო ლათინური ამერიკის ქვეყნები, არამედ აშშ-ს ნაწილიც მოიცვა.

1999 წელს კარლოს სლიმმა 1,5 მილიარდ დოლარად კონტროლი დაამყარა რამდენიმე ამერიკულ ფირმაზე, რომლებსაც ფლორიდასა და პუერტო რიკოში მოქმედი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი და მობილური ტელეფონების ცენტრები ეკუთვნოდა. 2000 წელს SBS-თან ერთად იგი განთქმული ინტერნეტპროვაიდერის Network Access Solutions-ის მფლობელი გახდა, Microsoft-თან ერთად კი ერთიანი ესპანურენოვანი ვებ-პორტალის შექმნის 100 მილიონ დოლარიანი პროექტი განახორციელა, რომლის მომხმარებელთა რიცხვმა 3 წელში, ანუ, 2003 წლისათვის 24,3 მილიონ ადამიანს მიაღწია.

მას შემდეგ Carso Global Telecom, რომელიც უდავოდ ლათინური ამერიკის ყველაზე ინიციატივიან და ენერგიულ კომპანიად უნდა მივიჩნიოთ, გამუდმებით ზრდის ვებ-ტექნოლოგიებსა და მობილურ კავშირში თავისი ინვესტიციების მასშტაბებს.

ამბობენ, რომ 90-იანი წლების დასაწყისამდე სენიორ ელუს ძალიან არ უყვარდა კომპიუტერული ტექნიკა. მაგრამ ყველაფერი დაბადების დღეზე შვილების მიერ ნაჩუქარმა ლეპტოპმა შეცვალა, კარლოსში ენთუზიაზმმა გაიღვიძა და მალე Carso Global Telecom ახალი ვებ-ტექნოლოგიური იდეების განმახორციელებლად იქცა. ეს ამბავი ელუს შვილების მამის ბიზნესში მონაწილეობის პირველ პრეცედენტად შეიძლება ჩაითვალოს. საერთოდ, ელუ არასოდეს მალავდა, რომ დროთა განმავლობაში თავისი პირადი ბიზნესის გვაროვნულ-კლანურად გადაქცევას აპირებდა და აი, 2004 წლის ნოემბერში მან სინდიკატ Grupo Carso-ს, კორპორაცია Carso Global Telecom-ის და მათთან ასოცირებული კომპანიების ხელმძღვანელობაზე უარი თქვა და სავაჭრო-სამრეწველო ჯგუფის, სატელეკომუნიკაციო ჰოლდინგის და მისი მთავარი კომპანია Telmex-ის და შვილობილი კომპანია America Telecom-ის თავკაცად უფროსი ვაჟი კარლოს სლიმ დომიტი დანიშნა, ხოლო უმცროს შვილებს პატრიკს და მარკო ანტონიოს, გვაროვნული იმპერიის საბაზო საფინანსო სტრუქტურები: America Movil და Grupo Financiero Inbusa გადაულოცა.

მაგრამ ყველაფერი ეს როდი ნიშნავს, რომ იმპერიის დამფუძნებელმა დამსახურებული დასვენებით დატკბობა ისურვა. იგი ყველა ბიზნეს-წარმონაქმნის საპატიო თავმჯდომარედ დარჩა და მათ მოღვაწეობას კვლავინდებურად აკონტროლებს. ამასთან, იგი ახალ, მეტად საინტერესო და პერსპექტიულ ბიზნეს-გეგმებზე მუშაობს და ევროპელი მფლობელისაგან Telecom Italia-ს და მობილური კავშირგაბმულობის წამყვანი ჩილური კომპანიის Entel-ის შეძენას აპირებს. ასეა, ლათინური ამერიკის ყველაზე გავლენიან კაცს 30 მილიარდი არ ჰყოფნის, სამაგიეროდ კი საკმარისად აქვს საიმისო ენერგია, რომ თავისი დიდძალი ქონების კიდევ უფრო გაზრდაზე იფიქროს.

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

## ტამპერედან მოდის ოქრო და ბრინჯაო



C2

## ფედერერის ისტორიული შანსი



C3

## ათი ლელო



C4




სულ მალე დაიწყება წლის მთავარი სპორტული მოვლენა - მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

საზოგადოებრივი არხი და გადაცემა "არენა" ცხრიდან თოთხმეტი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვებს დიდ სპორტულ ვიქტორინაში მონაწილეობის მიღებას სთავაზობს, რომელიც ჩემპიონატამდე სამი კვირით ადრე, 15 მაისს დაიწყება.

ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ფეხბურთის ბურთებით დასაჩუქრდებიან და ასევე გამოვლინდება კვირის საუკეთესო კომენტატორი.

გამარჯვებულებს შეარჩევს კომპეტენტური ჟიური, რომელიც სპორტული ჟურნალისტებითა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

სამი გამარჯვებული ბავშვი მსოფლიო ჩემპიონატის შემაჯამებელ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას. მათ აგრეთვე საჩუქრად გადაეცემათ დვდ-პლეიერები და საზოგადოებრივი არხის პროდუქცია დვდ-დისკებზე.

პირველ ადგილზე გასული ბავშვი დასაჩუქრდება ორკაციანი საგზურით ურეკში, სასტუმრო "კოლხიდაში."

მიიღეთ მონაწილეობა ვიქტორინაში!
უყურეთ ფეხბურთს!
უყურეთ პირველს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება: 21 33 67

სარეკლამო სამსახური: 21 33 54, 33 23 11

სპორტული რედაქცია: 33 17 15




# ტოპმიოლერი აგვისტოს და შესარჩევ ციკლს უმიზნებს

### ზელანდია მარტო რაგბიში არ გვჭობია



*ერთადერთი გოლი ქართველთაგან შოთა არველაძემ გაიტანა.*

მიხეილ აბაიშვილი
*ალტენკირხენი - დორნბირნი*

თბილისიდან გერმანიის პატარა ქალაქ ალტენკირხენამდე ჩაღწევას, სადაც საქართველოს ნაკრები ახალ ზელანდიას შეხვდა, თითქმის მთელი დღე და რამდენიმე ტრანსპორტის გამოცვლა დასჭირდა. თვითმფრინავი, ავტობუსი, მეტრო, მატარებელი ორი გადაჯდომით და, ბოლოს, ბორჯომ-ბაკურიანის კუკუშკას მსგავსი ტრანსპორტი. კუკუშკა ტყუილად არ მიხსენებია. მგზავრობის ბოლო ეტაპმა სწორედ ისეთ ლამაზ ხეობაში გაიარა, როგორიც ჩვენი ბორჯომ-ბაკურიანია.

საქართველოს ნაკრები ამ საკურორტო ქალაქში 23 მაისს შეიკრიბა, მაგრამ სავარჯიშო პროცესი გეგმის მიხედვით მაინც ვერ წარიმართა. არ იფიქროთ, რომ პირობები იყო ცუდი. პირიქით: ფეშენებელური სასტუმრო, ხასხასა მინდვრები, სატრენაჟორო დარბაზი, აუზი, საუნა... ოღონდ ამინდი იყო საშინელი. მთელი ამ დღეების განმავლობაში გადაუღებლად წვიმდა და წვიმს, რამაც სერიოზული დაღი დაასვა როგორც საწვრთნელ პროცესს, ისე თამაშს. სანამ უშუალოდ მატჩზე გადავიდოდე, ერთ საინტერესო ინფორმაციას მოგაწვდით. ალტენკირხენს ჰყავს ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტებული საკმაოდ სიმპათიური ნახევარდ პროფესიონალური გუნდი, რომელიც რეგიონალლიგაში თამაშობს. 26 მაისს სწორედ ამ გუნდთან ამხანაგური მატჩი გამართა სფფ-ს ჩინოვნიკებით და ეროვნული ნაკრების მწვრთნელებით დაკომპლექტებულმა გუნდმა. სტატუსისა და ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ჩვენებმა 3:2 გაიმარჯვეს. განსაკუთრებით გამოირჩა საქართველოს 21 წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი რალფ მინგე - მან დუბლი მიითვალა. მესამე გოლი კობა ჟორჟიკაშვილის ანგარიშზეა.

ახლა კი მთავარ მატჩზე. ასეთ მომცრო სტადიონზე საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ჯერ არ უთამაშია და ალბათ აღარც მოუწევს. ალტენკირხენის არენა სულ 800 ქომაგს იტევს. სტადიონის დირექტორი ჰელმუტ რაინერი, რომელმაც აქამდე არნახული ფასი დაადო ბილეთს (6 ევრო) სიხარულს ვერ მალავდა. "წარმოგიდგენიათ, ჩვენს სტადიონზე ითამაშებენ მილანელი კალაძე, შაკლეს კობიაშვილი, ცქიტიშვილი, იაშვილი და რომელი ერთი გითხრათ". ხელების ფშვნეტით ეუბნებოდა თანაქალაქელებს. პატივცემულმა დირექტორმა ზელანდიელთა ერთი ფეხბურთელის გვარიც კი არ იცოდა, რაც არც არის გასაკვირი. ფიფას რეიტინგში 120-ე ადგილზე მყოფი ახალი ზელანდია ყველასთვის უცნობი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. ევროპის არცთუ მაღალი კლასის გუნდებში სულ სამი ლეგიონერი ჰყავს. ერთ შედარებას მოვიტან: სათადარიგოებისა და მწვრთნელების ჩათვლით ახალი ზელანდიის ნაკრების ყველა ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულება რომ დააჯამო, კალაძის საყიდელი ფული მაინც ვერ შეგროვდება. თუ კობიაშვილსაც დავამატებთ, მთელი ზელანდიური ფეხბურთის შეძენა შეიძლება. ამის მიუხედავად, დავმარცხდით.

■ ■ ■

მართალია, მატჩი ამხანაგური იყო და აქედან შორს მიმავალი დასკვნების გამოტანა არ ღირს, მაგრამ მარცხი ისეთი დონის გუნდთან, როგორიც ახალი ზელანდიის ნაკრებია, მსუბუქად რომ ვთქვათ, საწყენია. თავად განსაჯეთ: ახალზელანდიელებს აქამდე არასდროს მოუგიათ ევროპული ქვეყნის ნაკრები გუნდისთვის. "ჯვაროსნებმა" კი საკუთარი უსუსურობით ახალზელანდიური ფეხბურთის ისტორიაში საამაყო ფურცელი ჩაწერეს.

გაგრძელება C2 გვერდზე

## უოლკოტი და ლენონი არ ითამაშებენ

ინგლისის ნაკრების დამრიგებლის სვენ-გორან ერიქსონის განცხადებით, გუნდის თინეიჯერ ახალწვეულებს თეო უოლკოტსა და ერონ ლენონს მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის მცირე შანსი აქვთ. "თუ გერმანიაში ძირითადის ფეხბურთელთა ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქრება, გულშემატკივრები უოლკოტსა და ლენონს მოედანზე ვერ იხილავენ. ორივე ძალიან მომწონს, მაგრამ ძნელია შონ რაიტ-ფილიპსი სკამზე დასვა და მის ნაცვლად ლენონი ათამაშო. რაც შეეხება უოლკოტს, მან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ბელორუსიასთან, მაგრამ ვეჭვობ, მსოფლიო ჩემპიონატზე მთელი მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაატაროს". ბი ბი სის ცნობით, ერიქსონი პარაგვაი-დანიის ამხანაგურ შეხვედრასაც ესწრებოდა, რათა უკეთ შეესწავლა პირველი მეტოქე გუნდი. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის პირველ მატჩს ინგლისელები 10 ივნისს პარაგვაისთან გამართავენ.

## ფორჩუნი "ჩარლტონში" დარჩა

ინგლისური პრესის ინფორმაციით, "ჩარლტონის" მცველმა ჯონათან ფორჩუნმა კიდევ სამი წლით გაახანგრძლივა კლუბთან კონტრაქტი. 24 წლის ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ კლუბის ღირსებას კიდევ დიდხანს დაიცავს, მიუხედავად იმისა, რომ ამ დღეებში "ჩარლტონის" ხელმძღვანელობა ახალი მწვრთნელის ვინაობას გაამხელს, რის შემდეგაც ადვილი შესაძლებელია ფორჩუნმა ძირითადში ადგილი ვერ შეინარჩუნოს.

## მორიენტესი "ვალენსიაშია"

გაზეთ "მარკას" ცნობით, ესპანელი თავდამსხმელი ფერნანდო მორიენტესი "ვალენსიაში" გადაბარგდა.

იმავე წყაროს ინფორმაციით, ფეხბურთელმა "ღამურებთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მიუხედავად იმისა, რომ "ვალენსიას" ხელმძღვანელობა კონტრაქტის პირობებს არ ახმაურებს, ესპანელი ჟურნალისტებისთვის ისიც გახდა ცნობილი, რომ მორიენტესის ანაზღაურება წელიწადში 5 მილიონი ევრო იქნება. "ლივერპულთან" კონტრაქტი ორი წლის შემდეგ იწურება, თუმცა, ვფიქრობ, არ შევმცდარვარ, როცა ესპანური კლუბის წინადადებას დავთანხმდი. სამწუხაროა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე არ წამიყვანეს, მაგრამ, მეორე მხრივ, უფრო მეტი დრო დამრჩება ახალი სეზონისთვის მოსამზადებლად", - განაცხადა ესპანეთის ნაკრებისა და მერსისაიდული კლუბის ექსთავდამსხმელმა.

## კიუელი ნაკრებს შეუერთდა

"როიტერის" ცნობით, "ლივერპულისა" და ავსტრალიის ნაკრების ნახევარმცველი ჰარი კიუელი, რომელმაც საბერძნეთის წინააღმდეგ ამხანაგური მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა, გუს ჰიდინკის გუნდს ჰოლანდიის შეკრებაზე შეუერთდა. ფეხბურთელის თქმით, ჯერჯერობით თავს კარგად არ გრძნობს, მაგრამ იმედოვნებს, რომ მუნდიალისთვის ძალებს ბოლომდე აღიდგენს. შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩს ავსტრალიელები მსოფლიო ჩემპიონატზე 12 ივნისს იაპონიის ნაკრებთან გამართავენ.

## მაქსი ლოპესს "ვილიარეალში" თამაში სწადია

კატალონიური "ბარსელონას" თავდამსხმელმა მაქსი ლოპესმა ესპანეთის "ვილიარეალში" თამაშის სურვილი გამოთქვა. ამჟამად გუნდის ხელმძღვანელობა მაქსი ლოპესისა და დიეგო ფორლანდის გაცვლის ვარიანტს განიხილავენ.

"თუ ჩემს კლიენტს მეტი სათამაშო პრაქტიკა უნდა, "ვილიარეალში" გადასვლა მისთვის იდეალური ვარიანტია. მით უმეტეს, რომ კარგად იცნობს დამრიგებელ მანუელ პელეგრინს. ისინი მაქსის "რივერ პლეიტში" თამაშისას შეხვდნენ ერთმანეთს", - განაცხადა ლოპესის აგენტმა დარიო ბომბინიმ.

## მესი პირველ თამაშს გამოტოვებს

არგენტინის ნაკრებისა და "ბარსელონას" თავდამსხმელი ლიონელ მესი, სავარაუდოდ, მსოფლიო ჩემპიონატზე ნაკრების სასტარტო მატჩს გამოტოვებს კოტ დ`ივუარის წინააღმდეგ.

"ტრავმის გამო საკმაოდ დიდი პერიოდი გამიცდა, თუმცა ვფიქრობ, გერმანიაში გასამართი მეორე მატჩისთვის ოპტიმალურ ფორმაში ვიქნები", - განაცხადა მესიმ.

## ვერონმა ადრიანო დაიწუნა

მილანის "ინტერის" არგენტინელმა ნახევარმცველმა ხუან სებასტიან ვერონმა ბრაზილიელი თანაგუნდელი ადრიანო გააკრიტიკა, თქვა, რომ ეს უკანასკნელი გაცილებით უარესად თამაშობს, ვიდრე მასზე პრესაში წერენ.

"ის მართლა ისე რომ თამაშობდეს, როგორც სხვებს ჰგონიათ, "ინტერი" სკუდეტოს მოიგებდა. რატომღაც ადრიანო ფიქრობს, რომ წარმატების პიკზეა, მაგრამ, რონალდინიოსა და რონალდოსგან განსხვავებით, ეს ნამდვილად არ არის ასე", - განაცხადა ვერონმა იტალიურ პრესასთან საუბრისას.

## მიდო "რომას" დაუბრუნდა

პრემიერლიგის საფეხბურთო კლუბ "ტოტენჰემ ჰოთსფურზის" ხელმძღვანელთა განცხადებით, "რომასთან" მიდოს თაობაზე მოლაპარაკებებს წერტილი დაესვა. ეგვიპტელი ფორვარდი, რომელიც ინგლისურ კლუბში იჯარის წესით 18 თვის განმავლობაში გამოდიოდა, სავარაუდოდ, მომავალი სეზონიდან იტალიის დედაქალაქში დაბრუნდება. შეგახსენებთ, რომ ლონდონურმა გუნდმა წლეულს ლევერკუზენის "ბაიერიდან" ბულგარელი თავდამსხმელი დიმიტარ ბერბატოვი დაიმატა.

## საბროსა 20 მილიონი ღირს

პორტუგალიისა ნაკრებისა და "ბენფიკას" ნახევარმცველი სიმაო საბროსა კლუბს მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს, თუ მის სანაცვლოდ 20 მილიონ ევროს გადაიხდიან.

26 წლის კაპიტანი მზადაა კლუბში კიდევ დარჩეს, თუმცა კლუბის პრეზიდენტის ლუიშ ფელიპე ვიერას თქმით, ხელმძღვანელობა მზადაა ფეხბურთელთან დაკავშირებული წინადადებები განიხილოს. "სიმაო ბრწყინვალე ფეხბურთელია და მისი გაშვება არ გვინდა, მით უმეტეს, რომ თვითონაც კარგად გრძნობს აქ თავს. თუმცა, თუ ვინმე სერიოზული წინადადებით მოგვმართავს, შეიძლება დავფიქრდეთ. ოღონდ ეგაა, სიმაოს შეძენის მსურველს 20 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს", - განაცხადა "ბენფიკას" პრეზიდენტმა. შეგახსენებთ, რომ მანამდე პორტუგალიელი ფეხბურთელით ინგლისური "არსენალი" და "ჩელსი" იყვნენ დაინტერესებულნი.

# ტამპერედან მოდის ოქრო და ბრინჯაო

გიგა გურასაშვილი

*ზაზა კედელაშვილს ალბათ არასდროს დაავიწყდება ტამპერეში მოპოვებული ოქროს მედალი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ახალგაზრდებიდან დიდებში გადასულმა მისთვის პირველივე უმნიშვნელოვანეს ასპარეზობაზე - ევროპის პირველობაზე ჩემპიონობა იზეიმა, და მეორე ის, რომ საქართველოს ჰიმნი თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობის დღეს - 26 მაისსააჟღერებინა ჩემპიონატის მასპინძლებს. ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც სამ დღეს მასპინძლობდა ფინეთი, დამთავრდა. საქართველოს ნაკრები შინ ორი მედლით ბრუნდება.*



ზაზა კედელაშვილი ევროპის ჩემპიონი გახდა.

კიდევ ერთი ოქროს მედალიც რომ მოგვეპოვებინა, ფინეთში ჩატარებული კონტინენტის პირველობა შედეგებით 1989 წლის ევროპის ჩემპიონატის მსგავსი გამოვიდოდა, თუმცა არც ესაა ურიგო შედეგი. 17 წლის წინ სსრკ ნაკრების რიგებში სამმა ქართველმა შეძლო კვარცხლბეკზე ასვლა - ამირან ტოტიკაშვილმა (60კგ.) და კობა კურტანიძემ (95კგ.) ოქროს, ხოლო გიორგი თენაძემ (71კგ.) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

ტამპერეში დასრულებულ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები შვიდივე წონით კატეგორიაში ასპარეზობდა.

პირველად ტატამზე 60, 66 და 73 კგ წონითი კატეგორიის ძიუდოისტებს უხმეს, შემდეგ 81 და 90, გუშინ კი 100კგ. და მძიმეწონოსანთა რიგიც დადგა.

შეჯიბრების პირველ დღეს ათენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელმა ნესტორ ხერგიანმა (60კგ.) იჭიდავა. კარგად აღებული სტარტის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ქემალ ოგუზსა (თურქეთი) და გიორგი ზამთარიას (უკრაინა) სძლია, ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონთან, მსოფლიო ჩემპიონ კრეიგ ფალონთან (ბრიტანეთი) დამარცხდა. ფალონის შემდგომმა წარმატებამ ხერგიანს მედლისთვის ბრძოლის შანსი მისცა. ახლოსაც იყო ბრინჯაოს მედალთან, მაგრამ მსაჯის შეცდომამ ხერგიანი უმედლოდ დატოვა. ჰოლანდიელ რუბენ ჰოუკსთან ქართველი აშკარად აქტიურობდა, მაგრამ ქულას მაინც ვერ იღებდა. ძირითადი დრო უქულოდ დაასრულეს ძიუდოისტებმა. დამატებით ხუთ წუთშიც იგივე სურათი იყო, მაგრამ მსაჯმა ხერგიანი დასაჯა შიდოთი.

არც 2005 წლის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელს დავით ქევხიშვილს (73კგ.) გაუმართლა. სუფთად მოგებული პირველი შეხვედრის შემდეგ, მეორეში კეიჯი უემაცუსთან (ესპანეთი) თავად დამარცხდა იპონით და მედლებისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონისა და მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის ზაზა კედელაშვილის გამარჯვება რომ არა, ევროპის ჩემპიონატის პირველი დღე კატასტროფა იქნებოდა. ძირითად ნაკრებში წლეულს დამკვიდრებულმა კედელაშვილი (66კგ.) ოთხი მოგებული შეხვედრის შემდეგ ევროპის ჩემპიონი გახდა. სხვათა შორის, მომავალი ჩემპიონი ფინალში ძველ მეტოქეს ბენჟამინ დარბალეტს შეხვდა. ქართველისა და ფრანგის პირველი დუელი გაზაფხულზე, პარიზის მსოფლიო თასის ფინალში გაიმართა. მაშინ ფრანგმა გაიმარჯვა. კედელაშვილმა დაიქადნა, თუ მეორედ გადაიკვეთება ჩვენი გზები, ფრანგს აღარ გავამარჯვებინებო!

შეჯიბრების მეორე დღეზე ბევრი არაფერია სათქმელი. გრიგოლ მამრიკიშვილმა (81კგ.) პირველივე შეხვედრა აზერბაიჯანელთან წააგო, ირაკლი ცირეკიძე (90კგ.) კი თურქ მეტოქესთან გამარჯვების შემდეგ ჩვენს ძველ ნაცნობთან, ბრიტანელ უინსტონ გორდონთან დამარცხდა. შეგახსენებთ: ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე ზურაბ ზვიადაურს ნახევარფინალში სწორედ გორდონი გადაეყარა. ზვიადაურის ჯავრი გორდონმა ცირეკიძეზე იყარა.

გუშინდელი დღეც წარუმატებელი იქნებოდა, მაგრამ ზვიად ხანჯალიაშვილმა გადაგვარჩინა. თანაც ეს მედალი ყველაზე მძიმეა. ქართველ გოლიათს პირველ შეხვედრაში მომავალ ფინალისტთან წაგების შემდეგ რეპეშაჟში მესამე ადგილისთვის ბრძოლის საშუალება მიეცა. ხანჯალიაშვილმა წარმატებით გამოიყენა ეს შანსი. არადა, ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებელთა სიაში ქართველი მძიმეწონოსანი ორი დღით ადრე ჩასვეს. საქმე ისაა, რომ მძიმე წონის ლიდერს ლაშა გუჯეჯიანს ტამპერეში გამგზავრების წინ ნიკრისის ქარი დაემართა. გუნდის მწვრთნელი შოთა ხაბარელი იძულებული გახდა ხანჯალიაშვილისთვის ეხმო.

მანამდე ბრინჯაოსთან ახლოს იყო გიორგი ყიზილაშვილიც (100კგ.). მოიგო, წააგო, მოიგო, წააგო. ბოლო შეხვედრას ის დატვირთა ჰქონდა, რომ მესამე ადგილისთვის შეეძლო ბრძოლის გაგრძელება.

ერთი სიტყვით, თითო ოქროსა და ბრინჯაოს მედლით საქართველოს ნაკრებმა გუნდური მესამე ადგილი დაიკავა.

# ტოპმიოლერი აგვისტოს და შესარჩევ ციკლს უმიზნებს

პირველი გვერდიდან

ტოპმიოლერმა ჩვეული ტაქტიკით ითამაშა. 4 მცველი, 3 ნახევარმცველი და 3 ფორვარდი. დაცვაში ფლანგებზე მჟავანაძე და კვირკველია თამაშობდნენ, ცენტრში კი - კალაძე და ხიზანიშვილი. ნახევარდაცვაში ასათიანი-გოგუა-კობიაშვილის ტრიო ვიხილეთ, შეტევაში კი არველაძეს გიგიაძე და დემეტრაძე ეხმარებოდნენ.

არველაძეზე ცალკე თქმაც ღირს. შოთა საქართველოს ნაკრებში საუკეთესო იყო. სამწუხაროა, როდესაც გუნდი შეტევაში მხოლოდ ვეტერანი არველაძის იმედადაა.

მატჩი ჩვენების უპირატესობით დაიწყო. პირველი 17 წუთის განმავლობაში ახალზელანდიელთა კართან რამდენჯერმე შეიქმნა ხიფათი, თუმცა კობიაშვილს, დემეტრაძეს და არველაძეს დამაგვირგვინებელი დარტყმა არ გამოსდიოდათ.

37-ე წუთზე საქართველოს ნაკრების კართან პირველი სახიფათო მომენტი შეიქმნა. ლომაია შეცდა და ბერტოსს გოლის გატანის ასპროცენტიანი შანსი მიეცა, თუმცა ახალზელანდიელმა ფეხბურთელმა ცუდად დაარტყა და ბურთი კარს ააცილა. ეტყობა, ჩვენებურებმა ეს შეტევა შემთხვევითობად ჩათვალეს, რადგან რამდენიმე წუთში მეტოქის მორიგი კონტრშეტევა გამოეპარათ. 41-ე წუთზე კოვენმა ანგარიში გახსნა. ორ წუთში ლომაიას კარში მეორე გოლიც გავიდა. კახა კალაძემ სველ მიდორზე წონასწორობა ვერ შეინარჩუნა და კილენთან ორთაბრძოლისას წაიქცა. ახალზელანდიელი მეკარესთან პირისპირ დარჩა და გოლის გატანა არ გასჭირვებია.

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა შეცდომა უმალვე გამოასწორა. განახლდა თუ არა მატჩი, მინდვრის ცენტრიდან კახამ შეტევა წამოიწყო, შოთა არველაძეს გადააწოდა ბურთი და ამ უკანასკნელმა ერთი გოლი გაქვითა. ამ გოლმა იმედი ჩაგვისახა, თუმცა მეორე ტაიმმა ამ იმედს ბოლო მოუღო.

შესვენების შემდეგ ტოპმიოლერმა რამდენიმე ფეხბურთელი შეცვალა. საქართველოს ნაკრებს მეორე ტაიმის პირველივე წუთზე შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ალადაშვილმა დროულად ვერ გადააწოდა ბურთი და მომენტი გაფუჭდა. სამაგიეროდ ახალზელანდიელთა პირველივე შეტევა გოლით დასრულდა. კუთხურის შემდეგ კოვენმა თავური დარტყმით მესამედ დალაშქრა ლომაიას კარი.

დარჩენილ დროში ჩვენებურები ბევრს უტევდნენ, ერთხელ ბურთი მეტოქის კარის ძელსაც მოხვდა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. წვიმამ კი მატჩის ბოლომდე არ გადაიღო. საქართველოს ნაკრების სირცხვილით ბუნებაც კი ტიროდა.

მატჩის შემდეგ ტოპმიოლერი უგუნებოდ იყო, თუმცა "24 საათისთვის" კომენტარზე უარი მაინც არ უთქვამს: "ძალიან საწყენია ისეთ თამაშში დამარცხება, რომელშიც მეტოქეს თითქმის ყველა კომპონენტში დაჯაბნი. მატჩის დასაწყისში რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. სწორედ ამან განაპირობა ასეთი შედეგი. ზელანდიელებმა შემთხვევითი გოლი გაგვიტანეს და დაცვაში მყარად ჩადგნენ. თავსხმა წვიმა და ატალახებული გაზონი ისედაც არ იძლეოდა თამაშის გაშლის საშუალებას, გოლის შემდეგ კი მეტოქემ კიდევ უფრო შეზღუდა და ჩაკეტა თავისუფალი სივრცე.

მარცხის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიცაა, რომ მეტოქე ფიზიკურად გაცილებით უკეთ იყო მომზადებული, რაც ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ერთი თვეა, რაც ზელანდიელები საწვრთნელ შეკრებაზე არიან. ჩვენ კი სულ სამი დღეა, რაც ვვარჯიშობთ. ცხადია, ახალი ზელანდიის ნაკრები გაცილებით უკეთეს ფიზიკურ ფორმაშია. დასახვეწი გვაქვს გუნდური თამაში და მინდორზე გუნდური გადაადგილება როგორც ცალკეულ ხაზებში, ისე მთლიანობაში. ამ თამაშმა ისიც დაგვანახა, რომ ორთაბრძოლების დროს დაცვის ხაზის ფეხბურთელები წარმოუდგენლად ბევრჯერ მარცხდებოდნენ. სამიდან ორი გოლი არა პოზიცური შეცდომების, არამედ სწორედ ჩვენი მცველების მიერ ორთაბრძოლაში დამარცხების გამო მივიღეთ.

თუმცა, მინდა გითხრათ, რომ პროგრესი მაინც გვაქვს. ერთი შეხებით სწრაფი თამაში, რაზეც დაყრდნობილია თანამედროვე ფეხბურთი, საკმაოდ კარგად გამოგვივიდა. შედეგი ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან მინდოდა მოგება, მაგრამ ამ შეკრებას და თამაშებს უფრო მნიშვნელოვანი დატვირთა აქვს. პირველ რიგში უნდა გამოვავლინოთ ის ხარვეზები, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. გარდა ამისა, ნაკრებში რამდენიმე ვაკანტური ადგილი გვაქვს და საჭირო კანდიდატურები უნდა შევარჩიოთ. მჯერა, რომ აგვისტოსთვის, როცა დაიწყება შესარჩევი ციკლი, როგორც ფიზიკური, ისე ტექნიკურ-ტაქტიკური თვალსაზრისით საუკეთესო ფორმაში ვიქნებით".

გუშინ ეროვნულმა ნაკრებმა დისლოკაციის ადგილი გამოიცვალა. გუნდი ავტობუსით გაემგზავრა კიოლნში, შემდეგ გადაფრინდა მიუნხენში, საიდანაც ავტობუსით ავსტრიულ ქალაქ დორნბირში გადაინაცვლა.

27 მაისი. ამხანაგური მატჩი. ალტენკირხენი. "ცენტრალშტადიონი" 250 მაყურებელი

### საქართველო - ახალი ზელანდია 1:3

**გოლები:** 0:1 კოვენი (41), 0:2 კილენი (43), 1:2 არველაძე (44), 1:3 კოვენი (51)
**გაფრთხილება**: გოგუა, ბუკენჰოოგი, ჰეი
**საქართველო:** ლომაია, მჟავანაძე (ხიზანეიშვილი 46), ხიზანიშვილი, კალაძე, კვირკველია (კანდელაკი 66), გოგუა (მუჯირი 55), კობიაშვილი, ასათიანი (იონანიძე 66), გიგიაძე (ალადაშვილი 46), არველაძე, დემეტრაძე (იაშვილი 46)
**მთ. მწვრთნელი:** კლაუს ტოპმიოლერი
**ახალი ზელანდია**: მოსი, ჰეი, ბუკენჰოოგი, ჰიკი, ოულდი, ვიჩელინი, კრისტი, ბერტოსი, მალიგანი (ვებსტერი 68), კოვენი (სმიტი 66), კილენი
**მთ. მწვრთნელი**: კრისტიან ჰერბერტი
**მსაჯი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

**გერმანიიდან რეპორტაჟი განხორციელდა სამშენებლო კომპანია "ოლიმპიური ვარსკვლავის" მხარდაჭერით**




## შენ დაუკა!

თეა თედლიაშვილი

26 მაისს გორში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის.

ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრებს ესწრებოდნენ საქართველოს ჭიდაობის პრეზიდენტი გია ჯიქია, საქართველოს ჩემპიონი თამაზ წამალაშვილი, 1952 წლის შეჯიბრებების აბსოლუტური ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში სიმონ მაისურაძე, ქართული ჭიდაობის ფედერაციის გენერალური დირექტორი იური იმერლიშვილი და ვიცე-პრეზიდენტი გიგი ბიწკინაშვილი.

რვა წონით კატეგორიაში სამ-სამი საპრიზო ადგილი იყო. გამარჯვებულებს გადაეცათ შესაბამისი ხარისხის მედლები და საჩუქრები. გამრჯვებულთა სია ასე გამოიყურება:

50 კგ: პირველი ადგილი - დიმიტრი თუშიშვილი (ყვარელი). მეორე ადგილი - ვალერი ლაფერაშვილი (საგარეჯო). მესამე ადგილი - ლაშა ღარიბაშვილი (ქარელი).

60 კგ: პირველი ადგილი- თემურ ნასყიდაშვილი (ზესტაფონი). მეორე ადგილი - გიგა ტურაშვილი (გურჯაანი), მესამე ადგილი - მიხეილ მეკოკიშვილი (საგარეჯო).

65 კგ: პირველი ადგილი - თამაზ თენაძე (გორი), მეორე ადგილი - გურამ ნემსაძე (ქუთაისი), მესამე ადგილი - (ქარელი).

70 კგ: პირველი ადგილი - გიორგი თედიაშვილი (საგარეჯო), მეორე ადგილი - ზურაბ დილებაშვილი (გორი), მესამე ადგილი - კახა ზურებიანი (ლენტეხი).

75 კგ: პირველი ადგილი - გიორგი გელაშვილი (გორი), მეორე ადგილი - ზურაბ ხორგუაშვილი (თბილისი), მესამე ადგილი - გიორგი გასიტაშვილი (გორი).

80 კგ: პირველი ადგილი - იასონ ნემსაძე (ქუთაისი), მეორე ადგილი - ილია ქონიაშვილი (გორი), მესამე ადგილი - გიორგი დიასამიძე (აჭარა).

80 კგ-ს ზევით: პირველი ადგილი - გიორგი მესტვირიშვილი (თბილისი), მეორე ადგილი - ლაშა გურული (ქარელი), მესამე ადგილი - იასონ პურიჭამიაშვილი (გორი).

ყველაზე ლამაზად იჭიდავა 75 კგ წონაში მოპაექრე წყვილმა ზურაბ ხორგუაშვილმა და გიორგი გელაშვილმა. დასაწყისში ხორგუაშვილს ჰქონდა უპირატესობა, თუმცა 4-წუთიანი პაექრობის შემდეგ იძულებული გახდა გელაშვილისთვის დაეთმო პირველობა. გელაშვილმა ელვისებური "მოგვერდი" ჩაუტარა მეტოქეს და სუფთა გამარჯვება მოიპოვა.

## "მაიამი" ვეიდის წყალობით იგებს

NBA-ში გრძელდება კონფერენციების ფინალები. აღმოსავლეთ კონფერენციაში "მაიამიმ" პირველი მარცხის შემდეგ ზედიზედ ორი მატჩი მოიგო და სერიაში ანგარიშით 2:1 დაწინაურდა.

მესამე მატჩში, რომელსაც "მაიამიმ" უმასპინძლა, ბრწყინავდა დუეინ ვეიდი. მაიამელთა ლიდერმა 35 ქულა დააგროვა, 8-ჯერ მოხსნა ფარიდან ასხლეტილი ბურთი, 4 შედეგიანი გადაცემა გააკეთა, ორჯერ ჩაჭრა მეტოქის შეტევა და ერთი ბლოკშოტიც მიათვალა საკუთარ აქტივს. ამას დავუმატოთ შაკილის 27 ქულა და "მაიამის" გამარჯვებაც ლოგიკური ხდება.

დეტროიტელთა შორის კი გამოირჩეოდა ჩონსი ბილუპსი. სტუმართა გამთამაშებელმა 31 ქულა დააგროვა. აღსანიშნავია, რომ ჩონსიმ 5 სამქულიანიდან 4 ჩააგდო. თუცმა თავისი მთავარი კოზირი ვერ გამოავლინა. "მაიამისთან" მატჩში ბილუპსმა მხოლოდ 3 შედეგიანი გადაცემა გააკეთა, რაც მისთვის ცუდი მაჩვენებელია.

საბოლოოდ "მაიამიმ" მესამე შეხვედრა 98:83 მოიგო. გადამწყვეტი აღმოჩნდა მატჩის მეორე მეოთხედი, რომელიც ვეიდმა და კომპანიამ ანგარიშით 23:14 მოიგეს.

რაც შეეხება დასავლეთ კონფერენციას. "დალასმა" მეორე შეხვედრაში 105:98 სძლია "ფენიქსს" და სერიაში ანგარიში გათანაბრდა 1:1.

მატჩი დაძაბული გამოდგა. სამი მეოთხედის განმავლობაში თამაში ქულა ქულაში მიდიოდა. გადამწყვეტ მეოთხედში დალასელებმა ხელთ იგდეს თამაშის სადავეები და ეს მეოთხედი 30:21 მოიგეს, რამაც განაპირობა კიდეც საბოლოო გამარჯვება.

ნიკა ცქიტიშვილი ამჯერადაც სათადარიგოთა სკამზე იჯდა და იქიდან ამხნევებდა თანაგუნდელებს, რომელთა შორის საუკეთესო ბორის დიავი იყო 25 ქულითა და 10 მოხსნით. დალასელთა რიგებში ყველაზე უკეთ, როგორც მოსალოდნელი იყო, დირკ ნოვიცკიმ ითამაშა. გერმანელმა ვარსკვლავმა 30 ქულას 14 მოხსნა და 6 შედეგიანი გადაცემა დაუმატა.

## ინფოთეკა

### ვუჩინიჩი მუნდიალს გამოტოვებს

სერბეთის ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდი მირკო ვუჩინიჩი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ ითამაშებს. მან ტრავმა მიიღო ევროპის ჩემპიონატზე 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს.

"ვუჩინიჩის შემცვლელს უახლოეს ორ დღეში დავასახელებთ", - განაცხადა სერბეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ილია პეტკოვიჩმა.

### სტუდენტური მოთხოვნა

ბანგლადეშში მანქანათმშენებლობისა და ტექნოლოგიების უნივერსტიტეტის სტუდენტებმა რექტორის კაბინეტის ბლოკირება მოახდინეს. ასობით სტუდენტი რექტორისგან მოითხოვს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დროს გამოცდები არ დაინიშნოს.

"არ დავიშლებით მანამ, სანამ რექტორი ჩვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს. ვის გაუგია გამოცდების ჩაბარება მსოფლიო ჩემპიონატის დროს", - ამბობს ერთ-ერთი სტუდენტი.

ამ უნივერსტიტეტში გამოცდების ჩაბარების ვადა 3 დან 29 ივნისამდეა.

## ინფოთეკა

### მარადონამ ერიქსონს დიაგნოზი დაუსვა

ლეგენდარულმა არგენტინელმა ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ განაცხადა, რომ ერიქსონმა ძალიან გარისკა, როდესაც ნაკრებში 17 წლის ფორვარდი თეო უოლკოტი აიყვანა. "თუ ერიქსონმა მსოფლიო ჩემპიონატზე წარუმატებლობა განიცადა, ის გიჟს დაემსგავსება. მას და მის არგუმენტებს არავინ დაუჯერებს. ვიცი, რასაც ვამბობ. თავადაც ვიწექი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. იქ ზოგი ამბობდა, რომ ნაპოლეონია. მე ვამტკიცებდი, რომ მარადონა ვარ, მაგრამ არავინ მიჯერებდა," - აცხადებს არგენტინელი. მარადონას თქმით, უოლკოტის ნაკრებში გამოძახება დიდი შეცდომაა, რადგან ეს ფეხბურთელი თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც კი ვერ ხვდება.

### ვენეიბლზმა "მიდლსბროზე" უარი თქვა

უეფას თასის ფინალისტი "მიდლსბრო" ფაქტობრივად მწვრთნელის გარეშე დარჩა. გუნდი დატოვა სტივ მაკლარენმა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ინგლისის ნაკრებს ჩაიბარებს.

რივერსაიდული კლუბის ხელმძღვანელებს მაკლარენის ადგილზე გამოცდილი სპეციალისტის ტერი ვენეიბლზის დანიშვნა სურდათ, მაგრამ ინგლისის ნაკრების ექსთავკაცმა მუშაობა არ ისურვა.

"უკვე 63 წლის ვარ არა მგონია, სრული დატვირთვით მუშაობა შევძლო. ამიტომ უარი ვთქვი "მიდლსბროს" მწვრთნელობაზე", - განუცხადა ბი ბი სის კორესპონდენტს ტერი ვენეიბლზმა.

### დაპირისპირება გადაიდო

ჯასტინ გატლინისა და ასაფა პაუელის პირისპირ შეხვედრა გადაიდო. დაგეგმილი იყო, რომ 100 მეტრზე სირბილში მსოფლიო რეკორდის ორი მფლობელი 11 ივლისს სარბენ ბილიკზე ერთმანეთის პირისპირ წარდგებოდა და საუკეთესოც პირად დუელში გაირკვეოდა, მაგრამ ჯასტინ გატლინის მენეჯერმა თავის კლიენტს არ ურჩია ამ გარბენში მონაწილეობა და პირადი დუელიც გაურკვეველი დროით გადაიდო.

**გურუჯის გეგმები**

სულ ცოტა ხნის წინ ლეგენდარულმა მძლეოსანმა ჰიშამ ელ გურუჯიმ სპორტული კარიერა დაასრულა. ოლიმპიურმა ჩემპიონმა 1500 და 5000 მეტრზე სირბილში ყველასთვის მოულოდნელად გააკეთა განცხადება კარიერის დასრულების შესახებ, თუმცა ეს მთლად ასე არ ყოფილა. 31 წლის მაროკოელი პროფილს იცვლის - ამიერიდან ის მარათონებში აპირებს მონაწილეობას. პირველი შეჯიბრება ნოემბერში ნიუ იორკის ცნობილი მარათონი იქნება.

### Nike-ს ნოვაცია

სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა Nike სულ ცოტა ხანში მომხმარებელს ნოვატორულ პროდუქციას შესთავაზებს. დაახლოებით ორ თვეში გასაყიდად გამოიტანენ სპორტულ ფეხსაცმელს, რომელიც კომპიუტერული სისტემით იქნება აღჭურვილი - ადამიანი სიარულის ან სირბილის დროს შეძლებს გააკონტროლოს თუ რა სისწრაფით მოძრაობს, რამდენ კალორიას ხარჯავს და როგორი წნევა აქვს.

### "რეალი" ტურინელებზე ნადირობს

მადრიდის "რეალი" ცდილობს შეიძინოს ტურინის "იუვენტუსის" ორი ფეხბურთელი. სამეფო კლუბის მესვეურებმა ჯანლუკა ძამბროტას და ზლატან იბრაჰიმოვიჩს დაადგეს თვალი. თუ "იუვენტუსს" იტალიაში ატეხილი სკანდალის გამო სერიოზული პრობლემები შეექმნა, ალბათ ორივე ფეხბურთელი დატოვებს გუნდს.

### კლიჩკო შესვენებას არ აპირებს

IBF-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი ზემძიმე წონაში ვლადიმირ კლიჩკო აცხადებს, რომ დიდხანს შესვენებას არ აპირებს და უახლოეს მომავალში კვლავ გავა რინგზე.

"ჯერჯერობით იმის თქმა შემიძლია, რომ ხანგრძლივი პაუზის აღებას არ ვაპირებ და მორიგ ბრძოლას ოქტომბერში გავმართავ. დაგეგმილია, რომ ბრძოლა აუცილებლად აშშ-ში გაიმართება. იმედია, ეს ნიუ იორკში, "მედისონ სკვერ გარდენში" მოხდება. ჯერჯერობით არ ვიცი ვინ იქნება მეტოქე, თუმცა აშკარაა, რომ მსოფლიო რეიტინგის პირველი ხუთეულიდან იქნება", - ამბობს კლიჩკო.

# ფედერერის ისტორიული შანსი







გუშინ საფრანგეთში სტარტი აიღო სეზონის მეორე დიდი სლემის ტურნირმა საფრანგეთის ღია პირველობამ. 2006 წლის "როლან გაროს" ტურნირი გარკვეულწილად ისტორიული იქნება. ჩოგბურთის ისტორიაში პირველად დიდი სლემის ტურნირი 15 დღეს გასტანს. ყველაზე პრესტიჟული ტურნირები ყოველთვის ორშაბათობით იწყებოდა, თუმცა საფრანგეთის ღია პირველობის ორგანიზატორებმა ამჯერად ტრადიცია დაარღვიეს და ასპარეზობა კვირას დაიწყო.

"როლან გაროს" მიმართ ინტერესი საკმაოდ დიდია. ამჯერად თითქმის ყველა საუკეთესო შეძლებს კორტზე გასვლას, განსაკუთრებით მამაკაცთა ტურნირში. ქალთა ასპარეზობას კი მცირე დანაკლისი მაინც აქვს: სერენა უილიამსი და მერი პირსი ტრავმების გამო გამოტოვებენ ამ პრესტიჟულ ტურნირს.

გულშემატკივართა ინტერესს, პირველ ყოვლისა, მაინც მამაკაცთა ტურნირი იწვევს. წლევანდელ "როლან გაროს" ორი გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს როჯერ ფედერერისა და რაფაელ ნადალის სახით. მართალია, ფედერერი ინარჩუნებს მსოფლიოს პირველი ჩოგნის ტიტულს, მაგრამ საფრანგეთში გამარჯვების მოპოვება ძალიან გაუჭირდება. მოგეხსენებათ, "როლან გარო" ერთადერთი დიდი სლემის ტურნირია, რომელიც შვეიცარიელ სუპერმენს არ მოუგია.

შეიძლება ითქვას, რომ ფედერერი პიტ სამპრასის გზას იმეორებს. პისტოლ პიტი დღემდე რჩება ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელად - ლეგენდარულმა ამერიკელმა კარიერა ისე დაასრულა, საფრანგეთის ღია პირველობა არ მოუგია. ანალოგიურ მდგომარეობაშია ფედერერიც. წლეულს როჯერს ამ ტრადიციის დარღვევა სურს, მაგრამ მშვენივრად ესმის, რომ თინეიჯერი ესპანელის დამარცხება თიხნარზე თითქმის წარმოუდგენელია.

"ამ სეზონში ნადალს თიხაზე თამაში საერთოდ არ წაუგია, ტურნირის მთავარი ფავორიტიც ის იქნება. ცხადია, შევეცდები ჩემთვის არასასურველი ტრადიცია დავარღვიო და ამჯერად მაინც მოვიგო საფრანგეთის ღია პირველობა, მაგრამ მშვენივრად მესმის, რომ ეს ძალიან ძნელი იქნება", - აცხადებს ფედერერი.

რაც შეეხება ნადალს, ის ტურნირზე მეორე ნომრად არის განთესილი. უკვე 53 შეხვედრა თიხნარზე არ წაუგია და ეს ჩოგბურთის ისტორიაში რეკორდული მაჩვენებელია. რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან, ყველა აგებს, მაგრამ ნადალი იმედოვნებს, რომ ეს როლან გაროზე არ მოხდება.

ცხადია, ამ დუეტის გარდა სხვებსაც ექნებათ გამარჯვების პრეტენზია, განსაკუთრებით ესპანელ ჩოგბურთელებს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მთავარი ფავორიტები ნადალი და ფედერერი იქნებიან.

თუ შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა ნავსი გატეხა და ტურნირი მოიგო, მას გაუჩნდება შანსი ერთ კალენდარულ წელიწადს ოთხი დიდი სლემის ტურნირი მოიგოს, რაც 1969 წლის შემდეგ არავის გაუკეთებია. უკანასკნელად ასეთ წარმატებას ფედერერის კერპმა როდ ლეივერმა მიაღწია.

რაც შეეხებათ ქალებს, ტურნირის პირველ ნომრად ამელი მორესმოა განთესილი. თუმცა მათ შორის გამოკვეთილი ფავორიტი არ არის. საფრანგეთში რამდენიმე ძლიერი ჩოგბურთელი ქალი ითამაშებს, რომლებსაც დაახლოებით ერთნაირი შანსი ექნებათ გამარჯვების.

მორესმოსთან ერთად ესენი არიან ჟუსტინ-ენინ არდენი, კიმ კლაისტერსი, მარია შარაპოვა და თითქმის ყველა, ვინც ამჟამად რეიტინგის ათეულშია. ასე რომ, ქალთა ტურნირის პროგნოზირება უფრო ძნელია. თითქმის ყველა კარგ ფორმაში ხვდება ტურნირს და ბრძოლებიც საინტერესო იქნება. აქვე უნდა ვთქვათ მარტინა ჰინგისზეც, რომელიც შეეცდება დაბრუნების შემდეგ პირველი დიდი სლემის ტურნირი მოიგოს.

### "აიაქსი" თურქი ფეხბურთელით დაინტერესდა

მომავალ სეზონს სტამბულის "ბეშიქთაშის" ნახევარმცველი თუმერ მეთინი, სავარაუდოდ, ამსტერდამის "აიაქსში" დაიწყებს. ჰოლანდიურმა კლუბმა უკვე ოფიციალურად მიმართა თურქებს ფეხბურთელის თაობაზე, თავად მეთინმა კი განაცხადა, რომ სიამოვნებით გააგრძელებს კარიერას "აიაქსში". მანამდე თურქი ნახევარმცველით ინგლისური "ევერტონიც" იყო დაინტერესებული.

### ხოაკინი არ იყიდება

ესპანური "ბეტისის" პრეზიდენტის მანუელ რუის დე ლოპერას თქმით, გუნდის ლიდერი ხოაკინი არ იყიდება.

ბოლო დროს ესპანურ პრესაში ხშირად იწერებოდა, რომ ესპანელი ჰავბექი ზაფხულის სატრანსფერო სეზონში პრემიერლიგის ჩემპიონ "ჩელსიში" აღმოჩნდებოდა. ხოაკინს უკავშირებდნენ მადრიდის "რეალსაც". "ხოაკინიც და რიკარდუ ოლივეირაც გუნდის ლიდერები არიან და არ იყიდებიან. ჩვენს გადაწყვეტილებას არანაირი თანხის სანაცვლოდ არ შევცვლით", - განაცხადა "ბეტისის" პრეზიდენტმა.

### სანტანა ფლორენციელია

იტალიის "ფიორენტინამ" "პალერმოს" არგენტინელ ნახევარმცველთან მარიო ალბერტო სანტანასთან გააფორმა კონტრაქტი. ფლორენციელებმა არგენტინელ ფეხბურთელს ოთხწლიანი ხელშეკრულება დაუდეს, მომავალში კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით. გასულ სეზონში "პალერმოს" შემადგენლობაში მარია სანტანამ 28 მატჩში ერთი გოლი გაიტანა.

### მორატი მოურინიოს შეუთანხმდა

იტალიური "კორიერე დელო სპორტის" ცნობით, მილანის "ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწია ლონდონის "ჩელსის" პორტუგალიელ დამრიგებელ ჟოზე მოურინიოსთან.

შეთანხმების მიხედვით, 2006-07 წლების სეზონის დასრულების შემდეგ მოურინიო "ინტერს" ჩაუდგება სათავეში, იმ შემთხვევაში, თუ "ნეროაძურის" მანჩინის ხელმძღვანელობით ახალ სეზონში სკუდეტოს ან ჩემპიონთა ლიგას ვერ მოიგებს. ლონდონის "არსენალის" ფრანგი ნახევარმცველის რობერ პირესის თქმით, ის საფრანგეთის ნაკრებში აღარ ითამაშებს. ამის მიზეზი "სამფეროვანთა" დამრიგებლის რაიმონ დომენიკის გადაწყვეტილებაა, რომელმაც ფეხბურთელი მსოფლიო ჩემპიონატზე ნაკრებს მიღმა დატოვა.

"დომენიკის გადაწყვეტილება არ გამიკვირვებია, ამისთვის მზად ვიყავი, რადგან კარგა ხანია არ შემხმიანებია", - განაცხადა 32 წლის ფეხბურთელმა. საფრანგეთის ნაკრებში რობერ პირესს 79 მატჩში 14 გოლი აქვს გატანილი.

### "შალკე" ფანების გამო დაისაჯა

გელზენკირხენის "შალკე" 12 800 ევროთი დაჯარიმდა უეფას თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში "ესპანიოლთან" საპასუხო მატჩის (3:0) დროს გულშემატკივრების უსაქციელობის გამო.

შეხვედრის დროს, რომელიც ბარსელონაში 26 თებერვალს გაიმართა, გერმანული გუნდის ფანებმა მეტოქე გუნდის გულშემატკივრებს სხვადასხვა საგნების სროლა დაუწყეს, რის გამოც რამდენიმე ესპანელი სერიოზულად დაშავდა.

ცოტა ხნით ადრე გერმანიის საფეხბურთო საბჭომ "შალკეს" სამ ქომაგს, რომლებიც დამნაშავედ ცნეს ზემოხსენებულ ინციდენტში, გერმანიაში გამართულ საფეხბურთო მატჩებზე დასწრება აუკრძალა.

### ბალაკი ნაკრებს დააკლდება

ბუნდესნაკრების კაპიტანმა მიხაელ ბალაკმა, რომელიც ტრავმის გამო ნაკრებს ლუქსემბურგთან ამხანაგურ შეხვედრაში (7:0) ვერ დაეხმარა, შესაძლოა, ვერც იაპონიასთან ხვალინდელ მატჩში ითამაშოს.

"ჯერ ძალიან ადრეა დასკვნების გაკეთება, ითამაშებს თუ არა ბალაკი იაპონელების წინააღმდეგ. ყველაფერი დღეს გადაწყდება", - განაცხადა იურგენ კლინსმანის ასისტენტმა იოჰიმ ლოვემ.

### ჰუტი დაშავდა

ლონდონის "ჩელსისა" და გერმანიის ნაკრების მცველი რობერტ ჰუტი ლუქსემბურგთან ამხანაგური მატჩისას დაშავდა. როგორც გერმანული პრესა იტყობინება, ფეხბურთელს კოჭი დაუზიანდა, რის გამოც მეორე ტაიმში აღარ უთამაშია. ნაკრების თავკაცის იურგენ კლინსმანის განცხადებით, ჯერჯერობით გაურკვეველია, რამდენად სერიოზულია ჰუტის ტრავმა.

რაც შეეხება ფეხბურთელის საკლუბო კარიერას, ბი ბი სი-ს ცნობით, "ჩელსის" გერმანელი მცველის სანაცვლოდ პრემიერლიგაში მოთამაშე "უიგანი" მზად არის 5,5 მილიონი ფუნტი გადაიხადოს.

### ანგოლას ფეხბურთელები 5 ათასი დოლარით დაჯილდოვდებიან

ანგოლას ბანკის "ბანკო ინტერნასიონალეს" წარმომადგენლებმა სპეციალური პრიზი დააწესეს ნაკრების ყველა ფეხბურთელისთვის, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატზე გოლს გაიტანენ. გოლის ავტორები 5 ათასი დოლარით დასაჩუქრდებიან.

ამდენივეს მიიღებს გუნდის მიერ ჩატარებული ყოველი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელიც. თითოეული გამარჯვების სანაცვლოდ ბანკი 50 ათას დოლარს გადასცემს "შავ ანტილოპებს".

იმავე რაოდენობის თანხით ანგოლის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები ჯგუფიდან გასვლის შემთხვევაშიც დაჯილდოვდებიან.

### ჰიდინკი სამშობლოში საუკეთესოა

რუსეთის ნაკრების ჰოლანდიელი თავკაცი გუს ჰიდინკი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებს ოფიციალურად ჩაუდგება სათავეში, სამშობლოში წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს და რინუს მიხელსის სახელობის პრიზი გადასცეს.

წლევანდელ სეზონში ჰიდინკის მიერ გაწვრთნილი "პსვ ეინდჰოვენმა" ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა, ავსტრალიის ეროვნულმა ნაკრებმა კი მისივე თაოსნობით მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა.

## გერმანელმა პოლიციელებმა რასისტები დააკავეს

გერმანელმა პოლიციელებმა ქვეყნის სამ ქალაქში, მათ შორის ბერლინში, 27 ადამიანი დააკავეს, რომლებიც უცხოელებზე რასისტულ თავდასხმებში მონაწილეობდნენ.

როიტერის ინფორმაციით, დაკავებულებმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს. თავდასხმის შედეგად ერთ-ერთმა დაზარალებულმა სხეულის სერიოზული დაზიანება მიიღო. ქალაქ ვურტცბურგში დააკავეს 9 ადამიანი, რომელთაც ქუჩებში ნაცისტური ლოზუნგები ჰქონდათ გამოფენილი.

## გახდება თუ არა კაფუ რეკორდსმენი

ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი კაფუ შესაძლოა გახდეს პირველი ფეხბურთელი, ვისაც მსოფლიოს ოთხ ჩემპიონატზე უთამაშია.

კაფუს, რომელიც წლეულსაც ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია, 36 წელი მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარეობისას შეუსრულდება. თუმცა, "მილანის" გამოცდილი მცველი წინასწარი პროგნოზებისგან თავს იკავებს.

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონთა რიგებში კაფუს 144 მატჩი აქვს ნათამაშევი.

## ნუ ივლით შორტებით!

შემზარავი ტრაგედია დატრიალდა ირანში. ჩოგბურთის მწვრთნელი და მისი ორი შეგირდი მოკლეს იმის გამო, რომ ისინი შორტებით იყვნენ.

სააგენტო როიტერის ინფორმაციით, მწვრთნელი ჰუსეინ ჰამდე რაშიდი და მისი ორი მოწაფე მანქანით მგზავრობდნენ, როდესაც უცნობმა პირებმა გააჩერეს, მანქანიდან გადმოსვლა უბრძანეს, შემდეგ კი დახვრიტეს.

პოლიციის ვარაუდით, დანაშაული ჩაიდინეს შიიტმა ექსტრემისტებმა, რომლებმაც სულ ცოტა ხნის წინ გააფრთხილეს ირანის მოსახლეობა, რომ შორტებით სიარული აკრძალულია.

## არმსტრონგი პროფილს იცვლის

ტურ დე ფრანსის შვიდგზის გამარჯვებული, ლეგენდარული ველომრბოლი ლენს არმსტრონგი შესაძლოა ავტომრბოლის რანგში მოგვევლინოს.

უკვე გადაწყვეტილია, რომ ინდიანაპოლის 500-ის დროს ლენსი პეის კარის მძღოლი იქნება. ჯერჯერობით უცნობია მიიღებს თუ არა მონაწილეობას არმსტრონგი თავად რბოლებში.

## გამოძიება 20 ივლისს დასრულდება

იტალიურ ფეხბურთში არსებულ კორუფციასთან დაკავშირებული გამოძიება 20 ივლისს უნდა დასრულდეს.

"გადავწყვიტეთ, რომ გამოძიება 20 ივლისს უნდა დავამთავროთ,"- აცხადებს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გამოძიებათა კომიტეტის თავმჯდომარე საველიო ბორელი.

საქმე ისაა, რომ 25 ივლისს დანიშნულია უეფას თასის წილისყრა და გარკვეული უნდა იყოს იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც იტალიას წარადგენენ ამ ტურნირში.

იტალიურ საფეხბურთო სკანდალთან დაკავშირებით კიდევ რამდენიმე ინფორმაციას მოგაწვდით: გადადგა იტალიის საფეხბურთო ლიგის ვიცე-პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი, ტურინის "იუვენტუსის" მენეჯერად ჯანლუკა პესოტო დაინიშნა, ხოლო კლუბ "ბრეშას" პრეზიდენტმა ჯინო კორინიმ პრობლემის მოგვარების რევოლუციური მეთოდი მოიგონა. კორინის აზრით, უნდა გაერთიანდეს სერია A და B, რის შემდეგაც ჩამოყალიბდება 42-გუნდიანი ლიგა, რომელიც სამ ჯგუფად დაიყოფა. ჯგუფებში პირველ ექვს ადგილზე გასული გუნდები კი ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში პლეი-ოფის მატჩებს გამართავენ.

## შევჩენკომ გადაწყვეტილება მიიღო

ანდრეი შევჩენკომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო: უკრაინელი ფეხბურთელი დატოვებს "მილანს". რაც შეეხება ანდრეის მომავალ კლუბს, მართალია, ის ჯერ ღიად არ საუბრობს, თუ სად გააგრძელებს კარიერას, მაგრამ ყველამ იცის, რომ შევჩენკო "ჩელსიში" ითამაშებს.

"გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდა. ვფიქრობ, დადგა დრო, საკუთარი ოჯახის ინტერესებზეც ვიფიქრო. იმედია, გულშემატკივარი გამიგებს. მესმის, რომ იმედი გაუცრუვდათ, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა," - აცხადებს შევჩენკო.

"მილანმა" კი უკვე დაიწყო ანდრეის შემცვლელის ძებნა. ჯერჯერობით საუბარია სამუელ ეტოოს შეძენაზე, თუმცა საეჭვოა, რომ "ბარსელონა" კამერუნელს შეელიოს. ამავდროულად გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, "მილანი" ფაქტობრივად უკვე მოურიგდა "მანჩესტერ იუნაიტედს" რუუდ ვან ნისტელროის ტრანსფერზე.

გუშინვე, გვიან საღამოს, ამ თემასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო ცნობა გავრცელდა. დიდიე დროგბას აგენტის თქმით, "მილანი" კოტდივუარელის გადაბირებას ლამობს. ალბათ ყველაზე სავარაუდო სწორედ დროგბას ვარიანტია. "მილანმა" და "ჩელსიმ" შევჩენკოს თაობაზე იოლად გამონახეს საერთო ენა და ახლა ალბათ არც დროგბას ტრანსფერზე შეიქმნება რაიმე პრობლემა.

## დელ პიერომ ტოტის აჯობა

მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ტოტის ნაცვლად ალესანდრო დელ პიერო ითამაშებს. მართალია, "რომას" კაპიტანმა ტრავმა თითქმის მოიშუშა, მაგრამ სათამაშო პრაქტიკის უქონლობის გამო ლიპიმ დელ პიეროს მიანიჭა უპირატესობა.

"ტოტის შეცვლა ძალიან რთულია, მაგრამ მოგება მის გარეშეც შეგვიძლია", - აცხადებს იტალიელთა თავკაცი.

## ზიდანის ასეული

შაბათს ზინედინ ზიდანმა მეასე მატჩი გამართა საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში. საფრანგეთის ნაკრებმა მექსიკელებთან გამართა ამხანაგური მატჩი, რომელიც დომენეკის შეგირდებმა ანგარიშით 1:0 მოიგეს. ზიდანისთვის ეს მე-100 მატჩი იყო სამფეროვანთა მაისურით.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ზიზუ ფეხბურთიდან მიდის.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ზიდანს ერთ-ერთი ჩინური კლუბი ეპატიჟება, თუმცა მიიღებს თუ არა ფრანგი ვარსკვლავი ჩინელთა შეთავაზებას, ჯერჯერობით უცნობია.

# ათი ლელო

რაგბილიგის მოთამაშე ცამეტმა ქართველმა შექმნიდან მეექვსე მატჩი გამართა, ვაკეში დიდძალი საზოგადოება მიიზიდა, გულიანად შეასრულა ფერხული, გემრიელად იბურთავა, მეოთხედ გაიმარჯვა და ავსტრალიაში 2008 წელს დანიშნული მსოფლიო თასის შესარჩევი პროცესის პირველი ზღუდე დაძლია.

საქართველოსა და ჰოლანდიაში 13-კაცამ ერთსა და იმავე დროს მოიკიდა ფეხი. იქაცა და ჩვენთანაც ლიგას ის მორაგბეები მისდევენ, ვისაც თვალსაწიერის გაფართოება და სიახლის გამოცდა სურს. ჰოლანდიას, ცამეტი ქართველისგან განსხვავებით, ოთხი, საბუთით ჰოლანდიელი ბრიტიცა ჰყავს, მაგრამ რამდენადაც ჩვენი რაგბი იმათსას სჯობს, ზუსტად ეგეთი თანაფარდობაა რაგბილიგაშიც, რაც ანგარიშმა სწორად ასახა.

ჰოლანდიელები მოყვარულები რომ არიან, კავკასიური ვოიაჟის გადამკიდე სამუშაოს ოთხი დღით მოწყდნენ. მათი ლიგის სქოთი მესაძირკვლე იან თომპსონი აქ ჩამობრძანების შემდეგ არ გამოფხიზლებულა, ლურჯ თვალებს მწყრალად აბრიალებდა და მუდმივ შარზე იყო, მაგრამ ბიჭები კი საომრად იყვნენ მომართული და მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ლიგაობა აქ შარშან ნამყოფ სერბეთზე ბევრად უკეთ იცოდნენ.

ეროვნულ დღესასწაულზე რაგბის სანახავად (ჩვენთვის ლიგაც რაგბია!) უმაგალითოდ ბევრი მოსეირე მოვიდა. დარბაისელ და რაგბის ადათის დამფასებელ ხალხს რადიკალურად სხვა გაგების მქონე თამაშის ფანი ბიჭბუჭობაც გაერია. ჰოდა, ერთი იმათთაგანი, ალალი ქაჯი, ჰოლანდიელთა პირველი ლელოს შემდეგ მოედანზე შეიჭრა, გარდასახვის დასარტყმელად გამზადებულ სტუმარს მიეჭრა და გააოცა ევროპელი.

ამ ინციდენტის გარდა, მოედანზე იყო მხოლოდ ბურთაობა. ჩვენებმა ათჯერ დაალელოვეს სტუმრები. ქართველები ჰოლანდიელებს ერთი-ერთზე ძალან ჯობდნენ, რის გამოც სულ ხაზის გაჭრასა და დაჭერილზე პასს ეშურებოდნენ. ბურთი დიდ მანძილზე ბევრჯერ ატარა გიორგი ნემსაძემ, მეკო კვირიკაშვილმა გრძელი პასები აკეთა, რეზო გიგაურმა კი ისე მრავალფეროვნად იბურთავა, რომ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ცნო თამაშის ფრანგი კომისრის ბენჟამენ აროს ჟიურმა.

*მასალა მომზადებულია საიტზე rugby.ge*



გოგიტა ბახტაძის ფოტო

*რუსეთშიც თუ მოვიგეთ, მომდევნო ეტაპზე გავალთ.*

**საქართველო 57:16 ჰოლანდია**

**ცამეტი ქართველი**

1 გიორგი ასათიანი, 2 ლექსო გუგავა, 3 რეზო გიგაური, 4 სანდრო გილაური, 5 ზვიად კობერიძე; 6 მერაბ კვირიკაშვილი, 7 გიორგი სორდია / 8 თორნიკე აშვეთია, 9 ბექა ყურაშვილი, 10 დავით გასვიანი; 11 ნიკა მხეიძე, 12 შალვა სუთიაშვილი, 13 კახა კობახიძე კაპ // 14 გრიგოლ ნიშნიანიძე, 15 გიორგი ნემსაძე, 16 ირაკლი ნატრიაშვილი, 17 მანუჩარ ნამჩევაძე.

10ლ: ასათიანი, გიგაური, გუგავა, კვირიკაშვილი, აშვეთია, სუთიაშვილი, კობერიძე ორი (7 9), ყურაშვილი, კობახიძე; 8გ, ა: კვირიკაშვილი.

**ჰოლანდია**

1 ქის ფოკსონი, 2 რულოფ ჰარი, 3 დანკან ტეილორი, 4 რონალდ ფანდენბრუკი, 5 ჯემი ხრუნევეხი; 6 არონ დეიახერი კაპ, 7 ბენიამინ ბლომი / 8 ფილ პარკინსონი, 9 კრის ჰოჯითსი, 10 ბეფან ვილიამსონი; 11 რეიმონდ დენენხელსმანი, 12 ბერნი ფანჰოლსტეინი, 13 ალეკს ჰუხენსანდი // 14 ვინსენტ ხრიმბერხენი, 15 ჯონი ნქუა, 16 შორდ ნიბური, 17 ჯეისონ ბრუეიხომსი.

2ლ: ტეილორი; 4გ: დეიახერი.

**რეფერი** ენდრიუ სმითი (ინგლისი); კიდეებზე: უჩა ნარიმანიძე და მიხეილ ჩაჩუა; შეცვლათა მთვლელი ლევან ჯაში; რლეფ-ის კომისარი ბენჟამენ არო (საფრანგეთი)

1:0(3) 1:2(7) 7:2(9) 7:4(14) 13:4(18) 19:4(25) 23:4(34) 23:10(40) / 23:12(41) 29:12(51) 33:12(59) 39:12(61) 45:12(64) 45:16(70) 51:16(78) 57:16(80)

პარასკევი, 26 მაისი. ვაკე (15 ათასი)

**მსოფლიო თასის წინასწარი შესარჩევი**

**28 აპრილი:** ჰოლანდია - რუსეთი 14:40
**13 მაისი:** სერბეთი - საქართველო 10:45
**26 მაისი:** საქართველო - ჰოლანდია 57:16
**3 ივნისი:** სერბეთი - რუსეთი ნოვი სადი
**17 ივნისი:** ჰოლანდია - სერბეთი ჰააგა
**24 ივნისი:** რუსეთი - საქართველო ლუჟნიკი

**მსოფლიო თასის შესარჩევი**
(2006 და 2007)
**ა პული:** უელსი, შოტლანდია, წინასწარი 1
**ბ პული:** ლიბანი, ირლანდია, წინასწარი 2

# სხვისი ფრენბურთი

### საქართველოს ნაკრები ქვეყნის ალი-კვალია - პირველ ნაბიჯებს დგამს

გიგა გურასაშვილი

*საკვირველი ის იქნებოდა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრებს რომ მოეგო. თუნდაც ერთი მატჩი, თუნდაც ერთი სეტი მაინც. მიზეზი? რამდენიც გინდა. შარშან მაისის შემდეგ საქართველოს ნაკრებს არავისთან უთამაშია. ასეთ პირობებში რაზე უნდა გქონდეს პრეტენზია?!*

სპორტის სასახლე სამი დღის განმავლობაში 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის პირველი წრის საკვალიფიკაციო მატჩებს მასპინძლობდა. საქართველოს ნაკრები რომ რამე ძალას წარმოადგენდეს, მაშინ ვიტყოდი, ევროპის ჩემპიონატზე გასასვლელი ორი საგზურისთვის გადაგვხდა ბრძოლები-მეთქი, მაგრამ ასე არ არის და ეს ყველამ კარგად იცის. ისიც ვიცოდით, რომ პირველ-მეორე ადგილებს გერმანია და საფრანგეთი შეეცილებოდნენ ერთმანეთს, რომლებიც ჯგუფის ფავორიტები არიან. აუტსაიდერად საქართველო და ლატვია იყო მიჩნეული და პროგნოზი გამართლდა კიდეც. ბალტიისპირელებმაც ისე დაასრულეს პირველის წრე, რომ ვერც ერთი სეტი ვერ მოიგეს. ამიტომ სწორედ საქართველოსა და ლატვიის მატჩი უნდა ყოფილიყო საინტერესო - იქნებ მათთვის მაინც მოგვეგო. ოცნება ოცნებად დარჩა. დიდი ჯიხაიშის "ჯიკოზე" დაფუძნებულმა საქართველოს ნაკრებმა ლატვიელებთან პირწმინდად წააგო - 0-3 (13-25, 18-25, 10-25).

"დიდი პასუხისმგებლობის გამო თავიდანვე ვერ გავბედე ახალგაზრდების მოედანზე შეყვანა. ვფიქრობ, რომ ეს უნდა გამეკეთებინა, - გვეუბნება საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნუგზარ მიქაძე, - მეორე წრის მატჩებში აქცენტს ახალგაზრდებზე გავაკეთებ. ცუდი რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, უკვე მოხდა. როდესაც გუნდი ძირითადი გამთამაშებლის ბუდაგოვას გარეშე თამაშობს, ძნელია რამეზე ფიქრი. ტრავმის გამო ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის მაშა ცარენკოს არყოფნაც ძალიან დაგვეტყო. ჩვენი სათადარიგოთა სკამი ძალზე მოკლეა. ესეც რომ არა, მართალი გითხრათ, იმის ილუზია არ გვქონია, რომ საფრანგეთს ან გერმანიას მოვუგებდით. გული იმაზე მწყდება, რომ უკეთ თამაში შეგვეძლო. შარშან მაისის შემდეგ ერთი ამხანაგური მატჩიც კი არ გვქონია. გამოდის, რომ თავს ვიმართლებ, მაგრამ ასეა. თუ ვითარება არ შეიცვალა, ვინც არ უნდა მოვიდეს ჩემს ადგილზე, მასაც იგივე პრობლემები ექნება. შეუძლებელია ათ დღეში ნაკრები შექმნა, ყველა რგოლი ჩამოაყალიბო, შეათამაშო. ერთი სიტყვით, პრობლემები მრავლად გვაქვს.

დღეს ფრენბურთი ძალიან შორს წავიდა. რაც არ უნდა ნიჭიერი ბავშვები მოვიდნენ ქართულ ფრენბურთში, თუ გასაქანს არ მივცემთ და მხოლოდ საქართველოში ვარჯიშებით შემოვიფარგლებით, ვერაფერს მივაღწევთ.

იგივე ითქმის ჩვენზეც, მწვრთნელებზე. გამოცდილება მწვრთნელებსაც გვჭირდება. არ დაგიმალავთ და, შარშან რომ შეცდომები დავუშვი, ვეცადე, წლეულს არ გამემეორებინა".

ერთი სიტყვით, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თბილისური ეტაპი დასრულდა. თვის ბოლოს საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრები საფრანგეთში მეორე წრის მატჩების ჩასატარებლად მიემგზავრება. ბუნებრივია, იქ უფრო ცუდ დღეში ჩაგვაგდებენ მეტოქეები...



გოგიტა ბახტაძის ფოტო

*საქართველოს ნაკრებმა სამივე თამაში წააგო.*

| | |
|---|---|
| **26 მაისი** | |
| საქართველო - საფრანგეთი | 0:3 (17-25, 7-25, 12-25) |
| გერმანია - ლატვია | 3:0 (25-16, 25-7, 25-12) |
| **27 მაისი** | |
| საქართველო - გერმანია | 0:3 (9-25, 13-25, 11-25) |
| საფრანგეთი - ლატვია | 3:0 (25-20, 25-21, 25-16) |
| **28 მაისი** | |
| საქართველო - ლატვია | 0-3 (13-25, 18-25, 10-25) |
| გერმანია - საფრანგეთი | 3:0 (26-24, 25-14, 25-17) |

# მონაკოში ალონსომ იმარჯვა

**"მონაკოს დიდი პრიზი"**
*78 წრე. 3,340 კმ.*

გუშინ ფორმულა 1-ის მორიგი ეტაპი გაიმართა. მონაკოს გრან პრი მსოფლიო ჩემპიონის ფერნანდო ალონსოს გამარჯვებით დასრულდა. ესპანელს ფაქტობრივად ვერავინ გაუწია კონკურენცია.

რბოლის დაწყებამდე ყველა შუმახერისა და ალონსოს დუელს ელოდა, მაგრამ გულშემატკივართა იმედი არ გამართლდა. კვალიფიკაციებზე გერმანელმა პილოტმა ერთი შეცდომა დაუშვა - მოსახვევში მანქანა გაუჩერდა და გზა გადახერგა, რის გამოც საერთოდ არ ჩაუთვალეს კვალიფიკაციაზე ნაჩვენები შედეგი. შუმიმ უკანასკნელი ადგილიდან დაიწყო რბოლა. მონაკოს გრან პრი მთლიანად უიღბლო აღმოჩნდა "ფერარის" გუნდისთვის - შუმახერთან ერთად ფელიპე მასაც დაჯარიმდა და მანაც ბოლო ხაზიდან აიღო სტარტი.

მიუხედავად ამისა, მიხაელმა კარგად იასპარეზა, თითქმის შეუძლებელი შეძლო და მეხუთე ადგილზე დაასრულა რბოლა. პოდიუმამდე მიხაელს მხოლოდ ერთი წამი დააკლდა. თუმცა, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მიხაელისთვის გუშინდელი რბოლა მაინც წარმატებულად უნდა ჩავთვალოთ.

უნდა აღინიშნოს დევიდ კულტჰარდის კარგი ასპარეზობაც. შოტლანდიელმა მესამე ადგილზე დაასრულა რბოლა და "რედ ბულს" ამ სეზონში პირველი საპოდიუმო ადგილი მოუტანა.

გუშინდელი ეტაპის შემდეგ ფერნანდო ალონსომ კიდევ უფრო გაიმყარა პოზიცია. ახლა ესპანელი პილოტი 21 ქულით უსწრებს მიხაელ შუმახერს. მას ალბათ ძალიან გაუჭირდება ამ ჰანდიკაპის აღმოფხვრა, მით უმეტეს, რომ ალონსო მშვენიერ ფორმაშია და, როგორც ჩანს, პოზიციების დათმობას არ აპირებს.

1. ფერნანდო ალონსო ("რენო") 1 საათი, 43 წუთი, 43.116 წამი
2. ხუან პაბლო მონტოია (მაკლარენ მერსედესი) +14,5
3. დევიდ კულტჰარდი (რედ ბული) +52,2
4. რუბენს ბარიკელო (ჰონდა) +53.3
5. მიხაელ შუმახერი (ფერარი) +53.8
6. ჯანკარლო ფიზიკელა (რენო) +62.0
7. ნიკ ჰაიდფელდი ("ზაუბერ-BMW") +1
8. რალფ შუმახერი (ტოიოტა) +1

**მრბოლთა საჩემპიონო დავა**

| | |
|---|---|
| ფერნანდო ალონსო | 64 |
| მიხაელ შუმახერი | 43 |
| კიმი რაიკონენი | 27 |
| ჯანკარლო ფიზიკელა | 27 |
| ხუან პაბლო მონტოია | 23 |
| ფელიპე მასა | 20 |
| ჯენსონ ბატონი | 16 |
| რუბენს ბარიკელო | 8 |
| რალფ შუმახერი | 8 |
| ნიკ ჰაიდფელდი | 8 |
| დევიდ კულტჰარდი | 7 |
| მარკ უებერი | 6 |
| ჟაკ ვილნევი | 6 |
| ნიკო როსბერგი | 4 |
| კრისტიან კლიენი | 1 |

**კონსტრუქტორთა ჩათვლა**

| | |
|---|---|
| "რენო" | 91 |
| "ფერარი" | 63 |
| "მაკლარენ-მერსედესი" | 50 |
| "ჰონდა" | 29 |
| "ზაუბერ-BMW" | 14 |
| "უილიამსი" | 10 |
| "ტოიოტა" | 8 |
| "რედ ბული" | 8 |

## ინფოთეკა

### ჯუდა ბრუნდება

მსოფლიოს ექსჩემპიონი ქვემძიმე წონაში ზაბ ჯუდა უახლოეს მომავალში დაუბრუნდება პროფესიულ კრივს. ჯერჯერობით უცნობია ვისთან გამართავს ბრძოლას ჯუდა, თუმცა უკვე გადაწყდა, რომ ეს ბრძოლა სენტ ლუისში 8 ივლისს შედგება.

### რეკობა "ინტერში" დარჩება

"ინტერის" ურუგვაელმა ფორვარდმა ალვარო რეკობამ განაცხადა, რომ ზაფხულში ახალ კონტრაქტს გააფორმებს იტალიურ კლუბთან. "მე "ინტერში" დავრჩები. ახლა მშვიდად შემიძლია დასასვენებლად წასვლა. სულ ხუთი წუთი დაგვჭირდა იმისთვის, რომ ახალი კონტრაქტის დეტალები შეგვეთანხმებინა", - აცხადებს რეკობა.

### რონალდო აშშ-ში?

მადრიდის "რეალის" ბრაზილიელი ფორვარდი რონალდო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის შემდეგ შესაძლოა ამერიკული საფეხბურთო ლიგის კლუბ "ნიუ იორკ რედ ბულსში" აღმოჩნდეს. Sports Illustrated-ის ცნობით, კლუბი და ფეხბურთელი კონტრაქტის პირობებზე ფაქტობრივად შეთანხმდნენ და ტრანსფერს წინ აღარაფერი უდგას. რონალდომ უკვე განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დაასრულებს სანაკრებო კარიერას, თუმცა არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, რომ ევროპიდან ამერიკაში აპირებს გადაბარგებას. თუ "რეალის" ვარსკვლავმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, ფაქტობრივად ეს აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულების მანიშნებელი იქნება.

### ფერგიუსონს რიკელმე სჭირდება

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი კლუბის მესვეურებისგან ხუან რომან რიკელმეს შეძენას მოითხოვს. არგენტინელი პლეიმეიკერი ამჟამად ესპანურ "ვილიარეალში" თამაშობს. არაერთხელ თქმულა, რომ "ყვითელი წყალქვეშა ნავის" ხელმძღვანელები რიკელმეს გაყიდვას არ აპირებენ. თუმცა არც თავად ფეხბურთელს სურს კლუბის დატოვება. ამ ფონზე ცოტა გასაკვირია, რომ სერ ალექსი დაჟინებით მოითხოვს არგენტინელის შეძენას.

### "არსენალს" კემპბელი არ სჭირდება

ლონდონის "არსენალის" ხელმძღვანელებმა გუნდის ცენტრალურ მცველ სოლ კემპბელს უთხრეს, რომ მან სხვა გუნდის ძიება უნდა დაიწყოს. "სოლისთვის ეს მოულოდნელი იყო, თუმცა პრობლემა არ არის, ის სწრაფად იპოვის კლუბს", - აცხადებს ფეხბურთელის აგენტი. კონტრაქტის თანახმად, კემპბელმა კიდევ ერთი სეზონი უნდა ითამაშოს "არსენალში", თუმცა, ეტყობა, მხარეებმა საერთო ენა ვერ გამონახეს და კონტრაქტი დაირღვევა. ლონდონურ კლუბში კემპბელი კვირაში 80 000 გირვანქა სტერლინგს იღებდა. კემპბელის შეძენის სურვილი უკვე გამოთქვეს "ნიუკასლმა", "ინტერმა" და "ფენერბახჩემ".

### კავენაგი რუსეთს ტოვებს

მოსკოვის "სპარტაკის" არგენტინელი ფორვარდი ფერნანდო კავენაგი შესაძლოა ფრანგულ "ლილში" გადავიდეს. თუ ტრანსფერი შედგა, "ლილიდან" "სპარტაკში" კავენაგის სანაცვლოდ საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი პიტერ ოსაზე ოდემვინჟი გადავა.

### რონალდინიოს შანსი

2005 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი რონალდინიო იმედოვნებს, რომ ბრაზილიელებს მეექვსედ მოაგებინებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. "ალბათ ყველა ფეხბურთელი ოცნებობს დიდი ტურნირის მოგებას. თუ მსოფლიო ჩემპიონები გავხდით, ეს სეზონი უნიკალური იქნება ჩემთვის. არ მინდა ასეთი შანსი ხელიდან გავუშვა", - ამბობს ბრაზილიელი.

### "ლაციოს" ახალწვეულები

შესაძლოა რომის "ლაციომ" ორი ფეხბურთელი შეიძინოს. დედაქალაქური კლუბი "ლეჩეს" ნახევარმცველ კრისტიან ლედესმას და "პალერმოს" ფორვარდ სტეფან მაკინვას ყიდულობს.

ლედესმაში "ლაციო" სამ მილიონ გირვანქა სტერლინგს იხდის, მაკინვას შეძენა კი რომაულ კლუბს მილიონით ნაკლები დაუჯდება. ამ ფეხბურთელის გადაბირებას "ინტერიც" ცდილობდა.

# განცხადება ღია კონკურსის ჩატარების შესახებ

**პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტი**
კრედიტი No 3702-GE

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის ფარგლებში, იწვევს **სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მენეჯერებს** (8 სამშენებლო ხელშეკრულებისათვის) იმერეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში 62 პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ზედამხედველობის განსახორციელებლად.

სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მენეჯერმა უნდა განახორციელოს შემდეგი სამუშაოები:

1. ცენტრის წარმომადგენლის სახით ცენტრსა (როგორც დამქირავებელს) და მშენებლის (როგორც დაქირავებულს) შორის ხელშერკრულებით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტა და სამუშაოთა წარმოების პროცესზე ზედამხედველობისა და მართვის განხორციელება.
2. მშენებლობის პროცესში მონაწილე მხარეებს შორის საქმიანი შეხვედრების ორგანიზება და შესაბამისი დოკუმენტაციის (ოქმის) მომზადება.
3. მშენებელთან და პროექტანტთან საპროექტო დოკუმენტაციის ერთობლივი განხილვა და წარმოებაში დაშვება.
4. სამუშაოთა წარმოებაზე ზედამხედველობის პროცესში განსაკუთრებული კონტროლის დაწესება სამუშაოთა წარმოების შესაბამისობაზე მოქმედ ნორმებთან, სტანდარტებთან და ცალეკულ სახეობებში - ტექნიკურ პირობებთან.
5. საზედამხედველო ობიექტებზე სამუშაოთა წარმოების ჟურნალების დანერგვა, მათში ყოველდღიური ჩანაწერების საწარმოებლად და შესრულებულ სამუშაოებზე კონტროლის განსახორციელებლად.
6. სამშენებლო სამუშაოთა შეთანხმებული გრაფიკის ყოველდღიური კონტროლის წარმოება, გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში ცენტრის წერილობითი ინფორმირება.
7. წარმოებაში ჩადებულ სამშენებლო მასალებზე და სამონტაჟო ნაკეთობებზე სისტემატური კონტროლის დაწესება (არ დაუშვას წარმოებაში საპროექტო სპეციფიკაციებისაგან განსხვავებული ან არასერტიპიცირებული მასალების გამოყენება).
8. დადგენილი ფორმით სამუშაოთა შუალედური მიღების წარმოება და დოკუმენტირება. შესრულებული სამუშაოთა შეუფერხებელი ფინანსირების უზრუნველყოფა. სამუშაოთა მსვლელობაზე სისტემატური კონტროლის განხორციელება.
9. ცენტრის წარმომადგენლის სახით მოლაპარაკებების წარმოება თვითმართველობის ორგანოებთან და რაიონულ ორგანიზაციებთან. მათგან ნებართვების, შეთანხმებების და ტექპირობების მიღების უზრუნველყოფა.
10. პროექტით გაუთვალისწინებელ სამუშაოთა წარმოების აუცილებლობის შემთხვევაში, პროექტანტებთან შეთანხმების შემდეგ ცენტრისგან ნებართვის მიღება.
11. სამუშაოთა მსვლელობაში შექმნილ პრობლემებზე საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღება. სხვა შემთხვევაში, პროექტანტებთან შეთანხმების შემდეგ ცენტრისგან ნებართვის მიღება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- ინჟინერის დიპლომი (სასურველია მშენებელ-ინჟინერის დიპლომი)
- მინიმუმ 7 წლის პროფესიული გამოცდილება;
- მინიმუმ 3 წლის გამოცდილება სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის დარგში;

ხელშეკრულებები გაფორმდება **8 საუკეთესო კანდიდატთან**. სამუშაოების ხანგრძლივობა დაახლ. **5-6 თვეა.** სამშენებლო სამუშაოები სავარაუდოდ დაიწყება ა/წლის ივლისში.

კანდიდატების შერჩევა განხორციელდება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით: "კონსულტანტთა შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკისგან მსესხებლების მიერ", 1997 წლის იანვარი (შესწორება - 1997 წლის სექტემბერი და 1999 წლის იანვარი).

გთხოვთ, ინტერესის შემთხვევაში გამოგვეხმაუროთ წერილობით. ინტერესის გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს:
დიპლომის ასლი; კვალიფიკაციისა და გამოცდილების აღწერილობა (CV); მსგავსი განხორციელებული სამუშაოების ჩამონათვალი და
სარეკომენდაციო წერილები.

ინტერესის წერილები უნდა წარმოადგინოთ **2006 წლის 12 ივნისის 17 სთ-მდე შემდეგ მისამართზე:**

**ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული,**
**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**
**ტელ/ფაქსი: +995 (32) 331939, 388210; 388220/224**
**ელ. ფოსტა: info@hpic.ge**

**საკონტაქტო პირი: იანა სამხარაძე, შესყიდვების კოორდინატორი**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს შემდეგი სახის მომსახურებაზე:. მცხეთის რაიონის სახელმწიფო ტყის ფონდის 13908 ჰა ფართობზე ტყეთმოწობის (ინვენტარიზაცია და მონაცემთა დამუშავება) მომსახურების სამუშაოების ჩასატარებლად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. მომსახურების სამუშაოს მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 27 ნოემბრისთვის.
2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის *19 ივნისის 12 საათიდან 22 ივნისის 12საათამდე,* შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი მინდელის ქN9,
3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
ბ) ცნობებს შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
გ) ცნობას შესაბამისი რაიონული საგადასახადო ინსპექციიდან რომ მათ ბიუჯეტის წინაშე არ ერიცხებათ დავალიანება;
დ) ინფორმაციას უკანასკნელ პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
ე) ცნობას, შესაბამისი რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია აგრეთვე რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
ვ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვლიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

4. დაინტერესებული პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2006 წლის 30 მაისის *12 სთ-დან 16 ივნისის 12სთ-მდე მისამართზე:* ქ. თბილის მინდელის ქ.9, IV სართული.
6. სატენდერო მოსაკრებელი შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ვაკე-საბურთალო) საიდენტიფიკაციო კოდი 206160606, ანგარიშის N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი კოდი 220101107 შემოსულობების კოდი 3100043133
7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი დავლაძე - ტელ:(899)114364; ეკატერინე ირემაძე - ტელ:(893)619061 (822)320153. მისამართი: ქ. თბილისი მინდელის ქ.N9 IV სართული.

**/სატენდერო კომისია/**

# საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვის ცენტრი

აცხადებს კონკურსს ირიგაციის დარგში ტექნიკური მომსახურეობის სააგენტოს დაქირავებაზე.

**ძირითადი მოვალეობები:**
- ასპინძის რაიონში პროგრამის ფარგლებში დაუმთავრებელი საირიგაციო-სრეაბილიტაციო სამუშაოების სრული შესწავლა-შეფასების ჩატარება.

- ასპინძის რაიონში საირიგაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად მიღებული საირიგაციო სქემების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება.

- საირიგაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრებისთვის აუცილებელი ტექნიკური რეკომენდაციების, სამუშაოების და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის მომზადება.

კვალიფიკაცია და მოთხოვნები

აუცილებელია:

1. საირიგციო პროექტების შეფასების დადასტურებული გამოცდილება;

2. მინიმუმ 3 წლის პროფესიული გამოცდილება (საირიგაციო და ჰიდროლოგიური ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის ზედამხედველობაში);

3. საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება;

4. კომპიუტერთან მუშაობის ნორმალური უნარ-ჩვევები;

5. საველე პირობებში (პროგრამის რეგიონებში) ინტენსიური მუშაობის სურვილი და შესაძლებლობა.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა წარადგინონ კვალიფიკაციის და მოთხოვნების დამადასტურებელი საბუთები.
საბუთების მიღება იწარმოებს პროგრამის მართვის ცენტრში ა.წ. 29 მაისიდან 02 ივნისის ჩათვლით 10:00-დან 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე:
თბილისი, კოსტავა ქ. 41, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შენობა, ოთახი 501, ტელ: 98-53-44, 92-39-74.

ელექტრონული ფოსტა pmu@rdpmha.org.ge

# შპს "საქართველოს ფოსტა" ატარებს კომერციულ კონკურსს

**შპს "საქართველოს ფოსტის" ბალანსზე რიცხული ფართების ქირავნობის წესით გაცემის მიზნით**

ქირავნობით გაიცემა შემდეგი ფართები:

1. ფილიალ "თბილისის ფოსტამტის" N8 საფოსტო განყოფილებაში მის: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. N31-ში მდებარე 18 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 36 ლარის ოდენობით (სულ: 648 ლარი).
2. ფილიალ "თბილისის ფოსტამტის" N39 საფოსტო განყოფილებაში მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მ. N2-ში მდებარე 12 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 27 ლარის ოდენობით (სულ: 324 ლარი).
3. ფილიალ "თბილისის ფოსტამტის" N41 საფოსტო განყოფილებაში მის: ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის N72-ში მდებარე 20 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 27 ლარის ოდენობით (სულ: 540 ლარი).
4. ფილიალ "თბილისის ფოსტამტის" N67 საფოსტო განყოფილებაში მის: ქ. თბილისი, გლდანის მასივში მდებარე 24 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 18 ლარის ოდენობით (სულ: 432 ლარი).
5. ფილიალ "მესტიის ფოსტის" ადმინისტრაციული შენობის II სართულზე მდებარე 100 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 4 ლარის ოდენობით (სულ: 400 ლარი).
6. ფილიალ "ტყიბულის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე 60 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 5 ლარის ოდენობით (სულ: 300 ლარი).
7. ფილიალ "ახალციხის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე 100 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 10 ლარის ოდენობით (სულ: 1000 ლარი).
8. ფილიალ "საგარეჯოს ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე 30 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 7 ლარის ოდენობით (სულ: 210 ლარი)
9. ფილიალ "საგარეჯოს ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე 14 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 7 ლარის ოდენობით (სულ: 98 ლარი)
10. ფილიალ "თელავის ფოსტის" ნაფარეულის ს/განყოფილებაში მდებარე 16 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 8 ლარის ოდენობით (სულ: 128 ლარი).
11. ფილიალ "თელავის ფოსტის" აკურის ს/განყოფილებაში მდებარე 9 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 8 ლარის ოდენობით (სულ: 72 ლარი).
12. ფილიალ "ხაშურის ფოსტის" სურამის ს/განყოფილებაში მდებარე 45 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 7 ლარის ოდენობით (სულ: 315 ლარი).
13. ფილიალ "სიღნაღის ფოსტის" წნორის ს/განყოფილებაში მდებარე 35 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 12 ლარის ოდენობით (სულ: 420 ლარი).
14. ფილიალ "სიღნაღის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე 45 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 12 ლარის ოდენობით (სულ: 540 ლარი).
15. ფილიალ "ხარაგაულის ფოსტის" ბორითის ს/განყოფილებაში მდებარე 12 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 5 ლარის ოდენობით (სულ: 60 ლარი).
16. ფილიალ "ხარაგაულის ფოსტის" ხევის ს/განყოფილებაში მდებარე 12 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 5 ლარის ოდენობით (სულ: 60 ლარი).
17. ფილიალ "ხარაგაულის ფოსტის" ხუნევის ს/განყოფილებაში მდებარე 12 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 5 ლარის ოდენობით (სულ: 60 ლარი).
18. ფილიალ "ბოლნისის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე 60 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 12 ლარის ოდენობით (სულ: 720 ლარი).
19. ფილიალ "ბორჯომის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე 50 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 12 ლარის ოდენობით (სულ: 600 ლარი).
20. ფილიალ "ოზურგეთის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე 60 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 9 ლარის ოდენობით (სულ: 540 ლარი).
21. ფილიალ "ოზურგეთის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე 20 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 9 ლარის ოდენობით (სულ: 180 ლარი).
22. ფილიალ "ოზურგეთის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე 20 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 9 ლარის ოდენობით (სულ: 180 ლარი).
23. ფილიალ "ოზურგეთის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე 20 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 9 ლარის ოდენობით (სულ: 180 ლარი).
24. ფილიალ "ხაშურის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე 16 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 7 ლარის ოდენობით (სულ: 112 ლარი).
25. ფილიალ "ხაშურის ფოსტის" ადმინისტრაციული შენობის სარდაფში მდებარე 341 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 2 ლარის ოდენობით (სულ: 682 ლარი).
26. ფილიალ "ბაღდათის ფოსტის" ადმინისტრაციული შენობის I სართულზე მდებარე 25 კვ.მ. ფართი - 1 კვ.მ. ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 5 ლარის ოდენობით (სულ: 125 ლარი).
27. ფილიალ "ლანჩხუთის ფოსტის" ბალანსზე რიცხულ ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 120კვ.მ. ფართი. 1 კვ.მ ფართის საწყისი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს 3 ლარის ოდენობით (სულ:360 ლარი)

დამატებითი პირობები:

